14.00-16.00 სთ.;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი - 16 იანვარი, 16.00-18.00 სთ.;

თერაპევტი - 17 იანვარი, 14.00-16.00 სთ.;

რევმატოლოგი (სახსრების დაავადებები) - 18 იანვარი, 16.00-18.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი - 20 იანვარი, 15.00-17.00 სთ.;

***ინფორმაციისთვის დარეკეთ:***

***98 90 12; 8 99 57 65 31***

## ნეკროლოგი

### დეკანოზი კლიმენტი კაკალიაშვილი

2007 წლის 1 იანვარს ტყიბულის რაიონის, სოფელ წყნორისაში, გარდაიცვალა ქუთაის-გაენათის ეპარქიის შტატგარეშე მღვდელმსახური, დეკანოზი კლიმენტი თადეოზის ძე კაკალიაშვილი.

დეკანოზი კლიმენტი 1936 წლის 14 აპრილს სოფელ წყნორში დაიბადა. წლინახევრისა იყო, როდესაც დაუპატიმრეს მამა, მღვდელი თადეოზი და 10 წლით გადასახლება მიუსაჯეს (იხ. გვ. 20). საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, 1962-64 წლებში სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა. 1968 წელს მცხეთის სასულიერო სემინარიაში ჩაბარა და მისი დასრულების შემდეგ, 1971 წლის 21 ოქტომბერს სოხუმის წმ. ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ (შიოლაშვილი) დიაკვნად აკურთხა. იმავე წლის 4 დეკემბერს მღვდლად დაასხა ხელი და სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა. 1972 წლის ოქტომბრიდან ქუთაის-გაენათის ეპარქიაში გადმოყავთ და მოწამეთას წმ. დავით და კონსტანტინეს სახელობის ეკლესიის მეორე მღვდლად დაინიშნა. 1974 წლის 21 აპრილს, თომას კვირიაკეს ქუთაTel-გაენათელმა მიტროპოლიტმა რომანოზმა (პეტრიაშვილი) საგვერდულითა და სკუფიით დააჯილდოვა. 1978 წლის 15 დეკემბერს ქუთაისის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1979 წლიდან ამავე ტაძრის მღვდელმსახურია. 1980-იანი წლებში რამდენიმე წელიწადი ქუთაისის წმ. მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიაში იმსახურა,



სადაც ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1988 წლის 28 ნოემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ ლანირ-ჯაგანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა. ავადმყოფობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო, 1997 წლიდან მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და შტატგარეშე მღვდლად ირიცხებოდა. 2003 წლის 17 ივნისიდან პენსიაზე გავიდა.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული მიძღვარი.

# გფარავდეთ წმინდა სამება

***სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს***

ჩემგან დალოცვაც მიიღე
ზეციდან ჩამომდინარი,
გფარავდეს წმინდა სამება,
გფარავდეს ბერი მეინვარი.

ვერც რას გაკლებდნენ დროთა სვლა,
ვერცარა მტერი მძვინვარი,
კიდევ მრავალ წელს გამოფოს
ღმერთმა მზე-მთვარეს მზილვარი.

მამულის ბედზე მლოცველი,
მისთვის ძილ დაუძინარი,
ერის წყლულების შემხვევი,
მის მწარე ბედზე მტირალი.

გერგეტის თოვლზე სპეტაკი,
ჩვენთვის თავგანწირალი,
შენ აღადგინე ჩვენს გულში
უფალი დავიწყებული.

რწმენა დაკარგულ ქვეყანას,
კვლავ თავის მხსნელად გვულვი.
მრევლს ნინოს ჯვარით მიუძღვი,
ღვთისაგან მირონცხებული.

ქრისტეს მგმობელნი მენახოს
შენს ფერხთით დანარცხებული,
სულ მუდამ თვალწინ გვიდგეხარ,
როგორც სპეტაკი მეინვარი.
უწმინდეს უნეტარესი
პირს ნათელგადამდინარი,
რაც შენ სიკეთე დასთესე,
მისი დამთვლელი ვინ არის.
რამდენს უწვენე უფლის გზა
რამდენი კიდევ წინ არის.

*ვასილ ლუდუშაური*

## საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ, მოილოცოთ წმიდა ადგილები:

ხირსა-ბოდბე 27 იანვარი, შაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 12 ლ.

ღვთაების მონასტერი-მარტყოფი (ღირსი მამა ანტონ მარტყოფელის ხსენების დღე) 1 თებერვალი; ხუთშაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 8 ლ

გელათი-ბაგრატი-მოწამეთა (მეფისა ჩვენისა წმ. დავით აღმაშენებლის ხსენების დღე) 8 თებერვალი, ხუთშაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 17 ლ

მომლოცველებს მოემსახურება გიდი

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე: „ოქროს საწმისი", სიონის ქ. 13

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9
დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44
ვაკის სამების ტაძართან არსებული მაღაზია, ჭავჭავაძის 37
საეკლესიო მაღაზია „წმიდა კვართი" ბახტრიონის ქ.8
„სამების ლავრის მაღაზია" ელიას მთა. ფაბრიციუსის ქ. 3/2
ტრანსპორტი გავა რესპუბლიკის მოედნიდან (სასტუმრო ივერიის წინ)
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ. 92 39 78/79 (11-დან 17 სთ-მდე); (8 77) 79 95 99; (8 99) 26 68 27

# ფოტომატიანე

## დეკანოზი თადეოზ კაკალიაშვილი

დეკანოზი თადეოზ ნიკოლოზის ძე კაკალიაშვილი 1896 წელს ქუთაისის გუბერნიის, სოფელ წყნორში გლეხის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდეგ კი — ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ სოფელ კურსებში მცხოვრებ ოლღა ბერეკაშვილზე დაქორწინდა, რომელთანაც 5 შვილი შეეძინა. XX ს-ის 20-იანი წლებში, როდესაც ულმერთო ხელისუფლება ანგრევდა ეკლესია-მონასტრებს, რეპრესიებითა და დახვრეტით უსწორდებოდა სამღვდელოებას, თადეოზს უფალმა მოუწოდა სასულიერო ცხოვრების გზაზე, რაზეც მას უარი არ უთქვამს. იგი ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი — მღვდლად აკურთხეს და თავის მშობლიურ სოფელში განამწესეს. ხელისუფლების წარმომადგენლები მრავალჯერ შეეცადნენ მამა თადეოზის შეშინებასა და დაპატიმრებას, მაგრამ იგი უშიშრად აგრძელებდა ღვთისმსახურებას და ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებას. თუმცა 1937 წლის რეპრესიებს ვერც იგი გადაურჩა, 21 დეკემბერს მოძღვარი დააპატიმრეს და სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (აგიტაცია, პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას) მუხლის საფუძველზე მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. გადასახლებიდან დაბრუნებული მამა თადეოზი ერთხანს კოლმეურნეობაში მუშაობდა და ამით არჩენდა ოჯახს. 50-იანი წლების დასაწყისში დეკანოზ ნაუმ შავიანიძისა და თავისი ნათესავის, პროტოპრესვიტერ ნიკოლოზ



დეკანოზი თადეოზ კაკალიაშვილი მეუღლესთან ოლღა ბერეკაშვილთან ერთად

ბერეკაშვილის თხოვნით კვლავ დაუბრუნდა ეკლესიას და ღვთისმსახურებას. მამა თადეოზი ქუთაისის „მწვანეყვავილას" მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიას მიაწერეს, რადგან ოფიციალურად მაშინ სოფლებში ტაძრები არ მოქმედებდა. მას ჩაბარებული ჰქონდა ტყიბულის რაიონის ზოგიერთი სოფელი, სადაც საეკლესიო წესებს (ნათლობას, ჯვრისწერას, წესის აგებას თუ პანაშვიდს) აღასრულებდა, ხოლო საზიარებლად და წირვის ჩასატარებლად პერიოდულად ჩადიოდა ქუთაისში. დეკანოზი თადეოზი 1968 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა. მას წესი აუგო ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა ნაუმმა (შავიანიძე) სამღვდელოებასთან ერთად. დასაფლავებულია მშობლიურ სოფელში, საგვარეულო სასაფლაოზე.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიძოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთიბლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

**მესანთლეებისა და მკითხველების საყურადღებოდ!**

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" ნომრის ფასია 50 თეთრი.

**გარეკანის პირველი გვერდის ფოტოს ავტორი - ზურაბ ცხოვრებაძე**

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს სნეულებაში მყოფი მიტროპოლიტი დანიელი, მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, როინი-მიქაელი, ეთერი, მალვა, ზაზა, ლალი.**

„საპატრიარქოს უწყებანი" ... patriarchate.ge ... 98-95-41
რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე

# ფოტომატიანე

## დეკანოზი ალექსანდრე უნაფქოშვილი



მღვდელი ალექსანდრე იოსების ძე უნაფქოშვილი 1866 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში დაიბადა. XIX ს-ის 80-იან წლების ბოლოს დაქორწინდა (მეუღლეს სახელად ეფემია ერქვა). თავდაპირველად იგი ჩალაუბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1891 წლის ივნისში ზემო ავჭალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1894 წლის ივლისში კი დიღმის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიაში დაადგინეს. 1902 წლის 14 სექტემბერს დიაკვნად აკურთხეს და იმავე სამრევლოში მედავითნის შტატში დატოვეს. 1906 წლის ბოლოს თელავის მაზრის, სოფელ კალაურში გადაიყვანეს და ორკლასიან სამრევლო-საეკლესიო სკოლაში საღვთო რჯულის მასწავლებლად დანიშნეს. ამავდროულად თელავის ქალთა გიმნაზიაშიც ასწავლიდა. 1908 წელს მღვდლად დაასხეს ხელი და კალაურის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1913 წლის აღდგომას, წმ. სინოდის ბრძანების საფუძველზე, საგვერდულით დაჯილდოვდა. 1923 წლის აღწერილობით (ეს ცნობა დაცულია საპატრიარქოს არქივში, მცხეთა-თბილისის ეპარქიის საქმეებში) მამკოდის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. 1924 წელს დეკანოზის წოდება მიენიჭა. დეკანოზი ალექსანდრე 1936 წელს გარდაიცვალა.

დეკანოზ ალექსანდრეს ჰყავდა ორი ძმა, ფილიპე და ეფრემი, რომლებიც ასევე სასულიერო პირები იყვნენ. მღვდელი ეფრემი მსახურობდა კოჯრის წმინდა მარიამ მაგდალინელის სახელობის ტაძარში, ხოლო მღვდელი ფილიპე - მერეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში.

ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით სალომე გოგინაშვილს.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაწურიშვილი*

**მესანთლეებისა და მკითხველების საყურადღებოდ!**

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ ნომრის ფასია 50 თეთრი.

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენიოს სნეულებაში მყოფი მიტროპოლიტი დანიელი, მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, რონინ-მიქაელი, ეთერი, შალვა, ზაზა, ლალი და განსაცდელში მყოფნი ზურაბი და მარიამი**

**ბარეკანის პირველი გვერდის ფრესკის ავტორია დავით მორგოშია**

ვთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა გოგუაძე
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, გიორგი გვასალია, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაწურიშვილი, [illegible], [illegible], [illegible]; რედაქტორის თანაშემწე: [illegible]
დამკაბადონებელი: [illegible] ოპერატორი: [illegible]

საპატრიარქოს უწყებანი

# ფოტომატიანე

*ისტორიის სევდიანი ფურცლები*

# კომუნისტების მიერ მარტყოფის მონასტრის დარბევა

## „...არცა თანახმანი არიან მონასტრის გაძარცვაზე“

***გთავაზობთ 1923 წლის 12 მარტს მარტყოფის მამათა მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ გერმანეს (იაშვილი) მიერ საკათალიკოსო საბჭოსადმი მიწერილ წერილს:***

„თანამდებობისამებრ ჩემისა, ვაცნობებ რა თქვენს უწმიდესობას გარემოებას ჩვენი მონასტრისა შესახებ იმისა, რომ მარტყოფ-ნორიოს კომიტეტის წევრნი უპირებენ ჩამორთმევას ყოველნაირი ქონებისა და დათხოვნასა ჯელი ბერებისა. დიდ ხუთშაბათს აღწერეს ყოველივე ქონება, ხოლო ეკლესიის შიგნით არსებული საგნები ვერ მოასწრეს. თხოვნა ჩემი დააკმაყოფილეს იმით, რომ საღმრთო მსახურებისათვის არ შემიშალეს ხელი. აღდგომის შესამე დღეს უნდა მოსულიყვნენ წასაღებად ქონებისა, მაგრამ ხალხი ურმებს არ აძლევს და არცა თანახმანი არიან მონასტრის გაძარცვაზე. არ ვიცი რით დამთავრდება ეს ჩვენი საქმე. დეკრეტი არა ჰქონდათ თან წამოღებული და შემპირდნენ მოტანას. უმორჩილესად გთხოვთ თქვენს განკარგულებას, თუ როგორ მოვიქცეთ ქონების ჩამორთმევის დროს“.



*სხედან მარცხნიდან: უცნობი ბერი, უცნობი ბერი, მღვდელი გიორგი მაცუკაძე, არქიმანდრიტი გერმანე (იაშვილი), იღუმენი ხარლამპი (ხომასურიძე). შუაში დგას ბერ-დიაკვანი აითალა (ძამაშვილი, შემდგომში მღვდელ-მონაზონი)*

1923 წლის 19 აპრილს მარტყოფის აღმასრულებელმა კომიტეტმა აღწერა მონასტერი. როგორც მამა გერმანე წერს, იმ დროს მონასტრის საძმო შესდგებოდა 12 კაცისაგან, გარდა საქონლის მწყემსისა და ერთი კურატი ბიჭისა. **ესენი იყვნენ: არქიმანდრიტი გერმანე (იაშვილი), მღვდელმონაზონი ევაგრე (დიასამიძე), მღვდელმონაზონი ხარლამპი (ხომასურიძე), მღვდელმონაზონი იოანე (მაისურაძე), მღვდელმონაზონი ანტონი (ოროჟანდოვი), ბერდიაკონი იოაკიმე (რამაზაშვილი), ბერდიაკონი აითალა (ძამაშვილი), ბერდიაკონი იოსები, ბერი იოსები (მელაძე) და კიდევ სამი ჩვენთვის უცნობი ბერი. (მათი ვინაობა ჩვენთვის ცნობილი გახდა ფოტოდან, რომელსაც წაწერილი ჰქონდა მათი სახელები - რედ.).** „ამ 14 კაციდან დასტოვეს მონასტერში ბრმანი, მკელობელნი და მოხუცებულნი, სულ 6 კაცი და ერთი ჯელი ბიჭი. ბერდიაკონი აითალა მომვლელად უძლურია. მწყემსი და კურატი სრულიად დაითხოვეს. დანარჩენთ, რომელთაც ხოჯელე შესწევთ ე. ი. სამ მღვდელმონაზონს, ერთ ბერს და ერთ მორჩილს გამოუცხადეს, თუ იგინი ისურვებდნენ მონასტერში დარჩენას, მაშინ უნდა გადაიხადონ სენაკების ნალოგი (ხარკი), ხოლო მოხუცებულნი კი – უხარკოდ იცხოვრებენ. მათი სიტყვით ნალოგი იქნება თვეში 2 მანეთი ოქროთი, რომლის გადახდა შეუძლებელია ჩვენი ბერებისათვის. შესაბამისად მოხუცებულთა ძმათა მონასტერს დაუტოვეს 2 დესიატინა მიწა და ძროხა, თავისი ხბოთი, ხოლო დანარჩენი 1 უღელი ხარი და 1 მოზვერი წაიყვანეს. გარდა ამისა, მორთულობა, რაც უკეთესი იყო თავისი სამართველოსათვის წაიღეს. აპირებენ სამზარეულოს ჭურჭლის წაღებასაც. უმორჩილესად გთხოვთ, დარიგება მისცეთ ამ ჩვენი მონასტრის ძმათ, თუ როგორ მოიქცნენ ამ შემთხვევაში“.

ფოტო გადაღებულია XX-ს-ის 20-იანი წლების ბოლოს.

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**

**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს სნეულებაში მყოფი მიტროპოლიტი დანიელი, მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, რონინ-მიქაელი, ეთერი, შალვა, ზაზა, ლალი და განსაცდელში მყოფნი: ზურაბი და მარიამი**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა გოგუაძე
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, [illegible], ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, [illegible], [illegible] [illegible], [illegible]; რედაქტორის მანძილზე?: [illegible],
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე ოპერატორი: [illegible].

# ფოტომატიანე



## დეკანოზი ნიკონ სალარიძე

დეკანოზი ნიკონ სალარიძე 1848 წელს, გორის რაიონის სოფელ წაღვლში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. მამამისი, მღვდელი მარკოზ სალარიძე გორის რაიონის სოფელ წაღვლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მსახურობდა. 1866-70 წლებში თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1871 წლის 29 მარტს თბილისის ორბელიანების წმინდა ნიკოლოზის სახელობის კარის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა, სადაც წელიწად-ნახევარი იმსახურა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი — მღვდლად აკურთხეს და წაღვლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნეს. 1890-91 წლებში, მამა ნიკონის თაოსნობით, წაღვლის ტაძარი საფუძვლიანად გაარემონტეს, რისთვისაც მან პირადი ხარჯიდან გაიღო 400 მანეთი. ამასთან დაკავშირებით, 1891 წლის მარტში იგი საგვერდულით დაჯილდოვდა. 1898 წლის 23 ივნისს, თავისი თხოვნის საფუძველზე, დაინიშნა ატოცის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად. 1904 წლის აღდგომას, წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე დაჯილდოვდა სკუფიით. 1910 წლის 6 მაისს უბოძეს კამილავკა, ხოლო 1914 წლის 6 მაისს — სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს. 1918 წლის 1 ოქტომბერს ურბნელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) დეკანოზის წოდება მიანიჭა. 1926 წელს, 78 წლის ასაკში, ჯანმრთელობის გაუარესებისა და მოხუცებულობის გამო, მსახურებას ჩამოშორდა და ოფიციალურად აღარ იხსენიება სამღვდელოთა რიგებში. დეკანოზი ნიკონი XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში გარდაიცვალა.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

**გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ჯემალ ხუციშვილის ნახატი**

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს სნეულებაში მყოფი მიტროპოლიტი დანიელი, მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, როინი-მიქაელი, ეთერი, შალვა, ზაზა, ლალი და განსაცდელში მყოფნი: ზურაბი და მარიამი**

## უცხოეთის ქრონიკა

ათასიანი ბერძნული ეროვნული უმცირესობის რელიგიურ ლიდერად და უწოდებენ ფანარიონის მართლმადიდებელ ბერძენთა პატრიარქს."

თურქმა პარლამენტარმა იბრაჰიმ ოზდოგანმა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსთხოვა საპასუხო ზომების მიღება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ანსამბლეის მიმართ, კერძოდ კი ის, რომ „გაპროტესტდეს მათი უსაფუძვლო მოთხოვნა, რომ თურქეთმა ცნოს პატრიარქ ბართლომეოს I-ის „მსოფლიო" სტატუსი მაშინ, როდესაც იგი მხოლოდ თურქული ინსტიტუციის რელიგიური ლიდერია." თავისი სიტყვების დასადასტურებლად თურქმა პარლამენტარმა მოიშველია 1923 წლის ლოზანის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, კონსტანტინეპოლის პატრიარქი დამტკიცდა, როგორც „ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი".

როგორც ცნობილია, ფანარიონი ეწოდება სტამბულის ერთ-ერთ ისტორიულ უბანს, სადაც განთავსებულია კონსტანტინეპოლის საპატრიარქო.

კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი პატრიარქის „მსოფლიო" ტიტულის ტრადიცია ბიზანტიის იმპერიის პერიოდიდან მომდინარეობს. ეს ტრადიცია უკავშირდება თვით ბიზანტიის იმპერიის სახელწოდებას - „იკუმენი" ანუ „მსოფლიო". სტამბული კონსტანტინეპოლს XV საუკუნეში, თურქების მიერ მისი დაპყრობის შემდეგ ეწოდა. კონსტანტინეპოლის პატრიარქის სრული ტიტული დღემდე ასე ჟღერს: „ყოვლადუწმინდესი კონსტანტინეპოლისა და ახალი რომის მთავარეპისკოპოსი და მსოფლიო პატრიარქი".


სიგელი

ალ გახსნილი დაწყებითი სკოლა.

ნიკოლოზ გაჩეჩილაძემ 1903 წელს, ქუთაისის სასულიერო სემინარიის წარჩინებით დაამთავრების შემდეგ, ყაზანის საიმპერატორო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩააბარა, რომელიც 1910 წელს დაამთავრა. 1914 წლიდან იგი ქ. გორის ჰოსპიტალის მთავარი ექიმია. უანგარო ექიმი წლების განმავლობაში თავდაუზოგავად ემსახურებოდა ცხინვალისა და მთელი შიდა ქართლის მოსახლეობას. 1920 წლის ზამთარში გორი ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია, ნიკოლოზმა თავად შეიძინა კარვები და იქ გაანათავსა მიწისძვრისგან დაზარალებულნი, ასევე საკუთარი სახსრებით შემოსა გორის გიმნაზიის მოსწავლეები. 1921 წლიდან იგი თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა. გასაბჭოებისას, მიუხედავად შემოთავაზებისა, მას ქვეყანა არ დაუტოვებია; დაარსა მწერალთა, კომპოზიტორთა და მხატვართა კავშირის პოლიკლინიკა. მკურნალთან შინ ხშირად მოდიოდნენ კულტურისა და ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ღვთისმოშიში ექიმი განსაკუთრებულად ზრუნავდა ბავშვებზე, უსასყიდლოდ მკურნალობდა და მატერიალურად ხელს უმართავდა გაჭირვებულ და ხელმოკლე ადამიანებს.

ნიკოლოზი ყველაზე რთულ წლებშიც მუდამ ეკლესიის თანამდგომი იყო. მამის - დეკანოზ მაკარის გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ, რომ ნიკოლოზი თბილისიდანაც მუდმივად ეხმარებოდა წევის წმიდა გიორგის ეკლესიას, ამ პერიოდში ტაძარს მეტად ავიწროებდნენ ბოლშევიკები. ექიმის მეგობრები იყვნენ და მის სახლში სტუმრობდნენ: კათოლიკოს-პატრიარქები - ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე, ლეონიდე ოქროპირიძე. ეპისკოპოსი დიმიტრი ლაზარაშვილი, დეკანოზი ხარიტონ დევდარიანი (შემდგომში კათოლი-





დეკანოზი მაკარი

კოს-პატრიარქი დავით V) და სხვები. 1926 წელს ექიმის სახლში კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ ეპისკოპოსთა მონაწილეობით მონათლა ნიკოლოზის ქალიშვილი მზეთამზე. მკვლევარი ვახტანგ გურგენიძე კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასადმი მიძღვნილ ნარკვევში - „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული - საქართველოს..." აღნიშნავს: „НКВД"-ს სააგენტურო მეთვალყურეობით გამოვლინდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასთან ...ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვთ: ეპისკოპოს ქრისტეფორეს... დოქტორ გაჩეჩილაძეს, მცხ. გრიბოედოვის ქ. №4". ექიმი ძალიან შეავიწროვეს ბოლშევიკებმა. „НКВД"-მ საკუთარ სახლში შეუსახლა არაქართველი ჩეკისტები, ხოლო 1937 წელს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ბრალდებით იგი დააპატიმრეს. შემორჩენილი ჩხრეკის ოქმების მიხედვით წაუღიათ სახარება, 12 ძვირფასი ხატი, სხვადასხვა წერილები, დალუქეს ავეჯი და ოჯახს გასახლება დაუპირეს. ექიმის შვილებმა მოასწრეს სიგელის, რამდენიმე ხატის, სასულიერო და სხვა წიგნების სარდაფში გადამალვა. ინტელიგენციის ჩარევით უდანაშაულო ექიმი გაათავისუფლეს. მიუხედავად ასეთი განსაცდელისა, ნიკოლოზი აგრძელებდა ეკლესიის თანადგომას, მან თავისი მეგობრის, აკად. შ. ამირანაშვილის თანადგომით წევის ტაძარი გადაარჩინა.

საქართველოს დამსახურებული ექიმის არქივში საინტერესო წიგნები, წერილები და ფოტოსურათებია შემონახული: ქუთაისის სემინარიის პირველკურსელთა ფოტოსურათის უკანა გვერდზე ხელით მიწერილია მოსწავლეთა გვარები, ხოლო ინსპექტორს, მამა დიმიტრი აბაშიძეს აწერია - „გარუსებული". მხატვარ გ. ზაზიაშვილის დიდ მხატვრულ ფოტოსურათზე სემინარიის კურსდამთავრებულთა ფოტოები განლაგებულია დიდი მიტრის ფონზე, მიტრის თავზე კი მეფე ერეკლე II-ის, კათოლიკოსების - ანტონ I-ისა და ანტონ II-ის, ეპისკოპოსების - გაბრიელ ქიქოძის, ლეონიდე ოქროპირიძისა და სხვა სასულიერო პირთა სურათებია. აქვეა სემინარიის შენობის ფოტოც. აღსანიშნავია აგრეთვე კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ნიკოლოზისადმი გამოგზავნილი წერილი, წარწერით ნაჩუქარი წიგნები და „ვეფხისტყაოსანი", მისივე ავტორობით რუსულ ენაზე 1906 წელს გამოცემული „ისტორიული ცნობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის საკითხისათვის", ასევე დეკანოზ მარკოზ ტყემალაძის რუსულად გამოქვეყნებული წიგნი - „თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი" (1904წ.). ამ წიგნში დაბეჭდილი სიონის ღვთისმშობლის ხატის ფოტოსურათით დადგინდა, როგორი იყო ხატის პერანგი, რომელიც რუსებმა მოხსნეს და დაიკარგა. აქვეა წმინდა ნინოს ჯვრისა და მისი კარედის ხატის, სხვა ხატების, პატრიარქების დღეს უკვე დაკარგული მიტრების, სიონის ეკლესიის დარბაზის ფოტოებიც. სიგელი და არქივი ნიკოლოზისავე სახლში ინახება, დღეს იქ მისი ქალიშვილი მზეთამზე (მზია) გაჩეჩილაძე შვილებთან, შვილიშვილებთან და მათ შვილებთან ერთად ცხოვრობს. ქალბატონი მზეთამზე წევის წმინდა გიორგის ეკლესიის სიყვარულით არის ანთებული, ახალგაზრდობიდან მოყოლებული, დღემდე, ყოველ წელს ოჯახთან ერთად ადის წევაში სა-



მღვდელი ეფრემი

ლოცავად და ცდილობს, გაჩეჩილაძეების თანადგომით გვარის წმინდა სალოცავში წირვა-ლოცვა მუდამ ჩატარდეს, საბედნიეროდ, მარგვეთის ეპარქიის მღვდელმთავრის კურთხევით, დღეს ტაძარში ღვთისმსახურება უკვე ყოველ თვე აღევლინება.

*გოჩა არონიშიძე,*
*ნიკოლოზ შურღაია*
*ნიკოლოზ გაჩეჩილაძის შვილიშვილები.*

*ტექსტში გამოყენებულია ქ., ემ. და გ. გაჩეჩილაძეების, რ. და გ. იაკობაშვილების, ს. კორძაიას, ნ. ფაილოძის და სხვათა მასალა.*

# ფოტომატიანე

## დეკანოზი ნიკოლოზ სასანია



დეკანოზი ნიკოლოზ თადეოზის ძე სასანია მღვდლის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი. 1895 წლის 23 აგვისტოს გამოირჩიეს სოხუმის ეპარქიის სოფელ ფოქვეშის სამრევლოს წინამძღვრად. იმავე წლის 28 აგვისტოს დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 3 სექტემბერს მღვდლად დაასხეს ხელი. 1895 წლის 5 დეკემბერს სოფელ მეორე გუდავის სამრევლოს წინამძღვრად გადაიყვანეს. 1897 წლის 4 დეკემბერს გადადგა მეორე გუდავის ეკლესიის წინამძღვრობიდან. 1898 წლიდან მამა ნიკოლოზი მსახურობს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. საპატრიარქოს არქივში, ჭყონდიდის ეპა[rქ]ქიის საქმეებში, დაცულია მამა ნიკოლოზის ერთი ფრიად საინტერესო, 1928 წლით დათარიღებული წერილი: 1928 წელს გარდაიცვალა ხობის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი შიო (ქვილითაია). მამა ნიკოლოზმა გამოთქვა სურვილი, ბერად აღკვეცილიყო და თხოვნით მიმართა მაშინდელ კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს (ციცქიშვილი), დაენიშნათ ხობის მონასტრის წინამძღვრად არქიმანდრიტის წოდებით, მაგრამ უწმიდესმა ქრისტეფორემ მამა ნიკოლოზს ამ თხოვნაზე უარი განუცხადა, რადგან დიდი იყო საფრთხე უღმერთოთაგან მისი სიცოცხლის ხელყოფისა.

შემდგომ წლებში მამა ნიკოლოზი სამღვდელო საიდუმლოებებს სახლში აღასრულებდ[ა]. გარდაიცვალა 1943 წელს. დაკრძალულია სოფლის სასაფლაოზე.

ფოტო მოგვაწოდა მამა ნიკოლოზის შთამომავალმა, სამთავროს დედათა მონასტრის სამონაზვნე ფოტინემ (სასანია).

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

**გარეკანზე – სვეტიცხოვლის აკროტერიუმი**

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს სნეულებაში მყოფი მიტროპოლიტი დანიელი, მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, რონინ-მიქაელი, ეთერი, შალვა, ზაზა, ლალი და განსაცდელში მყოფნი: ზურაბი და მარიამი**

„საპატრიარქოს უწყებანი" ... http://www.patriarchate.ge
... №1
... 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე

# „ის ბოლომდე იხარჯებოდა უფლის სიყვარულისათვის“

*მღვდელ-მონაზონი ანდრია (ყურაშვილი) სარწმუნოებისათვის, საქართველოსთვის თავგანწირული ადამიანია. მისი ცხოვრება ჯერ კიდევ ბოლომდე არაა აღწერილი. შევეცადეთ, ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ საქმეში. სწორედ ამ მიზნით გავესაუბრეთ მის მრავალრიცხოვან დედმამიშვილთაგან ერთ-ერთს (მან გვთხოვა არ დაგვესახელებინა მისი სახელი), რომელიც დიდი თხოვნის შემდეგ დავიყოლიეთ, მოეთხრო თავისი ძმის შესახებ.*

## „მამა ანდრიას შემთხვევა მართლაც გამორჩეული იყო“

მამა ანდრია საოცარი ადამიანი იყო. ჯერ კიდევ ერში, თითქოს განსაკუთრებულად არ გამოირჩეოდა სხვებისგან, მაგრამ თუ დააკვირდებოდი, თითოეული მისი ნაბიჯი, საქციელი და გადაწყვეტილება ღვთის გზისკენ სწრაფვა იყო. მახსოვს ერთი საინტერესო რამ: საბჭოთა ჯარში სამსახურის დასრულებისთანავე, მატარებელში გაიძრო სამხედრო შინელი და ფანჯრიდან გადააგდო. ვისაც ჯარში უმსახურია, კარგად მოეხსენება, რომ შინელი ჯარისკაცისთვის, საბანიცაა და ტანსაცმელიც, მან კი ამ საქციელით, თითქოს მთელი თავისი უარყოფითი განწყობა გადმოსცა იმ წყობილებისადმი და სამუდამოდ უარყო იგი.

ადრიდანვე გაიტაცა აღმოსავლურმა ორთაბრძოლებმა. საერთოდ, ბუნებით, მაძიებელი პიროვნება იყო და ვარჯიშმა და იოგამაც, ალბათ, სწორედ ამიტომ დააინტერესა, ყველაფერში ეძებდა სრულყოფილებას, სიწმინდეს, პასუხს საჭირო კითხვებზე და როცა ამქვეყნიურ ცხოვრებაში ჭეშმარიტება ვერ დაინახა, სულიერებაში იწყო ძიება და აღმოაჩინა, რომ სწორედ აქ შეიძლებოდა გასცემოდა პასუხი ყველა კითხვას, მხოლოდ რწმენის ჭეშმარიტებამ დააკმაყოფილა ბოლომდე და საბოლოოდ ისეთი სარწმუნოება მოიპოვა, რომ ყველაფერი გასაგები გახდა მისთვის, ყველა კითხვაზე თითქოს თავისთავად იღებდა სათანადო პასუხს.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, მუშაობდა, ვარჯიშობდა, ჩვენგან მოშორებით, ცალკე ბინაში ცხოვრობდა და თითქმის ყოველდღე მოდიოდა. საოცარია, მაგრამ ერშიც კი ტიბიკონივით, გეგმასავით ჰქონდა აწყობილი დღე. დილით ლოცვებს კითხულობდა, მერე ჩვენთან ამოვიდოდა, იტრაპეზებდა და ისევ წავიდოდა. მაშინ დაახლოებით 23 წლის იქნებოდა. ამასთანავე, ახალგაზრდული ცხოვრებითაც ცხოვრობდა, მეგობრებთან, მეზობლებთან ერთად დადიოდა სათევზაოდ თუ სხვაგან. საცოლეც ჰყავდა და მალე უნდა დაოჯახებულიყო, მაგრამ შემდეგ ისე მოხდა, რომ თავადვე გადაიფიქრა, ნელ-ნელა ყველა საერო საქმესა და სურვილზე აიცრუა გული და ეკლესიაში სიარულს მოუხშირა. მისი პირველი მოძღვარი ზედა დიმის ეკლესიის მღვდელი დავით ბურჯანაძე იყო. ნელნელა ეკლესიურ ცხოვრებაში გათვითცნობიერდა, ყველაფერს მოწყდა, სულ ჩაიკეტა, ადამიანებს ერიდებოდა. საინტერესოა კიდევ ერთი რამ: გვეგონა, რომ მონათლულები ვიყავით. მამა ანდრიამ გაარკვია, რომ თურმე კირილე, ვინც ჩვენ მოგვნათლა ბაღ-



მღვდელ-მონაზონი ანდრია (ყურაშვილი)

დადში, განდგომილი დიაკვანი ყოფილა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ყველანი ერთად მოვნათლულიყავით. მაგრამ შემდეგ ისე გამოვიდა, რომ თავდაპირველად მხოლოდ ის მოინათლა. ჯერ კათაკმევლად დაადგინეს, დაიწყო სასულიერო წიგნების ინტენსიური კითხვა, თითქოს იოლად აუღო ალღო სულიერ ცხოვრებას, უფრო ღრმად დაიწყო შესწავლა. მალე მომლოცველთა ჯგუფებს გაჰყვა კიდეც აჭარაში – სხალთაში. რადენიმე ხანი იქ დარჩა, შემდეგ ისევ დაბრუნდა შინ მცირე დროით, ბოლოს ტყეში გაიხიზნა. იქ მარტო ცხოვრობდა გამოქვაბულში. თოვლი რომ მოვიდა და იქიდან ჩამოვიდა, მახსოვს, ერთ მორწმუნე, მაგრამ არაეკლესიურ ქალს, რომელსაც განდეგილური ცხოვრება იზიდავდა, არიგებდა, მოძღვრის გარეშე ნურაფერს გააკეთებ, რადგან იქ ისეთი ბრძოლებია, მარტო ვერ გაუმკლავდებიო. ჩანს, თვითონც საკმაოდ იწვნია

ეს მდგომარეობა და აქედან გამომდინარე ურჩევდა სხვასაც.

გავიდა ცოტა ხანი და იგი ისევ სხალთაში წავიდა. ჩვენ უკვე ნაკლებად ვერეოდით მის გადაწყვეტილებებში. ამ პერიოდში ქვეყანაში მდგომარეობაც აირია, იშვიათად გვიკავშირდებოდა, ათასში ერთხელ ვიღაცის მეშვეობით თუ გვაწვდიდა წერილს. არც გვიკვირდა, რადგან მანამდეც შეჩვეულნი ვიყავით მისგან სიშორეს: ხან რუსეთში იყო, ხან ჯარში, ხან მარტო ცხოვრობდა. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ბერად აღკვეცილიყო. ერთხელ ჩვენს უფროს ძმას - მამა ილია ეწვია, მან წაგვიყვანა ძმები მის სანახავად. გავოგნდი: სრულიად შეცვლილი იყო. ადრე, როცა ვარჯიშობდა, ათლეტური აღნაგობისა იყო, ახლა კი ჩვენ თვალწინ ბერული ცხოვრების მიმდევარი კაცი იდგა: გამხდარი, სპეტაკი და ნათელი სახით. გაკვირვებულები ვუცქერდით და ვფიქრობდით, ასე მცირე დროში, როგორ შეიძლება ასე შეცვლილიყო ადამიანი.

მონასტერში წასვლა მისთვის უბრალო რამ არ იყო და იქ ჩვეულებრივი ცხოვრება არ გაუგრძელებია, არამედ სრულიად შეგნებულად, გაცნობიერებულად აირჩია ბოლომდე სრულყოფილებისთვის შრომა, თავდადება. მისი ეს ღვაწლი მეც ძალიან დამეხმარა, როცა მონასტერში მოვედი, თავიდანვე უპოვარი ცხოვრებით ცხოვრობდა: ჩვენს სანახავად რომ ჩამოვიდა, გადაჭრილი რეზინის ფეხსაცმელები და გახუნებული ბერული კაბა ეცვა. გარეგნულ მხარეს ყოველთვის ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. მით უფრო საოცარი იყო ეს, რადგან ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი იყო. მუდმივი მლვიძარებით სახე განსპეტაკებული ჰქონდა და აშკარად იგრძნობოდა, რომ უკვე სხვა, ჩვენგან საკმაოდ განსხვავებული ადამიანი იყო.

მამა ანდრია განსაკუთრებულ მოკრძალებას გინერგავდა, მახსოვს, ბავშვობიდან მოყოლებული, მშობლებზე მეტადაც კი მიყვარდა და განსხვავებული, საოცარი კრძალვა მქონდა მისადმი. მისმა



*მამა ანდრიას (ყურაშვილი) საფლავი კომანში*

მოღვაწეობამ ჩვენი ცხოვრებაც შეცვალა. დიდი ქადაგებებით არასდროს გვტვირთავდა, თავისი საქმით, ქცევებით გვიჩვენებდა ჭეშმარიტებას. შემდეგ სხვა სასულიერო პირებისგან ხშირად გვსმენია, რომ ძალიან განიცდიდა ოჯახის მდგომარეობას, მაშინ არ ვიყავით სარწმუნოებაში, არ ვიყავით ეკლესიურები. მამასთან მისი ერთი საუბარი დამამახსოვრდა. ისინი ბედნიერებას შეეხნენ. მამა ანდრია ამბობდა: - ჩემი ცხოვრების მანძილზე ყველაფერი გამოვცადე, მაგრამ ვერაფერში ვნახე ბედნიერება და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ეს არის ჩემი გზა და რწმენაშია სრული ბედნიერებაო. თან საოცრად კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით, ამ გზის არჩევით. მისი ცხოვრების ასეთმა სტილმა და მოკრძალებამ ჩვენი სარწმუნოებისადმი ინტერესი გამოიწვია და ნელ-ნელა დავიწყეთ რწმენაში გათვითცნობიერება, ასე აღმოჩნდით უფლისკენ მავალ გზაზე.

დღეს ჩემი ერთი ძმა, მამა იოანე - ბერია, იგი ბაღდათში, ზედა დიმის ეკლესიაში მსახურობს. ერთი და - დედა შუშანიკი სამთავროს მონასტერში მონაზონია, მეორე და - სამონაზვნე მაკრინე მარტყოფის დედათა მონასტერში იმყოფება. სულ შვიდი დედმამიშვილი ვართ. ყველა ეკლესიური ცხოვრებით ვცხოვრობთ. მამაჩემი კომუნისტურ პერიოდში დაიბადა და აღიზარდა, ამიტომ სარწმუნოებას მხოლოდ ისტორიის კუთხით აღიქვამდა, აგროვებდა ხატებს, ტაძრებში დადიოდა, უნდოდა, ისტორიული ძეგლები არ დაკარგულიყო და მხარეთმცოდნეობის მუზეუმიც ჰქონდა შექმნილი. სახლში გვქონდა სადღესასწაულო წიგნები, ლოცვანი, ხატები, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ნელ-ნელა მოიპარეს. თავიდან მამა მორწმუნე არ იყო, თუმცა სასულიერო პი-

რებთან ურთიერთობა ჰქონდა, თურმე კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ისთვის ძველი ხატი გადაუცია. გარდა ამისა, გადმოცემით ვიცით, რომ მამის ბაბუა სასულიერო პირი, ალბათ, დიაკვანი ყოფილა. სამწუხაროდ, მის შესახებ ზუსტი ცნობები არ გვაქვს. მამაჩემი ყვება, რომ კომუნისტებს ხშირად მიჰყავდათ დასაკითხად იმ რთულ და მძიმე წლებში. იგი ძალიან მორწმუნე კაცი ყოფილა, შინ ჰქონია ხუცური ლოცვანი და სხვა საეკლესიო წიგნები. დღესასწაულების დროს ამ წიგნებიდან კითხულობდა ხოლმე ლოცვებსო._

ალბათ, წინაპრების სულიერებამაც მოახდინა გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენი ღვთისკენ მიმავალი გზის გამკაფავი მამა ანდრია იყო. ის რომ არა, შეიძლება დღეს ჩვენ არც დავკავშირებოდით სარწმუნებას ან რიგით მრევლად დავრჩენილიყავით. პირადად ჩემზე მისმა ცხოვრებამ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. იგი იყო მაგალითი თავდადებისა. იმ პერიოდში, როცა ის ბერად აღიკვეცა, ჯერ კიდევ სასაცილო იყო ეს საქციელი ზოგიერთი ადამიანის აზრით, ასეთი ნაბიჯი დიდ თავგანწირვას უტოლდებოდა, დღეს ვითარება შეიცვალა, ახლა უფრო სცემენ პატივს სასულიერო პირებს.

მამა ანდრიასთვის უფლის გზა საოცარი აღმოჩენა იყო, მან ჭეშმარიტება აღმოაჩინა და ნამდვილად მიხვდა, რომ სწორედ შეჭირვების, მოთმინებისა და თავმდაბლობის გზა მიდის ღმერთამდე. ყველაფერი შინაგანად დაუკავშირდა უფალს. რაც უფრო მეტად მიდის კაცი ამ გზაზე, მით უფრო აღმოაჩენს, რომ მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მასზე ძვირფასი არაფერია.

ვიცი, მამა ანდრიას ცხოვრების შემყურე, ბევრი ადამიანი ფიქრობდა, რომ მისი თავდადება ხიბლი იყო. მას კი სხვანაირად ცხოვრება მართლა არ შეეძლო, ის ბოლომდე იხარჯებოდა უფლის სიყვარულისათვის. შეიძლება ასეთი ღვაწლი დღეს იშვიათი და უცხოა, ასეთი ღვაწლი მარტო წიგნებში გვაქვს წაკითხული და ხალხს ამიტომ ეჩვენებოდა ეს ხიბლად. მაგრამ მამა ანდრიას შემთხვევა მართლაც გამორჩეული იყო. დიდი და განსაკუთრებული ვნებები ამ ადამიანში არ ჩანდა, არც განსაკუთრებული სიფიცხე ახასიათებდა არასდროს, ერშიც ძალიან უბრალოდ ცხოვრობდა, ყოველგვარი კადნიერების გარეშე, თავიდანვე კეთილი ბუნებით იყო დაჯილდოებული.

განსაკუთრებით უყვარდა სილუან ათონელის ცხოვრება. შეიძლება იმიტომ, რომ ბევრი რამე ემთხვეოდა მის ცხოვრებას ერისკაცობიდან მოყოლებული: სილუან ათონელიც მრავალშვილიანი ოჯახიდან იყო, ფიზიკურად ისიც საკმაოდ ძლიერი იყო. თითქოს ბოლომდე ბაძავდა მას.

საოცარი იყო კიდევ ერთი თვისება: მას შემდეგ, რაც მონასტერში წავიდა, ამქვეყნიურ საჭიროებებზე სრულებით აღარ ზრუნავდა. ხანდახან დასაცინ მდგომარეობაშიც კი ყოფილა. მახსოვს, სხალთიდან წამოსულმა, თან არაფერი წამოიღო, გარდა ერთი ხატისა. ყველაფერი – ტანსაცმელი, ფეხსაცმელი – იქ დატოვა.

მებრძოლი სული ჰქონდა, მაგრამ არ შეეძლო ქადაგება, თავს არიდებდა ასეთ მოღვაწეობას, მაგრამ მისმა მებრძოლმა ბუნებამ საოცრად დაახლოვა ჯარისკაცებს, მას მსგავსი სულის ადამიანებთან შეეძლო საუბარი, ქადაგება. ალბათ, სწორედ ამიტომ გაუგო ომში მყოფთ, მუდამ ამხნევებდა მებრძოლებს, მათი მოძღვარი იყო, ყველას ძალიან უყვარდა. ყველაზე დიდი და შეუპოვარი ბრძოლა სულიერი ბრძოლაა. მასში თავდადებული ადამიანი მუდამ მღვიძარებაშია, თავგანწირულია, შინაგანად უშიშარია და ამასთან, მოკრძალებული და თავმდაბალია. სწორედ ამ თვისებებს ხედავდნენ მამა ანდრიაში და ეს უნერგავდა მათ ღვთის რწმენას იმ სასტიკ ომში.

*მოამზადეს ზურაბ ცხოვრებაძემ და თამარ ასათიანმა*

„იჩქარეთ, იჩქარეთ, ქრისტიანებო! იხსენით თქვენი სულები, სანამ დროა; ვიდრე ელის და სულგრძელებს უფალი; სანამ ჯერაც არ დახშულა სასუფევლის კარი."

* * *

„მტერი არ თვლემს – დღედაღამ, სიზმარში თუ ცხადში, ცოდვისკენ გვიზიდავს და ჩვენს სულში მომაკვდინებელ ვნებებს ასაზრდოებს. იფხიზლე, ადამიანო! ჯვარს აცვ ვნებები, განსაკუთრებით, გემოთმოყვარება და ყველა ხორციელი ცოდვა."

*წმინდა მართალი იოანე კრონშტადტელი*

რებისა" (გამოცხ. 2,10), გვირგვინი უკვდავებისა.

დიდებულ გვამთა გარდაცვალებასაც კი აქვს ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა, ისიც უთუოდ რამეს გვასწავლის.

მივიჩნიოთ ეს ბარბაროსთაგან დაღვრილი სისხლი ჩვენს ეროვნულ ცოდვათა განმწმენდად, უკუღმართ გზიდან მომქცევად, მთლად საქართველოს შვილთა შემაერთებლად, განმამტკიცებლად.

შევფიცოთ ამ წინამდებარე ცხედარს, რომ ვიქნებით ნამდვილი აღმასრულებელი ამ მცნებისა, რომელიც განსვენებულმა თვისის მოღვაწეობით გვიანდერძა.

თუ ჩვენ გვექნება ერთობა ეროვნულ იდეალების მსახურებაში, მაშინ უეჭველია ჩვენი სამშობლო მხარე შეიძლებს კიდევ წარმოშოს ილიასებრი დიდებული მოღვაწენი და მაშინ კი საბოლოოდ განიხარებს განსვენებულის დიდებული უკვდავი სული.



*წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) გამოსვენება სიონის საკათედრო ტაძრიდან*

ღმერთო მაღალო და ძლიერო, გვაკმარე ეს უბედურება. ეს იყოს უკანასკნელი მსხვერპლი, სამშობლოს საკეთილდღეოდ და ჩვენთა ეროვნულ ცოდვათა სახსრად შეწირული ეროვნულ ტრაპეზად. სიდიადე ამ მსხვერპლისა თავდებია, რომ მომავალში ჩვენი უკუღმართობა, ჩვენი შეუგნებლობა მოსპობილ იქნება და ერთობილის ძალით შევუდგებით პირნათლად სამსახურს სამშობლო მხარის აღორძინებისას. თუ ამნაირი ღვაწლი დაგვდო ჩვენ ამ მსხვერპლის სისხლმა, თუ ჩვენ შევგვაერთა მამულისათვის თავდადებით სამსახურისთვის, ეს იქნება უკანასკნელი ჭეშმარტად დიდი ღვაწლი დიდებულის ილიასი, - მისი ხანგრძლივი შრომის სასურველი ნაყოფი და გვირგვინი. ჩვენის მხრითაც ეს იქნება ნამდვილი ვალის მოხდა, მისი ანდერძის აღსრულება და თან საუკეთესო პატივისცემაც განსვენებულის ხსოვნისა. ღმერთმან მოგვცეს ამის საშუალება.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, მამულისათვის თავდადებულო, დიდებულო მგოსანო ილიავ!

*1907 წ.*

# დეკანოზი იოანე სალარიძე

## „ალიოშა ტაძარში ჩაგდებული მკრეხელობის შემდგომ ჭკუიდან შეიშალა"

დეკანოზი იოანე 1873 წელს მღვდლის ოჯახში დაიბადა. მამამისი, მღვდელი მარკოზ სალარიძე გორის რაიონის სოფელ წაღვლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მსახურობდა. XIX საუკუნის 90-იან წლებში თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგ ყაზახის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1897 წლის 26 მარტს ელიზავეტოპოლის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის მედავითნედ გადაიყვანეს და იმავე წელს დიაკვნად აკურთხეს. 1899 წლის 20 მარტს თბილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში განამწესეს. 1900 წლის 13 მაისს მღვდლად დაასხეს ხელი და ზანავის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1904 წლის 29 ივნისს საგვერდულით დააჯილდოვდა. 1910 წლის წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე სკუფია უბოძეს. 1914 წლის 10 ოქტომბერს გორის მაზრის, X ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ აირჩიეს. იმავე წლის 25 ოქტომბერს ურბნისის წმინდა სტეფანე პირველდიაკონის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1915 წლის 6 მაისს კამილავკით დააჯილდოვდა.

1917 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, მამა იოანე ურბნისის ეპარქიის, რუისის ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. იმავე წელს საეპარქიო საბჭოს წევრია და სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვდა. 1922 წლიდან გორის ოქონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წი-

ნამძღვარია. მისი წინამძღვრობის პერიოდში კომუნისტებმა დაკეტეს გორის ოქონის ეკლესია. საპატრიარქოს არქივში, ურბნისის ეპარქიის საქმეებში დაცულია მამა იოანეს გაგზავნილი წერილი კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, ურბნელ ეპისკოპოს ქრისტეფორესადმი (ციცქიშვილი): „1923 წლის 5 აპრილს, დიდ ხუთშაბათს 5 საათზე, კომუნისტური პარტიის განკარგულებით, დაიკეტა გორის „ოქონის" ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია და მისი მსახურების ოთახი. ჩამოგვართვეს ურბნისის საეპარქიო კანცელარიის საქმეები, შემოსულ-გასული ქაღალდები, სანთელი, სანთლის საოპერაციო და ყოველგვარი გასავალ-შემოსავლის დავთრები. დახურეს სანთლის საწყობიც. გაძარცვეს ტრაპეზი, სუდარა, პატრუქი, წმ. სანთლების კოლოფი, აღწერეს ყველაფერი და კვლავ დაბეჭდეს ტაძარი. 17 აპრილს აღწერეს წმ. სამების ტაძარიც. იქაც გაიძარცვა ტრაპეზი. ნეტავი იმ შეგნებულ თვალს, რომელმაც პირადად ეს სურათები არ იხილა, რადგან ბედნიერია. ღვთისმსახურება შეწყდა, მორწმუნე ხალხი დიდ გოდებაშია. ტაძრების დაკეტვამ ისე აალელვა ხალხი, რომ 18 აპრილს, 2 საათზე მოხდა მორწმუნე მანდილოსანთა მრავალრიცხოვანი, დიდი გამოსვლა (სამღვდელოება არ ურევია ამ საქმეში). **ცხენოსანმა მილიციამ ცემა-ტყეპით დაშალა ხალხი. დატყვევებულნი არიან ის მღვდლებიც, რომელთაც ტაძრების დაკეტვის შემდეგ რაიმე მღვდელმოქმედება შეასრულეს."**



1924 წლის 9 მარტს ქალაქ ბორჯომში, ადგილობრივმა მრევლმა მოახერხა წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის გამზადება და მოიწვია ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე მის საკურთხებლად: „პატივისცემით მოვახსენებ თქვენს მეუფებას, რომ ამჟამად უკვე ფაქტიურად გახსნილია ქალაქ ბორჯომის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია მასში ღვთისმსახურების შესასრულებლად. გთხოვთ მობრძანდეთ და გვიკურთხოთ აღნიშნული ტაძარი. კურთხევის დღე დანიშნულია კვირას, 9 მარტს."

ვიდრე მოიწვევდნენ, 10 თებერვალს მოახდინეს სამრევლო კრება, რომელზედაც განიხილეს სამი საკითხი: 1) არჩევა სარევიზიო კომისიის წევრებისა. 2) არჩევა მღვდლისა ხსენებულ ტაძარში. 3) მღვდლის შესანახი საარსებო წყაროები. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ხმალაძე, მდივნად - ალექსანდრე ლაზარეს ძე მაისურაძე. მღვდლის ადგილზე დაასახელეს სამი კანდიდატი: ყოფილი წინამძღვარი, დეკანოზი იოაკიმე გორგაძე, ყოფილი მღვდელი ბორჯომის სასაფლაოს ეკლესიისა მღვდელი იოანე დამიანი-

## უცხოეთის ქრონიკა

### ბრიტანელი ექიმები თავიანთ ქრისტიანულ მრწამსს იცავენ

ლონდონში ექიმები ბრიტანეთის ხელისუფლებას, მოუწოდებენ რომ ნება დართოს, მათ იმოქმედონ თავიანთი რელიგიური მრწამსის შესაბამისად.

ბრიტანელი ქრისტიანი ექიმებისთვის, მათი სარწმუნოებრივი მრწამსიდან გამომდინარე, მეტად რთულია, ნება დართონ ჰომოსექსუალ წყვილს, იშვილონ და აღზარდონ ბავშვი. თუმცა ე.წ. „თანასწორობის აქტის" მიხედვით, რომელიც ამა წლის აპრილიდან ამოქმედდება, ექიმებს, რომლებიც უარს ეტყვიან ჰომოსექსუალებს ბავშვის აყვანაზე, „დიდი ბრიტანეთის გენერალური სამედიცინო საბჭოს" მიერ გაცემული სამედიცინო რეესტრი ჩამოერთმევათ.

### პოლონელ ქსენძთა ნახევარზე მეტი ცელიბატობის ინსტიტუტის წინააღმდეგ ილაშქრებს

პოზნანის უნივერსიტეტის პროფესორი იუზეფ ბანიაკი პოლონეთში ერთადერთი მკვლევარია, ვინც კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახურთათვის ქორწინების აკრძალვის შედეგებს იკვლევს. მისი მონაცემების თანახმად, პოლონელ ქსენძთა (პოლონელი კათოლიკე მღვდელი) დაახლოებით 60% კათოლიკურ ეკლესიაში ცელიბატობის ინსტიტუტის აუცილებლობის წინააღმდეგია და სურს, ჰყავდეს ოჯახი. პროფესორ ბანიაკის სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, პოლონელ ქსენძთა შორის ჭარბობს მარტოობის, იზოლირებულობისა და გულგატეხილობის გრძნო-

## უცხოეთის ქრონიკა

ბები. მრავალ მათგანს ასევე აწუხებს ის ფაქტი, რომ სადღეისოდ ადამიანები მათდამი ნაკლები პატივისცემით არიან განწყობილნი, ვიდრე ეს, თუნდაც 20-30 წლის წინათ იყო. პროფესორი ბანიაკი აცხადებს, რომ მისი კვლევები ცხადჰყოფს, - ოჯახის შექმნის სურვილი სულ უფრო მეტ ქსენძს აიძულებს ერში დაბრუნებას. პოზნანის უნივერსიტეტის პროფესორის გამოკვლევების შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება ოფიციალური მონაცემებისაგან, რომელიც პოლონეთში მოქმედმა კათოლიკური ეკლესიის სტატისტიკის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა. ოფიციალური მონაცემების თანახმად, 1998 წელს პოლონეთში სამღვდელო ხარისხზე უარი თქვა 39 ქსენძმა, ხოლო 2004 წელს – 57-მა, რაც ქვეყანაში კათოლიკური სამღვდელოების 0,24%-ს შეადგენს. უფრო ახალი სტატისტიკა ინსტიტუტს არ გააჩნია. პროფესორი ბანიაკი მიიჩნევს, რომ ეს მოვლენა გაცილებით უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. 2006 წელს პოლონეთის მხოლოდ სამ ეპარქიაში მღვდლობაზე ნებაყოფლობით უარი თქვა 60 ქსენძმა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ევროპის სხვა ქვეყნებში ამგვარი შემთხვევები პროცენტულად უფრო იშვიათია.

### უკრაინაში „მკურნალთა“ საჯარო სეანსები აიკრძალება

უკრაინის უმაღლესმა რადამ პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც კრძალავს ქვეყანაში მასობრივი სამკურნალო სეანსების ჩატარებას ჰიპნოზის გამოყენებით. კანონპროექტს ხმა მისცა 440-დან 392 დეპუტატმა.

დი და ურბნისის საეპარქიო კანცელარიის გამგე, მღვდელი იოანე სალარიძე. ხმების უმრავლესობით არჩეულ იქნა მღვდელი იოანე სალარიძე. კრებამ დაადგინა: მღვდელ იოანე სალარიძეს დაენიშნოს ჯა-



მაგირი საზოგადოების მხრიდან და ჯილდო, კერძოდ, შრომისათვის არ უნდა მიეცეს, საზოგადოების რომელიმე წევრისაგან ჯამაგირის გამომუშავება და პირობის დაწერა მღვდელთან მიენდოს საბჭოს.

1925 წელს მამა იოანე ბორჯომ-ახალციხე-ახალქალაქის ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს და დეკანოზის წოდება მიაენიჭეს. მიუხედავად სამცხე-ჯავახეთში არსებული მძიმე მდგომარეობისა, მამა იოანე ერთგულად ემსახურებოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

დეკანოზ იოანე სალარიძის შვილიშვილმა, ქალბატონმა ელეონორა კაკურიძემ გვიამბო ერთი ფრიად საგულისხმო ისტორია: „ზაფხულის გატარება ბორჯომში ბებიაბაბუასთან მიწევდა. ჩვენი სახლი ფოსტის ზემოთ, გორაკზე მდებარეობდა. ბაბუა, მიუხედავად სახიფათო დროისა, ერთგულად ეწეოდა მღვდელმსახურებას. იგი ბორჯომის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი იყო. ყოველდღე, დილიდანვე მიდიოდა ტაძარში და საღამოს ბრუნდებოდა. ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა უცნაურმა მოვლენამ. ჩვენს ეზოში მცხოვრები ბერძენი ეროვნების ჭკუასუსტი ალიოშა ყოველ ცისმარე დღეს ტაძარში მიმავალ ბაბუას წელში მოხრილი მოკრძალებით ესალმებოდა. ასევე ეგებებოდა საღამისაც, როდესაც მამა იოანე ტაძრიდან სახლში ბრუნდებოდა. ჩემთვის, რვა-ცხრა წლის გოგონასათვის ალიოშას ამგვარი საქციელი მეტად უჩვეულო იყო. ერთ დღეს ვთხოვე ბაბუას, განემარტა ჩემთვის მისი უცნაური ქმედება.

აი, რა დამამახსოვრდა მისი ნაამბობიდან. XX საუკუნის 20-იან წლებში, ეკლესიების საყოველთაო რბევისა და განადგურების პერიოდში, ბორჯომის ტაძარიც ვერ გადაურჩა შეურაცხყოფას. ერთ საღამოს ტაძარში მარტოდმლოცველ მამა იოანეს სამი კომკავშირელი დასხმია თავს. ისინი გააფთრებულნი შეცვივდნენ ტაძარში, მამა იოანეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. საკურთხევლიდან გარდამოხსნა აიღეს, ძირს დააგდეს და ფეხებით გათელეს. დალეწეს და გაანადგურეს, რაც კი ხელში მოხვდათ. შეძრწუნებული მამა იოანე ყველანაირად ცდილობდა მათ შეგონებას, ნუ იზამთ ამას, შვილებო, თავს ნუ დაიღუპავთო. მათ კი ამის პასუხად ხატები ჩამოგლიჯეს, დაამტვრიეს და თან გაიძახოდნენ: თუ ღმერთი არსებობს, აბა, დაგვსაჯოსო. ბოლოს, როდესაც გული იჯერეს, ყიჟინით გარეთ გაცვივდნენ. მამა

იოანე გულმოკლული და გაოგნებული დატოვეს. ერთ-ერთი მათგანი ამ სამთაგან სწორედ ალიოშა, ჩვენი მეზობელი ბერძენი დიაკვნის შვილი იყო. მცირე დროის გასვლის შემდგომ მამა იოანემ შეიტყო საზარელი ამბავი. ეკლესიაზე ერთ-ერთმა თავდამსხმელმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, ხოლო მეორე, ჩინებული მოცურავე, ბაბუას სიტყვით - „მტკვარზე გაზრდილი ბიჭი", მდინარეზე მეტად საეჭვო ვითარებაში დაიხრჩო. ხოლო ჩვენი მეზობელი ალიოშა ტაძარში ჩადენილი მკრეხელობის შემდგომ ჭკუიდან შეიშალა. საბრალოს ახლობლები უვლიდნენ. მას მხოლოდ ერთი რამ დასჩემდა, სადაც კი ნახავდა მამა იოანეს, დიდი შიშითა და მოკრძალებით ესალმებოდა.

1937 წელს მოძღვარი ჯანმრთელობის გაუარესების გამო საცხოვრებლად შვილებთან, ქალაქ გორში გადავიდა. დეკანოზი იოანე 1940 წლის აპრილის თვეში გარდაიცვალა.

*მოამზადეს გიორგი მაჩურიშვილმა და ლუარსაბ ტოგონიძემ*

*დოკუმენტური მასალის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით საპატრიარქოს არქივის უფროსს მზია ძაცაძეს*

## სემინარიების საღვთო მოშურნეობა

„ეხლაც სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როცა სასულიერო აკადემიის სტუდენტთა ამხანაგობა ერთად მოგროვდებოდა და ნამდვილი ყმაწვილური თავგანწირვით შევებრძოლებით ქვეყნის ყოველ ჭირსა და ვარამსა. ზოგნი სასწავლებლის დასრულებამდეც კი ჰფიქრობდნენ წასულიყვნენ მისიონერებად, თორემ აკადემიის დასრულების შემდეგ ხომ გადაწყვეტილი ჰქონდათ, გაფანტულიყვნენ თვალგადაუწვდენელ ჩინეთის იმპერიაში და ქადაგებით დაეხსნათ მისი ოთხასი მილიონი მცხოვრები საშინელის უმეცრებისაგან; აზრათა ჰქონდათ, მოესპოთ იქ მოწამვლა ერისა თრიაქითა"

*მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა"*

## მიცვალებულის აღდგინება

„ერთი ერისკაცი თავის ვაჟთან ერთად ამბა სისოისთან მიდიოდა. გზაში შვილი გარდაეცვალა. მამა არ დაბრკოლდა, არამედ რწმენითა და სასოებით მიასვენა ამბასთან თავისი ვაჟი, მის ფერხთით დაეცა და შვილის გვამიც დააჩოქა ლოცვა-კურთხევის მისაღებად. ბერმა აკურთხა. მამა ადგა და სენაკიდან გავიდა, ვაჟი კი ამბას ფერხთით დატოვა. ბერს ეგონა, რომ ვაჟი დიდ მეტანიაში იყო განრთხმული, არ იცოდა, რომ ჭაბუკი გარდაცვლილიყო, ამიტომ უთხრა მას: „ადექი და გადი." ვაჟი მყისვე ფეხზე წამოდგა და სენაკიდან უხმოდ გავიდა. ამის შემდეგ ერისკაცმა ეს ამბავი ბერს უამბო. ამბა კი ძლიერ დამწუხრდა, რადგან სასწაულების ქმნა არ სურდა."

**ამბა თევდორე ხერმეელი** ამბობდა:

„ცოდვილი ან მცონარე, მაგრამ გულით მორჩილი და თავმდაბალი მონანული უფრო ახლოსაა უფალთან, ვიდრე მრავალ სათნო საქმეთა მკეთებელი და ამ მიზეზით საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ადამიანი".

„სათნოებათა შორის აღმატებულია სათნოება – არავინ გძულდეს".

* * *

ეგვიპტელი ბერები სათნოებას, რომელიც განცხადდებოდა, არა მარტო სათნოებად აღარ მიიჩნევდნენ, არამედ უკვე ცოდვადაც კი რაცხდნენ.

* * *

„თუკი მეფე ან რომელიმე ხელისუფალი – საერო თუ სასულიერო – საერთოდ მრავალგზის ცდება ან კანონსაწინააღმდეგოდ იქცევა, დაკნინებული სინდისის, ანდა უნებურობის გამო, – ნუ მოიძულებ, ნუ გალანძღავ, არამედ ილოცე მისთვის უფლისა მიმართ, „რათა უძლურნი განკურნის, ხოლო ნაკლულევანნი აღავსის" (ხელდასხმისას წარმოსათქმელი ლოცვიდან), რამეთუ გარეშე ღმრთისა არაფერი ძალუძს, მოვიმოქმედოთ რაიმე სასიკეთო და სასარგებლო."

*წმინდა მართალი იოანე კრონშტადტელი*

# ფოტომატიანე



## მღვდელი ტარასი დოღონაძე

მღვდელი ტარასი ივანეს ძე დოღონაძე ქუთაისის გუბერნიის სოფელ გოდოგანში 1866 წელს დაიბადა. მამამისი, მღვდელი იოანე დავითის ძე დოღონაძე 1798 წელს იყო დაბადებული. მღვდელი იოანე 1917 წლის ამაღლების დღესასწაულზე 119 წლის ასაკში გარდაიცვალა. მღვდელი იყო ასევე მამა ტარასის უფროსი ძმა — ისიდორე დოღონაძე, რომელიც 1925 წელს გარდაიცვალა. ტარასმა დაამთავრა სოხუმის საქალაქო სასწავლებლის 3 კლასი. დაქორწინდა ოლღა გოგოლაშვილზე, რომელთანაც 4 შვილი შეეძინა: მაგნოსი, მარიამი, დავითი და ქეთევანი. 1893 წლის 27 სექტემბერს იმერეთის ეპარქიის, სოფელ ჭოგნარის მაცხოვრის აღდგომის სახელობის ეკლესიის მეორე მედავითნედ დაინიშნა. 1895 წლის 28 მარტს კი ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მეორე მედავითნედ გადაიყვანეს. 1897 წლის 31 აგვისტოს ალავერდელმა ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა. 1904 წლის 27 აგვისტოს ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში გადაიყვანეს. 1917 წლის 11-17 სექტემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის I საეკლესიო კრებაზე ქუთაისის ოლქის დელეგატად მონაწილეობდა. 1918 წელს მღვდლად დაასხეს ხელი. 1921 წლიდან, როდესაც სამღვდელოება დევნასა და ტანჯვას განიცდიდა კომუნისტური ხელისუფლებისაგან, მამა ტარასის ანაფორა არ გაუხდია და არც ღვთისმსახურება მიუტოვებია. იგი 1931 წლის 10 თებერვალს გარდაიცვალა.

ფოტო მოგვაწოდა მამა ტარასის შვილთაშვილმა, ქალბატონმა დოდო დოღონაძემ.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჭარაშვილი*

**გარეკანის ფოტოს ავტორი – ზურაბ ცხოვრებაძე**

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს სნეულებაში მყოფი მიტროპოლიტი დანიელი, დეკანოზი თეიმურაზი, მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, როინი-მიქაელი, ეთერი, შალვა, ზაზა, ლალი, ხოლო გარდაცვლილთათვის ლოცვაში - დეკანოზი დავითი**

ვთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო

„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge

მისამართი: ერეკლე II მოედანი №1

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე

**რედაქტორის მოადგილე:** [illegible]

**სარედაქციო კოლეგია:** [illegible]

**დამკაბადონებელი:** [illegible] **ოპერატორი:** [illegible]

# არქიმანდრიტი თორნიკე (მოსეშვილი)

ერისკაცობაში გაგი მოსეშვილი 1916 წელს ქ. ქუთაისში დაიბადა. 1946 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის 12 მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) მორჩილის კაბით შემოსა და შიომღვიმის მონასტერში არქიმანდრიტ ისესთან (სუხიშვილი) განამწესა. სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის არქივში დაცულია 1947 წლის 4 დეკემბრით დათარიღებული არქიმანდრიტ ისეს წერილი, რომელსაც იგი ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ეფრემს (სიდამონიძე) უგზავნის: **„თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, უმოწყალესო მღვდელმთავარო, მიტროპოლიტო ეფრემ! ნება მომეცით, რომ ორივე მაკურთხეველნი ხელნი დაგიკოცნო და უღრმესი მადლობა მოგახსენო თბილი და ძმური ქრისტიანული მიღებისათვის და ნივთიერი დახმარებისათვის. თქვენ მიერ ნაბოძები ჯვარი თითქმის ყოველდღე გულზე მკიდია და მით დავდივარ, რომელიც ყველა ამის მხილველთ მოსწონთ. როგორ გაგიბედო, მეუფეო, თორე მინდა მოვიკითხო მამები - ვასილ გაბაიძე და თეოდორე გვილესიანი. მგონი დედანიც კარგად არიან, თუმცა მე აგვისტოს აქეთ იქ აღარ ვყოფილვარ და დაცინვით ეხლა დაყუდებულს მიწოდებენ თურმე. თბილისში მინდა წასვლა და ყოვლადსამღვდელო დიმიტრის ორმოცზე დასწრება, არ ვიცი კი რომელ რიცხვშია. ეხლა კი ჩემი ძვირფასი ძმა და ამხანაგი გაგი მოდის ქუთაისში რაღაც სასუსნავის შესაძენ-მოსამარაგებლად, რადგან აქ ყველაფერს ცეცხლი უკიდია. ვნახოთ, რას მოიმარაგებს. მე ვატან თქვენს მეუფებასთან ას თუმანს (იგულისხმება ფულის ძველი კურსი) იმ ქალთან, რომელსაც თქვენ დაავალეთ ჩემი სატინის ანაფორის შოვნა. ეს ფული ზოგი თქვენი ნაბოძებია, ზოგიც მე მოვაკოწიწე და თუ მიშოვის ის ქალი, სწორედ თქვენი მოწყალება იქნება. ვგონებ ათი არშინი საკმაო იყოს, თუ ძაან ვიწრო განი არ იქნება.“** 1948 წლის მარტიდან ბეთანიის მამათა მონასტერშია, სადაც აწ წმინდანად შერაცხულ მამებთან იოანესთან (მაისურაძე) და გიორგისთან (მხეიძე) გადიოდა მორჩილებას. როგორც თავად მამა თორნიკე იხსენებდა, მამების ლოცვა-კურთხევით, მე, როგორც ახალგაზრდას მიწევდა ახლომახლო სოფლებში გასვლა და ქრისტიანობის ქადაგებაო. შემდგომად ქადაგებისა, ჩამყავდა ისინი მონასტერში, სადაც მამები ნათლისღების საიდუმლოს აღასრულებდნენო. მთელი ამ რვა თვის განმავლობაში, დაახლოებით ათასამდე კაცი მოინათლა ქრისტეს სარწმუნოებაზე. ეს ამბავი მალე გახმაურდა თბილისში და აღმასკომმა გამოგზავნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გაერკვია საქმის ვითარება. ამ კომისიაში იმყოფებოდა მამა თორნიკეს ყოფილი მასწავლებელი, რომელმაც ურჩია მამაოს, დროებით გარიდებოდა სიტუაციას, რადგან იგეგმებოდა მისი დაპატიმრება. მამების ლოცვა-კურთხევით, მამა თორნიკემ დატოვა ბეთანიის მონასტერი და თბილისში ჩამოვიდა. აქ ის მივიდა თავის მეგობარ, მწერალ იოსებ იმედაშვილთან, რომელმაც ურჩია, წასულიყო გარე კახეთში, სოფელ ხაშმში, სადაც შეიძლებოდა დროებით თავი შეეფარებინა. 1948 წლის ნოემბრიდან მამა თორნიკე ხაშმის ყოვლადწმიდა სამების სახელობის მიტოვებულ მონასტერში მივიდა, რომელიც ცხოველთა და ნადირთა სადგომად ქცეულიყო. მან თავისი ხელით გაწმინდა და გაასუფთავა ეკლესია და თვითონაც იქვე კოშკში დასახლდა. 1950 წელს დააპატიმრეს და 4 წლის ვადით გადაასახლეს. 1954 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან. კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ხან ერთ მონასტერში ცხოვრობდა, ხან მეორეში. 1957 წლის თებერვალიმაისი მოწამეთას მონასტერში გაატარა. აწ განსვენებული ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ნაუმის (შავიანიძე) პირად არქივში დაცულია კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკის (ფხალაძე) წერილი, რომელსაც უგზავნის მამა ნაუმს. წერილი 1957 წლის 29 მაისით არის დათარიღებული: **„მადლიერსო დეკანოზო, მამაო ნაუმ! სალამი და ლოცვა-კურთხევა. სალამი და ლოცვა-კურთხევა მთელ თქვენს ოჯახს. მამაო მთავარხუცესო! მოსაშვილს აქა კითხულობენ სიძველეთა დამცველ კომიტეტში. ზედაზნის მონასტრის მცველი დაუთხოვიათ და მოსაშვილს კითხულობენ, უნდათ მაგისი, მოსაშვილის, იქ, ზედაზენში დანიშ-**



*მღვდელმონაზონი თორნიკე. 1973 წ.*

ვნა. მაგას მანდ ცხოვრების ვადა, ჩემ მიერ დანიშნული სამი თვე გაუთავდა და მე მეტს ვეღარ მივცემ. ამიტომ უნდა დასტოვოს მოწამეთა, ისარგებლოს, დრო არ გაუშვას, ჩამოვიდეს თბილისში, ნახოს სიძველეთა დამცველი კომიტეტი და სთხოვოს ზედაზენი. გისურვებთ ყოველივე კეთილს. თქვენთანაც მინდა კიდევ მოლაპარაკება და არ ვიცი, როგორ მოვაწყო. კურთხევა უფლისა იყოს ჩვენ ზედა.“ 1957 წლის ივნისიდან მამა თორნიკე ზედაზენის მონასტერში მოღვაწეობს. 1958 წლის 23 ნოემბერს იგი კვლავ დააპატიმრეს და მიუსაჯეს უვადო პატიმრობა. 1962 წელს მძიმე ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს. 1965-67 წლებში კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით, იგი მცხეთის ორწლიან სამოძღვრო-საღვთისმეტყველო სასწავლებელში სწავლობდა. 1970 წელს უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ II-ის (სიდამონიძე) ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა და სახელად თორნიკე ეწოდა. იმავე წელს ხელი დაასხეს დიაკვნად, შემდეგ კი მღვდლად და ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა. 1974 წლის 23 ნოემბერს ოქროს ჯვრითა და ენქერით დაჯილდოვდა და იღუმენის წოდება მიენიჭა, ხოლო 1976 წლის 6 მაისს - არქიმანდრიტის წოდება. 1977 წლიდან მოწამეთას მონასტრის წინამძღვარია. 2007 წლის 22 თებერვალს ღვთივ განისვენა არქიმანდრიტმა თორნიკემ. იგი 27 თებერვალს მოწამეთას მონასტრის ეზოში დაკრძალეს.

ღმერთმა მოიხსენიოს მისი სული.



*მოამზადეს გიორგი მანჩურიშვილმა და ლუარსაბ ტოგონიძემ*

## საქართველოში 15 ათასზე მეტი რასელისტია

რასელისტთა (ე.წ. „იეღოვას მოწმეთა“) მსოფლიო მმართველმა კორპორაციამ (ბრუკლინი, აშშ), ოფიციალურ რასელისტურ ჟურნალ „საგუშაგო კოშკში“ (№2, 1 თებერვალი, 2007 წ.) ამ სექტის მიერ გასულ წელს გაწეული მუშაობის ანგარიში გამოაქვეყნა. რასელისტთა სექტის ოფიციალური მონაცემების თანახმად, დღეისათვის მათ საქართველოში 15 373 მიმდევარი ჰყავთ, რომლებიც 156 კრებაში არიან გაერთიანებულნი. ანგარიშის მიხედვით, 2005 წელს ჩვენს ქვეყანაში 15 182 რასელისტი აღირიცხებოდა ე.ი. 2006 წელს 1%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ჩვენი მეზობელი ქვეყნების მონაცემები კი ასეთია: რუსეთში 2007 წლისათვის რასელისტთა რაოდენობა 140 244-ს აღწევს, აზერბაიჯანში მხოლოდ 543 „იეღოვას მოწმეა“, სომხეთში - 9067, ხოლო თურქეთში — 1775. აღსანიშნავია, რომ იეღოველთა სექტა საქართველოში არსებულ სხვადასხვა სექტებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია.

პოსტსაბჭოთა სივრცეში, ქვეყნის მოსახლეობასთან შეფარდებით, ყველაზე მეტი რასელისტი მოლდოვაში ცხოვრობს — 18273 (ანუ ყოველ 206 კაცზე ერთი იეღოველი მოდის), მეორე ადგილზეა საქართველო — 15 373 (ანუ 292-ზე 1), მესამეზე კი ესტონეთი — 4125 (ანუ 320-ზე 1). ყველაზე ნაკლები რასელისტი კი ტაჯიკეთშია — სულ 487 (ანუ 13458 კაცზე ერთი სექტანტი).

მსოფლიო ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამქადაგებლო-მისიონერული საქმიანობისთვის 2006 წელს რასელისტთა ორგანიზაციამ 111 მილიონი დოლარი დახარჯა.

*მოამზადა სერგო ქერესელიძემ*

# ფოტომატიანე



## დეკანოზი ანტონ ბოკუჩავა

დეკანოზი ანტონ ბესარიონის ძე ბოკუჩავა 1875 წელს სენაკის მაზრის სოფელ უშაფათში აზნაურის ოჯახში დაიბადა. მამა ადრე გარდაეცვალა და დედა, მატრონა თოფურიძე მამისეულ სოფელ სეფიეთში გადასახლდა ოთხ შვილთან ერთად. 1897-1901 წლებში სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1901 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა და სეფიეთის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში განამწესა. იმავდროულად სეფიეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მასწავლებლად დაინიშნა. 1910 წელს ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) მღვდლად დაასხა ხელი და ამავე ტაძრის წინამძღვრად დაადგინა. მოხუცი ხალხის მოგონებებით, მამა ანტონი სოფლის ნამდვილი თავკაცი ყოფილა. ყოველ საჭირბოროტო საკითხს მასთან ათანხმებდნენ და მის სიტყვას დიდ ანგარიშს უწევდნენ. მამა ანტონს ჰყავდა მეუღლე ნატალია კეკელია, რომელთანაც შვილი არ შეეძინა. ნატალია 1922 წელს გარდაიცვალა. კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ მამა ანტონსაც დაუპირეს ანაფორის გახდა და წვერის გაპარსვა, მაგრამ მოძღვარმა მტკიცედ დაიცვა თავი. მართალია, 1926 წელს ტაძარი დაიხურა, მაგრამ იგი სახლში განაგრძობდა ღვთისმსახურებას და მრევლიც იქ აკითხავდა სულიერი საზრდელის მისაღებად. ასე გაგრძელდა 1947 წლამდე, მამა ანტონის გარდაცვალებამდე.

დღემდე ახსოვთ სოფელში მისი დაკრძალვა. სოფლის უღმერთო ხელისუფლებას უარი უთქვამს მოძღვრის ტაძარში დაკრძალვაზე, მაგრამ მთელი სოფელი გამოსულა და წინააღმდეგობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ მთავრობა იძულებული გამხდარა, დათანხმებულიყო. თვალცრემლიანი ხალხი კი გაიძახოდა: „მამა ანტონ, შენ გაიმარჯვე, გაიმარჯვეო!" იგი ტაძარში საკურთხევლის წინ დაასაფლავეს.

მასალა მოგვაწოდეს მამა ანტონის ძმისშვილებმა, შალვა და მაია ბოკუჩავებმა.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს სნეულებაში მყოფი მიტროპოლიტი დანიელი, დეკანოზი თეიმურაზი, მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, რონი-მიქაელი, შალვა, ზაზა, ლალი, ხოლო გარდაცვლილთათვის ლოცვაში - დეკანოზი დავითი**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე
რედაქტორის მოადგილე: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]
რედაქტორის თანაშემწე: [illegible]
დამკაბადონებელი: [illegible] კორექტორი: [illegible]

# ფოტომატიანე



## იღუმენია ქეთევანი (ახვლედიანი)

იღუმენია ქეთევანი 1854 წელს დეკანოზ გიორგი ახვლედიანის ოჯახში დაიბადა. 1908 წელს თეკლათის მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა და სახელად ქეთევანი ეწოდა. კომუნისტების შემოსვლის შემდეგ მონასტრის სხვა დედებთან ერთად განაგრძობდა მოღვაწეობას და მონასტერი ერთ დღითაც არ დაუტოვებია. 1933 წელს მონასტრის წინამძღვრის იღუმენია ელეონორას (დადიანი) გარდაცვალების გამო 11 წელი მონასტერს წინამძღვარი აღარ ჰყოლია. 1944 წელს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა ეფრემმა (სიდამონიძე) მონაზონი ქეთევანი წინამძღვრად დაადგინა და იღუმენიას წოდება მიანიჭა. მართალია მისი წინამძღვრობის დროს, კრებულს ადგილობრივი ხელისუფალნი უწინდებურად არ ავიწროებდნენ, მაგრამ არც ოფიციალურად აღიარებდნენ მას. მონაზონთა სენაკები დანომრილი იყო როგორც ქუთაისის ქუჩის გაგრძელება, ხოლო მონასტრის შემოგარენი ქ. ცხაკაიას (ამჟამინდელი სენაკი) ერთ უბნად აღირიცხებოდა.

მონასტრის ისტორიისა და სულიერი ცხოვრების მემატიანემ, იღუმენია ქეთევანმა კარგად უწყოდა წლების განმავლობაში დადგენილი ყველა განაწესი და, პირველი, რაც მოიმოქმედა, დედათა დასის წირვაზე გამოსვლის რიტუალი აღადგინა. იგი ზედმიწევნით იცავდა მონასტრის ტიპიკონს. შემოჰკრავდნენ თუ არა პირველ ზარს, ანაფორითა და მანტიით, ანუ ქართული სამონაზვნო ლეჩაქით შემოსილი, საწინამძღვრო ჯვრით მკერდდამშვენებული, თავჯვრიანი ხის კვერთხით გამობრძანდებოდა საკუთარი სენაკიდან. ამ დროს ორ მწკრივად ჩარიგებული მონაზვნები მოწიწებით ელოდნენ იღუმენიას, რომელსაც წინ მგალობლები მოუძღოდნენ. ვიდრე დედა იღუმენია ტაძრის ყველა ხატს სასოებით არ ემთხვეოდა, მგალობელთა გუნდი შეუწყვეტლივ გალობდა. მოლოცვის შემდგომ მხცოვანი წინამძღვარი უძლურებისა გამო საწინამძღვრო ტახტზე დაბრძანდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ღვთისმსახურება.

ქვეყნიური ღვაწლით მოღლილ-მოქანცული იღუმენია ქეთევანი 1957 წლის 23 მარტს აღესრულა შობიდან 103 წლის ასაკში და დაკრძალულია მონასტერში, ტაძრის დასავლეთ მხარეს, მამისა და დის — სქ. მონაზონ რიფსიმეს გვერდით.

წელს, 23 მარტს, მისი გარდაცვალებიდან 50 წელი შესრულდა.

ფოტოსა და ინფორმაციის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ბატონ პაატა ქურდოვანიძეს.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი გაჩურიშვილი*

მკითხველს ვთხოვთ, ჯანმრთელობისთვის ლოცვაში მოიხსენიოს სნეულებაში მყოფი მიტროპოლიტი დანიელი, დეკანოზი თეიმურაზი, მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, რონინ-მიქაელი, შალვა, ზაზა, ლალი, იოსები, ხოლო გარდაცვლილთათვის ლოცვაში - დეკანოზი დავითი

**პირველი გვერდის ფოტოს ავტორი – ზაზა არახამია**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ელ.ვერსია: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე
**რედაქტორის მოადგილე:** [illegible]
**სარედაქციო კოლეგია:** [illegible]; **რედაქტორის თანაშემწე:** [illegible]
**დამკაბადონებელი:** [illegible] **ოპერატორი:** [illegible]

# ფოტომატიანე



საქართველოს ეკლესიის უფლებების დასაცავად პეტერბურგში წარგზავნილი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დელეგაცია. 1917 წელი, ივნის-ივლისი.
მარცხნიდან: არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე) და დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაწურიშვილი*

მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს სნეულებაში მყოფი მიტროპოლიტი დანიელი, დეკანოზი თეიმურაზი, მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, როინი-მიქაელი, შალვა, ზაზა, ლალი, იოსები, გივი, ხოლო გარდაცვლილთათვის ლოცვაში - დეკანოზი დავითი

გარეკანის პირველ გვერდზე - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტის დედანი. ინახება საქართველოს საპატრიარქოს არქივში.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე
რედაქტორის მოადგილე: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]
რედაქტორის თანაშემწე: [illegible]
დამკაბადონებელი: [illegible] კორექტორი: [illegible]

# მღვდელი ბასილ გორგაძე

*მღვდელი ბასილ ბესარიონის ძე გორგაძე 1865 წლის 20 აპრილს დაიბადა სასულიერო პირთა ოჯახში. მისი მამა ბესარიონ შიოს ძე გორგაძე და ბაბუა შიო თამაზის ძე გორგაძე სამღვდელო პირები იყვნენ.*

ბესარიონ შიოს ძე გორგაძემ, მამა ბასილის მამამ, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. იგი 1847 წელს დავით მიტროპოლიტმა აკურთხა. მოღვაწეობდა სოფელ ქვედა ილემის (ზესტაფონის რაიონი) ეკლესიის მღვდლად, სადაც 1886 წლამდე მღვდელმსახურებას ეწეოდა. ბესარიონ გორგაძე მეტად ნიჭიერი და განათლებული მღვდელი იყო. ჟურნალ „მწყემსის“ 1899 წელს დაბეჭდილ ნეკროლოგში აღნიშნულია: „მისი ცხოვრება არ წარმოადგენდა უზარმაზარს, დიდებულ კოცონს, ის უფრო პატარა წმინდა სანთელს წააგავდა, მაგრამ არც ისე პატარას, რომ მისი შუქი უმნიშვნელოდ დარჩენილიყო ჩვენი ერის ცხოვრებაში... განსვენებულს მეტად უქებდნენ სახარების კითხვას, ტიბიკონისა და საეკლესიო წესების ცოდნას, ამ მხრივ მთელ ეპარქიაში მას მგონი ორიც ვერ აჯობებდა“.

აღსანიშნავია მღვდელ ბესარიონ გორგაძის ღვაწლი ხალხის სწავლა-განათლების საქმეში. სოფელ საქარიქედში 1862 წელს და სოფელ ილემში 1885 წელს საკუთარ სახლში გახსნა სამრევლო სკოლა, სადაც მასწავლებლად თავისი უმცროსი ვაჟი ჰყავდა. მღვდელ ბესარიონს არამცირედი ღვაწლი მიუძღვის ეკლესიის წინაშე „სამაგალითო მედავითნეების აღზრდაში“...

მამა ბესარიონ გორგაძეს სამი ვაჟი და სამი ქალი ჰყავდა. სამივე ვაჟმა დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, შემდგომ უფროსმა ვაჟმა რომანოზმა - სემინარია, მომდევნომ - ანთიმოზმა კი აკადემია, ქალები სასულიერო პირებს მიათხოვა. უფროსი ვაჟი რომანოზი (ისტორიკოსის და ენათმეცნიერის სერგი გორგაძის მამა) მღვდელმსახურებას ეწეოდა სოფელ კვალითში, ანთიმოზი (ცნობილი მხატვარ-მოქანდაკის ალიკო (ანთიმოზ) გორგაძის ბაბუა) ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგი იყო, ხოლო **უმცროსი ვაჟი-ბასილი,** რომელმაც 1882 წელს დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი, სოფელ ილემში, მამისეულ სახლში დარჩა და იქ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. თავისივე ხარჯებით ჩამოყალიბებულ ორკლასიან სკოლაში. ბასილი მთავარდიაკვნად იკურთხა 1890 წლის 7 ივნისს, ხოლო 1892 წელს მღვდლად აკურთხა წმინდა მღვდელმთავარმა გაბრიელმა - სოფელ ლაშეში, სადაც 1907 წლამდე მსახურობდა, ამის შემდგომ ზედა ილემის ღვთისმშობლის ეკლესიაში, სოფელ ბორში და სოფელ იგორეთში 1923 წლამდე ეწეოდა მღვდელმსახურებას. ახალგაზრდა ბასილს გაბრიელ ეპისკოპოსი მშობლიური მზრუნველობით ეპყრობოდა და ყოველთვის გულთბილად ღებულობდა.



მღვდელი ბასილ გორგაძე საფუძვლიანად ერკვეოდა ქართული მწერლობის და ქართველი ერის ისტორიაში. კარგად იცოდა რუსული ენა, იცნობდა ევროპულ და რუსულ ლიტერატურას. ჰქონდა კარგი საოჯახო ბიბლიოთეკა. ის ფერწერითაც ყოფილა გატაცებული. თავისუფალ დროს ხატავდა პორტრეტებს, ქართული ეროვნული დღესასწაულების სურათებს. მის მიერ შესრულებული მამის - ბესარიონის პორტრეტი, დღემდე არსებობს. დაკარგულია მოზრდილი ტილო „ნათლისღება“, რომელიც ქუთაისის საკათედრო ტაძრისთვის ყოფილა შეძენილი, 2002 წელს სოფელ ილემში მისი ოჯახიდან მოიპარეს მის მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის პორტრეტიც.

მღვდელი ბასილ გორგაძე დაქორწინდა 1890 წელს. ცოლად ჰყავდა ჭიათურის რაიონის სოფელ ჭილოვანიდან მღვდელ ალექ

სი ტყემალაძის ქალიშვილი მარიამ (მაიკო) ალექსის ასული ტყემალაძე. მაიკომ აღზრდა მონასტერში მიიღო. თავისი დროის მიხედვით განათლებული ადამიანი ყოფილა. კარგად იცოდა ქართული ლიტერატურა და ხალხური შემოქმედება. ზეპირად იცოდა ბევრი ხალხური ლექსი და ზღაპარი, რასაც თავისუფალ დროს მოუთხრობდა შვილებს. ყოფილა სნეულებასა და გასაჭირში მყოფ ადამიანთა დამხმარე (მარიამის დის შვილია პოეტი მუხრან მაჭავარიანი).



მღვდელ ბასილ გორგაძის ოჯახი გამოირჩეოდა პატიოსნებით და შრომისმოყვარეობით. მის მრავალშვილიან ოჯახში (6 ვაჟი და 1 ქალი) მუდამ საქმიანი ატმოსფერო სუფევდა. ადვილი არ იყო შვიდი შვილის აღზრდა, მაგრამ შვილები ბეჯითობდნენ, წარმატებით სწავლობდნენ და შემდგომში ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მოღვაწენი გახდნენ.

უფროსმა ვაჟმა - გრიგოლ გორგაძემ წარმატებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო შემდეგ კიევის კომერციული ინსტიტუტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით. პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ფოთის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიაში, ასწავლიდა ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას, ხოლო 1920 წლიდან აჭარაში, ბათუმში დამკვიდრდა, აქაც ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, იყო ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების დამაარსებელი, სახელმძღვანელოების თანაავტორი, ჟურნალისტი, მწერალი. სამწუხაროდ, 44 წლის ასაკში 1937 წელს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა; ვასო გორგაძე გახლდათ პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე; ალექსანდრე გორგაძე კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, წლების მანძილზე კითხულობდა ისტორიის სწავლების მეთოდიკას, უმცროსი ვაჟი - ოთარ გორგაძე რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი გახდა, რესპუბლიკის მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ომის ვეტერანი, სამედიცინო სამსახურის გადამდგარი პოლკოვნიკი; დანარჩენი შვილები ასევე წარმატებით საქმიანობდნენ სხვადასხვა სფეროში.

მღვდელი ბასილ გორგაძე მოხუცებულობის ასაკშიც ენერგიული იყო, კარგად იცოდა სოფლის მეურნეობა. მისი შვილიშვილი იზა გორგაძე იხსენებს, რომ ბაბუა რელიგიური დღესასწაულების დღეს იმოსებოდა საეკლესიო ტანსაცმლით და თბილი, სასიამოვნო ხმით კითხულობდა სახარებას, რომელიც მას 1931 წ. 10 თებერვალს სოფელ ბორის ეკლესიიდან გადმოუტანია (რაც მის მიერ სახარების ყდაზეც არის აღნიშნული). მოხუცს ძალიან უყვარდა ჟურნალ-გაზეთების კითხვა, წერდა ლოცვებს, ბავშვებს - შვილიშვილებს ხშირად უყვებოდა ზღაპრებს და ასწავლიდა საბავშვო ლექსებს.

მღვდელი ბასილ ბესარიონის ძე გორგაძე 1949 წელს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი მეუღლე მარიამ ალექსის ასული ტყემალაძე-გორგაძე კი 1954 წელს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

***სტატიაში გამოყენებულია მღვდელ ბასილ გორგაძის უმცროსი ვაჟის, ოთარ გორგაძის პირად არქივის მასალები.***

## უცხოეთის ქრონიკა

### ინდონეზიელი მართლმადიდებელი მოძღვარი იძულებულია, ისლამისტებს დაემალოს

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფი ჰონგ-კონგის ეპარქიის მართლმადიდებელი მოძღვარი და მისი ოჯახი იძულებულნი არიან, დაემალონ შეიარაღებულ ისლამისტ რადიკალებს, რომლებიც მათ ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან. ბოევიკებმა მოძღვარს კატეგორიულად მოსთხოვეს, დაუყოვნებლივ დახუროს ეკლესია ცენტრალურ იავაში და მსახურების ადგილი დატოვოს. ფანატიკოსთა დაჯგუფება მართლმადიდებლური ტაძრის გადაწვით იმუქრება. ჰონგ-კონგის მიტროპოლიტი ნიკიტა შეშფოთებით ადევნებს თვალყურს შექმნილ ვითარებას.

# ფოტომატიანე



## მღვდელი იოსებ ანტონაშვილი

მღვდელი იოსებ ანტონაშვილი XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში დაიბადა. 1873-77 წლებში გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, რომლის დასრულების შემდეგაც მედავითნედ დაიწყო მსახურება. XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი მღვდლად დაასხეს ხელი და ვლადიკავკაზის ეპარქიაში, სოფელ ხიდიკუსკის სამრევლოს წინამძღვრად დაინიშნა. 1898 წლის 22 აპრილს საქართველოში, გორის ეპარქიის სოფელ წოლდის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადმოიყვანეს. 1902 წლის 4 დეკემბერს იმავე ეპარქიის სოფელ საკორინთლოს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს ალაიანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს. მღვდელი იოსები 1913 წლის 30 მარტს (ძვ. სტ.) გარდაიცვალა. ჰყავდა მეუღლე ნადეჟდა (ან მელანია) ზეიკიძე, რომელთანაც 5 შვილი შეეძინა: ანიკო, ნინო, ოლღა, მარიამი და შალვა. საქართველოს საეგზარქოსოს უწყებანის 1913 წლის №8-ში დაცულია ცნობა მამა იოსების გარდაცვალებაზე, ხოლო 1914 წლის №2-ში, გამოქვეყნებულია მისი ოჯახისათვის პენსიის დანიშვნის ცნობა, რომელიც 300 მანეთს შეადგენდა.

ფოტო გადაღებულია 1911 წელს. მისი მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მამა იოსების შვილთაშვილს ნინო ბარაბაძეს.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაზურიშვილი*

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს სნეულებაში მყოფი მიტროპოლიტი დანიელი, დეკანოზი თეიმურაზი, მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, როინი-მიქაელი, შალვა, ზაზა, ლალი, ზიკი, ჩვილი დავითი, ხოლო გარდაცვლილთათვის ლოცვაში - დეკანოზი დავითი**

**გარეკანის პირველი გვერდის ფოტოს ავტორია ხირსის მონასტრის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი ლაზარე (გრძელიშვილი).**

გაზეთების – „საპატრიარქოს უწყებანისა" და „ალილუიას" გავრცელებასა და გამოწერასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართეთ გაზეთის მენეჯერს - ივანე ჭუმბურიძეს – 57 44 65 ან 899 96 86 60.

გთხოვთ, გაზეთების თანხა დაფაროთ გადმორიცხვით. „სახალხო ბანკი", ანგარიშის ნომერი –360851555.

გთხოვთ, თანხა გადმორიცხოთ სახალხო ბანკის ფილიალებიდან.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე
რედაქტორის მოადგილე: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, [illegible], ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაზურიშვილი, [illegible]; რედაქტორის [illegible]: [illegible]
დამკაბადონებელი: [illegible] ოპერატორი: [illegible]

# ფოტომატიანე

## არქიმანდრიტი ევაგრე (დიასამიძე)

**1887-1976**



ერისკაცობაში ანდრია დიასამიძე 1887 წელს დაიბადა. 1903 წლიდან თბილისის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი გახდა. 1911 წლის 24 ნოემბერს მამკოდის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1913 წლის დიდმარხვაში თბილისის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერში ბერად აღიკვეცა და სახელად ევაგრე ეწოდა. იმავე წელს დიაკვნად აკურთხეს. 1914 წლის 3 ივლისს უკანა ფშავში, თამარისის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში, გორის ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე) მღვდლად დაასხა ხელი და გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში განამწესა. 1916 წლის 11 მაისს მარტყოფის მამათა მონასტერში გადაიყვანეს. XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1922 წელს, როდესაც კომუნისტებმა მარტყოფის მონასტერი დაარბიეს და ბერები განდევნეს, მამა ევაგრე თბილისში გადმოვიდა და კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევით, თბილისის ყოვლადწმიდა სამების სახელობის ეკლესიაში მედავითნედ მსახურობდა. 1924 წელს, მისივე თხოვნით, დროებით, მამკოდის მიტოვებულ მონასტერში მოღვაწეობს. 1925 წლიდან ისევ თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში გაამწესეს, როგორც უშტატო მღვდელმსახური. XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს იღუმენის წოდება მიენიჭა. 1947 წლის ბოლოს მარტყოფის მამათა მონასტერში გადაიყვანეს და არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. 1955-1972 წლებში საგარეჯოს წმინდა დოდო გარეჯელის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად მსახურობს. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მშობლიურ მხარეში, ჯავახეთში – სოფელ აწყურში გაატარა, სადაც 1976 წელს ღვაწლმოსილი აღესრულა.

ფოტო გადაღებულია 1972 წელს.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

**მიტროპოლიტმა დანიელმა სთხოვა გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქციას, მადლობა გადაეხადა ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მას ლოცვაში იხსენიებდა, რისი წყალობითაც მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.**

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენიოს მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, რონი-მიქაელი, შალვა, ზაზა, ლალი, გივი, ჩვილი დავითი, ხოლო გარდაცვლილთათვის ლოცვაში - დეკანოზი დავითი**

**გარეკანის პირველი გვერდის ფოტოს ავტორია ხირსის მონასტრის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი ლაზარე (გრძელიშვილი).**

გაზეთების – „საპატრიარქოს უწყებანისა" და „ალილუიას" გავრცელებასა და გამოწერასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართეთ გაზეთის მენეჯერს - ივანე ჭუმბურიძეს – 57 44 65 ან 899 96 86 60.
გთხოვთ, გაზეთების თანხა დაფაროთ გადმორიცხვით. „სახალხო ბანკი", ანგარიშის ნომერი –360851555.
გთხოვთ, თანხა გადმორიცხოთ სახალხო ბანკის ფილიალებიდან.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე
**რედაქტორის მოადგილე:** [illegible]
**სარედაქციო კოლეგია:** [illegible]
**დამკაბადონებელი:** [illegible] **ოპერატორი:** [illegible]

# ფოტომატიანე

## არქიმანდრიტი შიო (ძიძავა)

**1882-1969**



არქიმანდრიტი შიო – ერისკაცობაში სპირიდონ პეტრეს ძე ძიძავა 1882 წლის 1 ივნისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხორშში დაიბადა. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1913 წლის 29 სექტემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა, ხოლო 5 ოქტომბერს მღვდლად დაასხა ხელი და უფლისკარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1923-24 წლებში, კომუნისტების მიერ ეკლესიების დახურვის შემდეგ, მამა სპირიდონს ანაფორა არ გაუხდია და არც ღვთისმსახურება შეუწყვეტია. იგი სახლში აღასრულებდა ნათლობებს, აპატიოსნებდა მიცვალებულებს და შეძლებისდაგვარად მოქმედ ეკლესიაშიც აღავლენდა დროგამოშვებით ხოლმე საღმრთო ლიტურგიასაც.

1943 წლიდან, სტალინის ბრძანებით, კვლავ გაიხსნა დაკეტილი ეკლესია-მონასტრები. მღვდელი სპირიდონიც, რომელიც იმ დროს ქ. ცხაკაიაში (ამჟამად სენაკი) ცხოვრობდა, ოფიციალურად შეუდგა ღვთისმსახურებას. იგი ქ. ცხაკაიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღასრულებდა საეკლესიო წესებს, ხოლო წირვა-ლოცვის ჩასატარებლად პერიოდულად ქ. ქუთაისში „მწვანეყვავილას" მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში ჩადიოდა. 1954 წელს ბათუმ-შემოქმედელისა და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ეფრემის (სიდამონიძე) ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა და სახელად შიო ეწოდა. მღვდელ-მონაზონ შიოს დაევალა მენჯის შუშანიების მთავარანგელოზთა სახელობის სავანეში წირვა-ლოცვის ჩატარება. XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და იღუმენის წოდება მიენიჭა, ხოლო 60-იანი წლების დასაწყისში არქიმანდრიტის მაღალი პატივი უბოძეს.

არქიმანდრიტი შიო 1969 წლის 1 მაისს გარდაიცვალა, იგი თეკლათის დედათა მონასტრის ეზოში დაასაფლავეს.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, რონი-მიქაელი, შალვა, ზაზა, ლალი, გივი, ზაზა, ხოლო გარდაცვლილთათვის ლოცვაში - დეკანოზი დავითი**

გაზეთების – „საპატრიარქოს უწყებანისა" და „ალილუიას" გავრცელებასა და გამოწერასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართეთ გაზეთის მენეჯერს - ივანე ჭუმბურიძეს – 57 44 65 ან 899 96 86 60.
გთხოვთ, გაზეთების თანხა დაფაროთ გადმორიცხვით. „სახალხო ბანკი", ანგარიშის ნომერი –360851555.
გთხოვთ, თანხა გადმორიცხოთ სახალხო ბანკის ფილიალებიდან.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე
რედაქტორის მოადგილე: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]
რედაქტორის მანქანები: [illegible]
დამკაბადონებელი: [illegible] ოპერატორი: [illegible]

# მამა იოანე მარგიანის მოღვაწეობის აქამდე უცნობი დეტალები

*„საპატრიარქოს უწყებანის“ №41 დაიბეჭდა ლუარსაბ ტოგონიძისა და გიორგი მაჩურიშვილის წერილი „მღვდელი იოანე მარგიანი“, რომელიც დეკანოზ იოანე მარგიანის მოღვაწეობას ეხებოდა. მამა იოანეს ცხოვრების უცნობი დეტალები ამჯერად მისმა შვილიშვილმა თამაზ ლეჟავამ მოგვაწოდა.*

*ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველი ამ სტატიაში მრავალ საგულისხმო ამბავს ამოიკითხავს გასული საუკუნის სვანეთის სულიერი ცხოვრებიდან.*

გაზეთ „შინაური საქმეების“ 1912 წლის მერვე ნომრის 13-ე გვერდზე გამოქვეყნებულია „ღია წერილი“ შემდეგი მიმართვით: „თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მამაო ბლაღოჩინო იოანე!“.

ქვემოთ სრულად მოგვყავს ღია წერილის ტექსტი, რომელიც გაჯერებულია მამა იოანესადმი გულრწფელი მადლიერების გრძნობით:

„განმავლობს ათი წელიწადი, რაც თქვენა ბრძანდებით ჩვენი ოლქის ბლაღოჩინათ, დღეს თქვენის ნებითვე თავს ანებებთ ამ თანამდებობას, ამის გამო ზნეობრივად ვალდებულნი ვართ მოგახსენოთ ჩვენი გულ-ნადები სიტყვა: თქვენი გამოცდილება, მხნეობა, თავგამოდებული ზრუნვა ეკლესიისა და სამღვდელოების სასარგებლოდ პირველვე თავს მდები იყო იმისი, რომ თქვენ შეეფერებოდით ამ თანამდებობას. გულრწფელობა, გულახდილობა და ხასიათის სიმაგრე პირველად თუმცალა სამღვდელოებამ და ხალხმა ავგულობათ ჩამოგართვათ, მაგრამ მალე საქმემ დაგვარწმუნა სულ წინააღმდეგში. დავრწმუნდით, რომ გულჩახვეული კაცი საშიშია, ვინემ გულახდილი. ამის გამო სამღვდელოებაც და ხალხიც თანდათან შეეჩვია თქვენს ხასიათს და ჩვენ შორის სიყვარული დამყარდა. რა იქნებოდა, რომ სამღვდელოებას გაგვჭირვებოდა და თქვენ არ დახმარებოდით, თუ კი ვინმე გთხოვდათ დახმარებას. თქვენ მიერ ხალხში მოხვეჭილი გავლენა და ნდობა დიდი იმედი იყო ჩვენთვის. თქვენი დაუღალავი შრომა და ენერგია იყო იმის მიზეზი, რომ ამ ათი წლის განმავლობაში ამ მცირე თორმეტ კრებულიანს ოლქში ოთხი ქვის ეკლესია აშენდა და ცხრა ეკლესია განახლდა – შეკეთდა.



ყოველივე ეს გვავალებს ამ მცირე ბარათით მადლობა შემოგწიროთ იმ მწყემსობა- წინამძღვრობისათვის, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში გაგვიწიეთ უანგაროთ. ჩვენი თქვენდამი სიყვარული დაუვიწყარი იქნება დიდ ხანს.

დავშთებით თქვენი მადრიელნი:

1. მღვდელი არსენი ონიანი, 2. მედავითნე ტარასი დაშნიანი, 3. მღვდელი ანთიმოზ ნემსაძე, 4. მღვდელი დოროთე ასათიანი, 5. მღვდელი სოლომონ ჯანხოთელი, 6. მღვდელი ნესტორ გაბლიანი, 7. მღვდელი პორფირი ჩხეტიანი, 8. მღვდელი ევგენი ონიანი, 9. მღვდელი ტარასი ფოფხაძე, 10. მედავითნე დავით პირველი, 11. მედავითნე ივანე ონიანი, 12. მედავითნე ივანე ონიანი, 13. მედავითნე ერმალოზ ხაბულიანი, 14. მედავითნე ანდრია ხარძიანი, 15. მედავითნე მელიტონ გოსლიანი,16. მღვდელი გიორგი ტვილდიანი, 17. მღვდელი საბა ფრუიძე.“

ღია წერილს ხელს აწერს ჩვიდმეტი სასულიერო პირი, მათ შორის ათი მღვდელი და შვიდი მედავითნე. ხელმომწერთა გვარების მიხედვით დაბეჯითებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმართვა მიძღვნილია ქვემო სვანეთში მოღვაწე ბლაღოჩინისადმი, რომელიც, როგორც ღია წერილის ტექსტიდან ირკვევა, ათი წლის განმავლობაში, ანუ 1902 წლიდან 1912 წლამდე ასრულებდა ლაშხეთის ოლქის ბლაღოჩინის (იგივე კეთილმოწესის) მოვალეობას, ხოლო შემდგომ თავისივე გადაწყვეტილებით ეს უფლებამოსილება თავიდან მოუხსნია.

ღია წერილის ავტორები რომ ქვემო სვანეთის (ლაშხეთის საბლაღოჩინო ოლქის) სასულიერო პირები არიან, დასტურდება გაზ. „შინაურ საქმეებში“ (1912წ. №9, გვ14-15) გამოქვეყნებული წერილით, რომელიც ეხება აღნიშნულ ოლქში ბლაღოჩინის არჩევნებს. ამ წერილში მოხსენიებული ოთხი მღვდლის სახელი და გვარი გვხვდება „ღია წერილის“ ხელმომწერთა სიაშიც. წერილის ადრესატის პიროვნული პორტრეტის მკაფიოდ დასურათებასთან ერთად მიმართვის ტექსტში ყურადღებას იქცევს მამა იოანეს ინტენსიური საეკლესიო აღმშენებლობითი საქმიანობა: ოთხი ქვის ეკლესიის აშენება და ცხრა ეკლესიის განახლება 10 წელიწადში. ეს ციფრები უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ სვანეთის მკაცრ კლიმატურ პირობებს და 1905-1906 წლების ლეჩხუმ-სვანეთში არსებულ მძაფრ სამოქალაქო დაპირისპირების ატმოსფეროს აქ მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის გამო (ე.გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, სახელგამი, ტფილისი, 1927, გვ.126-137).

დდასადგენი იყო- ვინ არის ბლაღოჩინი მამა იოანე, რადგან ლაშხეთში ამ პერიოდში მოღვაწე მღვდელი იოანე მარგიანი უკვე 1906 წელს ცაგერის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარია (ლ. ტოგონიძე, გ. მაჩურიშვილი, „საპატრიარქოს უწყებანი", 2006, №41, გვ19-20), ხოლო „ღია წერილი" ეძღვნება პიროვნებას, რომელიც ლაშხეთის კეთილმოწესის მოვალეობას 1912 წლამდე ასრულებდა. ამ შეუსაბამობას ნათელს ფენს ორი წერილი, რომელთაგან ერთი ხელმოწერილია „ბლ. მღვდ. ი. მარგიანის" მიერ (გაზ. „ცნობის ფურცელი", 1903წ. №2296, გვ.4), ხოლო მეორე ხელმოწერილია ფსევდონიმით – „მღვდელი" (გაზ. „შინაური საქმეები" 1912, №8, გვ10–11).

პირველი წერილი, სათაურით „წერილი რედაქციისადმი" – ეხება სოფელ შგედში (ლაშხეთის საზოგადოება) ახალი ეკლესიის აგებასთან დაკავშირებით ლაჯანელი ბანოვანის (დესპინე გელოვანი) მიერ ქარაგმულად ნათქვამ სიტყვას –„ამ ბოლო დროს თავი იჩინა რაღაცამ....." („ცნობის ფურცელი", 1903 №2247, გვ.3). ბლ. მღვდ. ი. მარგიანი სთხოვს წერილის ავტორს, განმარტოს ეს „რაღაც", რადგან იგი „ეჭვსა ჰბადებს მკითხველში და ამ ეჭვს შეუძლია ჩირქი წამცხოს მე, როგორც *საქმის სათავეში მდგომს ადგილობითს* (ანუ ლაშხეთის–შენიშვნა ჩემია თ.ლ.) *კეთილ–მოწესეს*". ირკვევა, რომ იოანე მარგიანი სოფელ ჩოლურში (ქვემო სვანეთი) დაახლოებით 1898–99 წლებში, მღვდლად გამწესებიდან (ლ. ტოგონიძე, გ. მაჩურიშვილი) მეოთხე თუ მეხუთე წლისთავზე, ანუ 1903 წელს უკვე ლაშხეთის ოლქის ბლაღოჩინია.



მეორე წერილიდან (გაზ. „შინაური საქმეები", 1912, №8, გვ.10-11) ირკვევა, რომ 1906 წელს, ანუ ივანე მარგიანის ლაშხეთიდან ცაგერში გადასვლის შემდეგ, ლაშხეთის საბლაღოჩინო ოლქი თავისი ნებით შეუერთდა ცაგერისას.

ამრიგად, ნათელია, რომ იოანე მარგიანი 1906 წლის შემდეგაც, ვიდრე 1912 წლამდე, ლაშხეთის ოლქის ბლაღოჩინის მოვალეობასაც ასრულებდა. ეჭვს გარეშეა, რომ მადლიერების გამომხატველი „ღია წერილის" ადრესატი „მამა ბლაღოჩინი იოანე" – იგივე ივანე მარგიანია, ხოლო ლაშხეთის ოლქის ბლაღოჩინად იგი 1902 წელს აურჩევიათ.

მამა იოანე მარგიანის ბიოგრაფიის ერთ-ერთი უცნობი დეტალია მისი ღვთისმსახურების ადგილი იმ პერიოდში, ვიდრე იგი ცაგერში გადავიდოდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვრად (1906 წ). დღემდე ცნობილი იყო, რომ ი. მარგიანი თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ მღვდლად აკურთხეს და განამწესეს სოფელ ჩოლურში (ლაშხეთის ოლქში), დაახლოებით 1898-1999 წელს („საპატრიარქოს უწყებანი" 2006, №41, გვ. 19-20).

თუ დავეყრდნობით მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილის დღიურებს – „სვანეთში ორი კვირით" მამა იოანე მარგიანის ბლაღოჩინად არჩევას (1902 წ) ემთხვევა სოფ. ჩოლურიდან მისი ჟახუნდერში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადასვლა: „...აქ წმ. გიორგის საყდრის ვრცელ ეზოში ახალგაზრდა ბლაღოჩინი მ. იოანე მარგიანი სცხოვრობს" (გაზ. „ივერია" 1903, №107, გვ.2). სრულიად ახალგაზრდა, 31 წლის მღვდელს იმდენად ღირსეული სახელი მოუხვეჭია, რომ იმავე დღიურებში მღვდელი კარბელაშვილი აღფრთოვანებით წერს: „ამ მივარდნილ ქვეყანაში (იგულისხმება ლენხუმ-სვანეთი) პატიოსანნი ბლაღოჩინნი - გერსამია, მარგიანი და ნიჟარაძე წარმომადგენლები არიან იმ სანეტარო კაცთა, რომელთაც მაცხოვარმა რჩეული მცირედთა გუნდი უწოდა". ამავე წერილიდან ირკვევა, რომ მამა იოანე მარგიანის ლაშხეთში მოღვაწეობას ემთხვევა სოფ. ჩოლურში „საეკლესიო სამრევლო სკოლისათვის ახალი დიდი შენობის აშენება სოფლის საზოგადოების ხარჯზე" („ივერია", 1903, №193, გვ.1-2).

*თამაზ ლეჟავა*

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს მღვდელ-მონაზონი იოსები, მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, როინი-მიქაელი, შალვა, ზაზა, ლალი, გივი, ზაზა, ხოლო გარდაცვლილთათვის ლოცვაში - დეკანოზი დავითი**

გაზეთების – „საპატრიარქოს უწყებანისა" და „ალილუიას" გავრცელებასა და გამოწერასთან დაკავშირებულ
ყველა საკითხზე მიმართეთ გაზეთის მენეჯერს - ივანე ჭუმბურიძეს – 57 44 65 ან 899 96 86 60.
გთხოვთ, გაზეთების თანხა დაფაროთ გადმორიცხვით. „სახალხო ბანკი", ანგარიშის ნომერი –360851555.
გთხოვთ, თანხა გადმორიცხოთ სახალხო ბანკის ფილიალებიდან.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]
[illegible]
[illegible]; რედაქტორის თანაშემწე: [illegible]
დამკაბადონებელი: [illegible] ოპერატორი: [illegible]

# ფოტომატიანე

## პროტოპრესვიტერი მარკოზ ტყემალაძე
### 1859-1937



პროტოპრესვიტერი მარკოზ პავლეს ძე ტყემალაძე 1859 წელს იმერეთში, ქუთაისის გუბერნიაში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1874-78 წლებში სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, 1878-84 წლებში – თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო 1884-88 წლებში – კიევის სასულიერო აკადემიაში. 1889 წლის 28 იანვარს დიაკვნად აკურთხეს, ხოლო მეორე დღეს მღვდლად დაასხეს ხელი და თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად განამწესეს. იმავე წელს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1890 წელს კუკიის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა, იმავე წლის დეკემბერში კი – თბილისის ეკლესიების I ოლქის მთავარხუცესად. 1892 წლის 16 თებერვალს იასამნისფერი სკუფიით დაჯილდოვდა. 1895 წლის 6 მაისს კამილავკა უბოძეს. 1897 წლის 1 თებერვალს ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. იმავე წლის 3 მარტიდან – 1898 წლის 6 დეკემბრამდე თბილისისა და ბორჩალოს მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველია. 1899 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1902 წლის 30 აგვისტოს დეკანოზის წოდება მიენიჭა და მეორე დღეს თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა. 1904 წლის 3 თებერვალს წმინდა ანას III ხარისხის, ხოლო იმავე წლის 6 მაისს – წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1905 წლის 25 იანვარს თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის საბჭოს თავჯდომარედ აირჩიეს. 1905 წლის 21 სექტემბერ - 4 ოქტომბრის წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად დაინიშნა. 1911 წლის 6 მაისს ენქერით, ხოლო 1914 წლის 6 მაისს – წმინდა ვლადიმერის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1916 წლის 25 დეკემბერს, შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, პირველად საქართველოში, თეთრ სამღვდელოებაში მიენიჭა მიტრის ტარების უფლება. მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის III, IV და V საეკლესიო კრებებზე. 1932 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) პროტოპრესვიტერის პატივით შემოსა. 1935 წლის სექტემბერში ავადმყოფობის გამო თავი გაანება სამსახურს და პენსიაზე გავიდა. გარდაიცვალა 1937 წლის 13 მაისს. დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში.

პროტოპრესვიტერ მარკოზ ტყემალაძეს გამოცემული აქვს ქადაგებათა კრებული – „ხმა მწყემსისა" (1913 წელს) და ისტორიული ნაშრომი – „თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი" (1904 წელი).

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს მღვდელ-მონაზონი იოსები, დეკანოზი ელიზბარი, მღვდელი ლევანი, ალექსანდრე, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, როინი-მიქაელი, შალვა, ზაზა, ლალი, გივი, ზაზა, ხოლო გარდაცვლილთათვის ლოცვაში - დეკანოზი დავითი

გარეკანის პირველი გვერდის სურათის ავტორია ნინო ოყროშიძე, ნორჩ ხატმწერთა გამოფენის მონაწილე

გაზეთების – „საპატრიარქოს უწყებანისა" და „ალილუიას" გავრცელებასა და გამოწერასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართეთ გაზეთის მენეჯერს - ივანე ჭუმბურიძეს – 57 44 65 ან 899 96 86 60.
გთხოვთ, გაზეთების თანხა დაფაროთ გადმორიცხვით. „სახალხო ბანკი", ანგარიშის ნომერი –360851555.
გთხოვთ, თანხა გადმორიცხოთ სახალხო ბანკის ფილიალებიდან.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]
რედაქტორის თანაშემწე: [illegible]
დამკაბადონებელი: [illegible] ოპერატორი: [illegible]

# ფოტომატიანე



## მღვდელი გიორგი ჩაგუნავა
### 1850-1907

მღვდელი გიორგი უჩარდიას ძე ჩაგუნავა 1850 წელს დაიბადა. 1878 წელს დაამთავრა ყუბანის ოლქის საოსტატო სემინარია. 1880 წლის 10 იანვარს ჯვარი დაიწერა მღვდელ ეფრემ კასრაძის ასულ მაკრინეზე. 1878-90 წლებში მასწავლებლობდა დაბა ჯავაში, შემდგომ - თბილისის აკოფოვის კერძო გიმნაზიაში, ასევე თბილისის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის კათოლიკეთა ეკლესიის სკოლასა და თბილისის სემინარიის საჩვენებელ-სამაგალითო სკოლაში. 1889 წელს იმავე სასწავლებლის ეკონომოსი ხდება. 1890 წელს მღვდლად დაასხეს ხელი და თბილისის სემინარიის ეკლესიის მოძღვრად დაინიშნა. 1892 წლის 15 თებერვალს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1896 წლის აღდგომას, წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე, სკუფია უბოძეს. 1899 წლის 8 აგვისტოს ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა. 1902 წლის 6 მაისს კამილავკით დაჯილდოვდა. მღვდელი გიორგი 1907 წლის 5 ივნისს გარდაიცვალა. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძრის ჩრდილოეთ კედელთან. კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) მასზე საუბრისას აღნიშნავდა: „მღვდელი გიორგი იყო სამაგალითო მასწავლებელი, მშვიდი და წყნარი მოძღვარი და იშვიათი გულკეთილი ადამიანი".

მამა გიორგი ჩაგუნავას 2007 წლის 5 ივნისს გარდაცვალებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.

ფოტო მოგვაწოდა მამა გიორგის შვილიშვილმა, ბატონმა ვაჟა ჩაგუნავამ.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლევარსაბ ტოტონიძე და გიორგი მაჭარაშვილი*

მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს მღვდელ-მონაზონი იოსები, დეკანოზი ელიზბარი, მღვდელი ლევანი, ალექსანდრე, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, როინი-მიქაელი, შალვა, ზაზა, ლალი, გივი, ზაზა, ხოლო გარდაცვლილთათვის ლოცვაში - დეკანოზი დავითი

გაზეთების – „საპატრიარქოს უწყებანისა" და „ალილუიას" გავრცელებასა და გამოწერასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართეთ გაზეთის მენეჯერს - ივანე ჭუმბურიძეს – 57 44 65 ან 899 96 86 60.
გთხოვთ, გაზეთების თანხა დაფაროთ გადმორიცხვით. „სახალხო ბანკი", ანგარიშის ნომერი –360851555.
გთხოვთ, თანხა გადმორიცხოთ სახალხო ბანკის ფილიალებიდან.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამარ გაგოშიძე, ნანა გოგიბაძე
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი),
გიორგი გვასალია, ლევარსაბ ტოტონიძე, გიორგი მაჭარაშვილი, სერგო ქობალაძე, მარიამ ბაბუა,
ნინო ბაღდავაძე, თამარ ასათიანი; რედაქტორის თანაშემწე: ბონდო ოსიკელაძე,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე ოპერატორი: ზოია ქორქაშვილი.

# ფოტომატიანე

## მღვდელი გიორგი ღვინიაშვილი

1867-1908



მღვდელი გიორგი ილიას ძე ღვინიაშვილი 1867 წელს, მედავითნის ოჯახში დაიბადა. 1887 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა. 1891 წელს, IV კურსიდან, თავისი თხოვნის საფუძველზე, გათავისუფლდა სასწავლებლიდან და საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) იმავე წლის 3 მარტს დიაკვნად, ხოლო 9 მარტს – მღვდლად დაასხა ხელი და ახიელის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1892 წლის 4 მარტს ქისტაურის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში დაინიშნა. 1897 წლის 29 ივლისს შიბლიანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1899 წლის 14 იანვარს მაშნაარის ყოვლადწმიდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და ამავე სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაადგინეს. მასვე მიენდო სიღნაღის მაზრის I და II ოლქების ბიბლიოთეკარის თანამდებობა. 1901 წელს სიღნაღის წმინდა მარინეს სახელობის სასწავლებელში გალობის მასწავლებლად დაინიშნა და საგვერდულით დაჯილდოვდა. 1905 წლის აღდგომას, წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე, სკუფიით დაჯილდოვდა. მღვდელი გიორგი 1908 წლის 2 აგვისტოს გარდაიცვალა. ჰყავდა მეუღლე – ნადეჟდა რაფაელის ასული, დაბადებული 1871 წელს და ერთი ვაჟი – ირაკლი, დაბადებული 1900 წელს. მის ოჯახს, სახელმწიფო ხაზინიდან დაენიშნა პენსია 133 მანეთის ოდენობით.

ფოტო მოგვაწოდა მამა გიორგის შვილთაშვილმა, თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულმა, გიორგ[ი] ღვინიაშვილმა.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

## უცხოეთის ქრონიკა

### მუსლიმების რიცხვმა კათოლიკეებისას გადააჭარბა

ორგანიზაცია – **World Christian Databaz**-ის მონაცემებით, მსოფლიოში მუსლიმების რაოდენობამ კათოლიკეებისას გადააჭარბა. თავის მხრივ, ვატიკანი ამ მონაცემებს თავშეკავებით შეხვდა, რამდენადაც ქვეყნებში, რომლებიც ტრადიციულ ისლამისტურად ითვლება, როგორც წესი, არ ატარებენ დასახლებათა მაცხოვრებლების აღწერას, რათა გაირკვეს მათი რელიგიური კუთვნილება.

ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, დღეს მსოფლიოში 1 მილიარდ 115 მილიონი კათოლიკე ცხოვრობს. რაც შეეხება მუსლიმებს, სულ დედამიწაზე 1 მილიარდ 152 მილიონი სუნიტი და 170 მილიონი შიიტია.

უნდა აღინიშნოს, რომ თუკი აღირიცხება ყველა ტრადიციისა და დენომინაციის ქრისტიანები, ისინი მნიშვნელოვნად მეტი აღმოჩნდებიან, ვიდრე მუსლიმები, დაახლოებით – 2 მილიარდ 150 მილიონი.

### საფრანგეთში კალვინისტებმა და ლუთერანებმა გაერთიანება გადაწყვიტეს

საფრანგეთის ორმა პროტესტანტულმა ეკლესიამ – რეფორმატულმა და ლუთერანულმა – გადაწყვიტეს გაერთიანდნენ არა უგვიანეს 2013 წლისა. ეს გადაწყვეტილება მიიღეს პირველ ერთობლივ სინოდზე, რომელიც საფრანგეთის ქალაქ მონპელიერში შედგა.

დღეს საფრანგეთში, მორწმუნეთა უმრავლესობა კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნის, რეფორმატული ეკლესია (კალვინისტები) ითვლის დაახლოებით 300000 წევრს, ხოლო ლუთერანული – 36 000.

---

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს მღვდელ-მონაზონი იოსები, დეკანოზი ელიზბარი, მღვდელი ლევანი, ალექსანდრე, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, როინი-მიქაელი, შალვა, ზაზა, ლალი, გივი, ზაზა, ხოლო გარდაცვლილთათვის ლოცვაში - დეკანოზი დავითი**

---

გაზეთების – „საპატრიარქოს უწყებანისა" და „ალილუიას" გავრცელებასა და გამოწერასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართეთ გაზეთის მენეჯერს – ივანე ჭუმბურიძეს – 57 44 65 ან 899 96 86 60.

გთხოვთ, გაზეთების თანხა დაფაროთ გადმორიცხვით. „სახალხო ბანკი", ანგარიშის ნომერი – 360851555.

გთხოვთ, თანხა გადმორიცხოთ სახალხო ბანკის ფილიალებიდან.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]
[illegible], ლუარსაბ ტოგონიძე, [illegible],
გიორგი მაჩურიშვილი, [illegible]; რედაქტორის თანაშემწე: [illegible],
დამკაბადონებელი: [illegible] ოპერატორი: [illegible].

## უცხოეთის ქრონიკა

როგორც ბანკომატები ან ტერმინალები. იდეის ავტორის რომან სტუკალოვის თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად, პროექტს მკვეთრად მართლმადიდებლური მიმართულება უნდა ჰქონოდა, თუმცა მოგვიანებით უნივერსალური ლოცვისათვის ავტომატის კომპრომისული ვარიანტი მოიძებნა, რომელიც სხვა აღმსარებლობის მიმდევრებსაც გამოადგებათ. პეტერბურგის „ლოცვის აპარატი" წარმოადგენს კაბინას, რომელსაც დიდი პლასტიკური შუშები აქვს და საგანგებოდაა დახურული. მანქანის პროგრამაში ჩატვირთულია მთავარი ლოცვები ყველა ძირითადი რელიგიისა. დამატებითი გადახდისას იგი გასცემს მართლმადიდებლურ სანთლებს, წყალს, სეფისკვერს, იუდევლებისთვის – მაცას, მუსლიმებისთვის – ერთჯერად ნოხებს.

„ეს იდეა ავანტურისა და ფანტაზიის ნაყოფია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წმინდა წყლის ბიზნესია", – განაცხადა სანკტ-პეტერბურგის ეპარქიის მისიონერული განყოფილების მღვდელმსახურმა, მამა ალექსანდრე ბუდნიკოვმა.

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი"

მაკა მიქელაძე „ჯვრის მონასტერი"



# მღვდელი ამბროსი კანდელაკი

### 1870-1939

მღვდელი ამბროსი კანდელაკი 1870 წელს იმერეთის გუბერნიაში, სოფელ ჭოკნარში, მღვდელ ბესარიონ კანდელაკის ოჯახში დაიბადა. კანდელაკების ოჯახი წარმოშობით სოფელ გამოჩინებულიდან ყოფილა. მამა ამბროსის ბაბუა სამღვდელო მსახურების გამო აქედან სოფელ ჭოკნარში გადასახლებულა. მღვდელი ბესარიონი სოფელ ნოღის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარი იყო.

მამა ამბროსი 1887-93 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1894 წელს, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი მღვდლად დაასხა ხელი და ჭოკნარის სამრევლოს წინამძღვრად დანიშნა. მამა ამბროსი მიეკუთვნებოდა სემინარიელთა იმ ჯგუფს, რომელნიც, ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეებით გულანთებულნი, უანგაროდ ემსახურებოდნენ ქართველი ხალხის განათლებას. მისი მოწადინებით სოფლებში – ჭოკნარსა და დაფნარში ორწლიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლები დაარსდა, რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობდა. თავდაპირველად, შენობის უქონლობის გამო, სკოლა თავის სახლში გაუხსნია. მასწავლებლები მისი ბიძაშვილები, აგრაფინა კანდელაკი და აბესალომ (პროკლე) ტაბიძე იყვნენ.

მამა ამბროსის მეუღლე მაშო სოფელ კულაშის თავადის აპოლონ მიქელაძის ასული იყო. იგი ფრიად გონიერი და განათლებული ქალბატონი ყოფილა. სხვებთან ერთად მაშოც ასწავლიდა მამა ამბროსის დაარსებულ სასწავლებელში.



*თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ამბროსი კანდელაკი 1893 წელი*

მათ 7 შვილი შეეძინათ: შალვა, გიორგი, მიხეილი, გრიგოლი, გოგოლა, ეკატერინე და ალექსანდრა.

შთამომავლები იხსენებენ დაფნარის სამრევლო სკოლის გახსნასთან დაკავშირებულ ერთ ამბავს: მამა ამბროსის სწვევია რუსი ჩინოვნიკი. სკოლის საზეიმოდ გახსნის შემდეგ იგი ვახშამზე მიიწვიეს. კარგი ღვინით თავი რომ მოეწონებინა, მამა ამბროსის ასეთი ხერხი უხმარია. ქვევრში ღვინის მაგიერ შამპანიური ჩაუსხამს და დაულუქავს. რუს ჩინოვნიკს „ღვინო" ქვევრის თავზე დაულევია და გაოცებულს უთქვამს: **„ეტო დაფნარსკოე შამპანსკოეაო".**

1904 წლის 30 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) მამა ამბროსი სოფელ ბარ-საჯავახოს ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანა. 1910 წლის 6 მაისს კამილავკით დაჯილდოვდა. 1917 წლის დასაწყისში გამოცემული კავკასიის კალენდრის მიხედვით, გამოჩინებულის ოლქის მთავარხუცესი არის მღვდელი იუსტინე სტეფანეს ძე ტაბიძე (ტიციან ტაბიძის მამა). 1917 წელს კი, საქართველოს ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ, ქუთათელმა მიტროპოლიტმა ანტონმა (გიორგაძე) მამა ამბროსი გამოჩინებულის ოლქის მთავარხუცესად დანიშნა.

იმ პერიოდში, საპატრიარქოში დაცული საბუთების თანახმად, ოლქში მოქმედებდა 31 ტაძარი.

1921 წელს, კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ, მძიმე დღეები დაუდგა ეკლესიასა და სამღვდელოებას. ტაძართა დანგრევა და ღვთისმსახურთა დახვრეტა გასამართლების გარეშე ხდებოდა. გამონაკლისი არც მამა ამბროსი გახლდათ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მამა ამბროსის ღვთისმსახურება აუკრძალა და ჭოკნარის ტაძარი დაანგრია. როდესაც სიტყვით ვერაფერს გახდნენ, მოძღვარი დააპატიმრეს და ძალით გაკრიჭეს. შეშფოთებულმა მამა ამბროსიმ ღამით მთელი საეკლესიო ნივთები და საღვთისმსახურო წიგნები ჩუმად მიიტანა სახლში და სხვენში დამალა. თუმცა არც ეს გამოპარვიათ „ბნელეთის მოციქულებს". მოძღვარს სახლში მოუცვივდნენ, ყველა ნივთი შუა ეზოში გამოიტანეს და დაწვეს. გადმოცემით, მამა ამბროსის მოუსწრია და ზოგიერთი საეკლესიო ნივთი სხვა ადგილზეც დაუმალავს (მაგრამ დღეს არავინ იცის მათი ადგილსამყოფელი).

მიუხედავად შევიწროებისა და დევნა-შექარისა, მამა ამბროსი ღამღამობით, ჩუმად მაინც აღასრულებდა საეკლესიო საიდუმლოებებს. დევნილი მოძღვარი 1939 წლის თებერვალში გარდაიცვალა. დაკრძალეს სოფლის სასაფლაოზე. მისი დაარსებული სკოლის აღზრდილები წლების მანძილზე მადლიერებით იხსენებდნენ მამა ამბროსის ღვაწლს. ახლა ისინიც წავიდნენ იმქვეყნად და ამ ღირსეული მოძღვრის სახელი დავიწყებას არ უნდა მიეცეს.



*ჭოკნარის სამრევლო-საეკლესიო ორკლასიანი სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. შუა რიგში სხედან, მარცხნიდან: პედაგოგი გიორგი ხუროძე, პედაგოგი აბესალომ ტაბიძე (გალაქტიონ ტაბიძის ძმა), მღვდელი ამბროსი, მაშო კანდელაკისა (მამა ამბროსის მეუღლე), აგრაფინა კანდელაკი (მამა ამბროსის ბიძაშვილი) და გოგოლა კანდელაკი (მამა ამბროსის ქალიშვილი). ფოტო გადაღებულია 1914 წლის 31 მაისს, ფოტოგრაფ ხუნდაძის მიერ.*

*ფოტოს მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მამა ამბროსის შვილთაშვილს, ბატონ თემურ კანდელაკს.*

*მოამზადა გოგიტა (გალაქტიონ) გიორგაძემ.*

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**

**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

გაზეთების – „საპატრიარქოს უწყებანისა" და „ალილუიას" გავრცელებასა და გამოწერასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართეთ გაზეთის მენეჯერს – ივანე ჭუმბურიძეს – 57 44 65 ან 899 96 86 60.
გთხოვთ, გაზეთების თანხა დაფაროთ გადმორიცხვით. „სახალხო ბანკი", ანგარიშის ნომერი – 360851555.
გთხოვთ, თანხა გადმორიცხოთ სახალხო ბანკის ფილიალებიდან.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ-ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამარ გაბისონია, ნანა [illegible]
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დანიელი ([illegible]), [illegible], ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი [illegible], [illegible]; რედაქტორის თანაშემწე: [illegible],
დამკაბადონებელი: ქახაბერ მაისურაძე ოპერატორი: ზოია ქობახიძე.

საპატრიარქოს უწყებანი

# ფოტომატიანე



## რუსეთის პატრიარქი ალექსი I სტუმრად საქართველოში. 1950 წელი.

სხედან: რუსეთის პატრიარქი ალექსი I (სიმანსკი) და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე).

დგანან: სიონის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზი ალექსანდრე გაბუნია, მთავარეპისკოპოსი ნიკონი (პეტინი), თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ზინობი (მაჟუგა), რუსეთის პატრიარქის მდივანი კარპოვი და ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ეფრემი (სიდამონიძე).

ფოტო მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით საქართველოს საპატრიარქოს არქივის დირექტორს, ქალბატონ მზია კაცაძეს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

გაზეთების – „საპატრიარქოს უწყებანისა“ და „ალილუიას“ გავრცელებასა და გამოწერასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართეთ გაზეთის მენეჯერს – ივანე ჭუმბურიძეს – 57 44 65 ან 899 96 86 60.
გთხოვთ, გაზეთების თანხა დაფაროთ გადმორიცხვით. „სახალხო ბანკი“, ანგარიშის ნომერი – 360851555.
გთხოვთ, თანხა გადმორიცხოთ სახალხო ბანკის ფილიალებიდან.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამარ ბაბილონია, ნანა გოგუაძე
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დოსითეოს (ბოლქვაშვილი),
[illegible]; რედაქტორის თანაშემწე: [illegible],
დამკაბადონებელი: [illegible] ოპერატორი: [illegible].

ფოტომატიანე

# დეკანოზი სვიმონ ტყემალაძე

დეკანოზი სვიმონი XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1899 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა. 1901 წლის 20 ივლისს, მეორე კურსზე, დიაკვნად აკურთხეს და გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა. 1902 წლის 26 დეკემბერს მღვდლად დაასხეს ხელი და არანისის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნეს. 1909 წელს, დროებით დაინიშნა დუშეთის მაზრის II ოლქის მთავარხუცესის თანამდებობაზე. 1911 წლის აღდგომას, წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე, საგვერდულით დაჯილდოვდა. 1911 წლის 13 ოქტომბერს, ოფიციალურად დამტკიცდა მთავარხუცესად. 1913 წელს სკუფიით დაჯილდოვდა. 1915 წლის 6 მაისს კამილავკა უბოძეს. 1916 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1917 წლის 8 იანვარს დუშეთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1918 წელს დატოვა მთავარხუცესის თანამდებობა. 1921 წლის შემოდგომაზე, ახლად არჩეულმა კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაია) მამა სვიმონი კვლავ დაადგინა ძველ თანამდებობაზე. 1926 წელს, წილკნელმა ეპისკოპოსმა პავლემ (ჯაფარიძე) დეკანოზის წოდება მიანიჭა. იმავე წელს, წილკნის ეპარქიის ადგილობრივ საეპარქიო კრებაზე ერთხმად აირჩიეს საქართველოს ეკლესიის IV კრების დელეგატად, თბილისში მცხოვრებ ქაიხოსრო ოთარის ძე ზანდუკელთან ერთად. დეკანოზი სვიმონი XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

საქართველოს საპატრიარქოს არქივში, წილკნის ეპარქიის საქმეებში, დაცულია 1923 წლის 9 აპრილით დათარიღებული წერილი, სადაც მამა სვიმონი საკათოლიკოსო სინოდს ატყობინებს კომუნისტების მიერ დუშეთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის დარბევის ამბავს: „აღდგომის ღამეს, ლიტანიობის დაწყებამდე შემოვიდენ ყვირილით, მუქარით, ყიჟინით, პაპიროსის წევით, ინტერნაციონალური (ალბათ,



იგულისხმება ე.წ. ინტერნაციონალი, რომელიც უაღრესად პოპულარული იყო მთელი კომუნისტური პერიოდის მანძილზე [რედ.]) სიმღერებით და წითელი დროშებით ადგილობრივი კომკავშირის წევრები კარანაძის მეთაურობით და გამართეს ეკლესიაში მიტინგი მილიციის თანხლებით. კარანაძე შედგა ამბიონზე და მოუწოდა ხალხს სარწმუნოების დაგმობაზე: მან სთქვა, რომ ღმერთი არ არსებობს, ეკლესია სისულელეა, არის ცრუმორწმუნეთა ბუდე, მღვდლები და ბერები მატყუარები არიან. ამის შემდეგ კიდევ სთქვა ორმა კაცმა სიტყვა იგივე მიმართულებისა და განაცხადეს, რომ დღეის აქეთ აქ დაარსდება კლუბი. სალოცავად მოსულ ხალხს მისცეს წინადადება დაუყონებლივ დაეტოვებინათ ეკლესია. შეიქმნა განგაში, მითქმა-მოთქმა ხალხში მათ წინააღმდეგ გალაშქრებისა, მაგრამ დაინახეს რა შეიარაღებული ძალა, მოერიდენ სისხლის ღვრას, იძულებული შეიქმნენ მიენებებინად თავი და დატოვეს ეკლესია, ხალხის გასვლის შემდეგ აღნიშნულმა ინიციატორებმა ჩამოგვართვეს ეკლესიის გასაღები და დალუქეს კარები. გამოფინეს სამრეკლოზე წითელი დროშა. მოგახსენებთ რა აღნიშნულს, გთხოვთ მოახდინოთ სწრაფი განკარგულება. მოახსენოთ სასულიერო მთავრობას სათანადო ზომების მისაღებად სადაც ჯერ არს".

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი გაჩეჩილაძე*

**მკითხველს ვთხოვთ, ცოცხლებისთვის ლოცვაში მოიხსენოს მღვდელი ლევანი, ქეთევანი, ზურაბი, კონსტანტინე, გივი, ხოლო გარდაცვლილთათვის ლოცვაში - დეკანოზი დავითი**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ-ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]
რედაქტორის თანაშემწე: [illegible]
დამკაბადონებელი: [illegible] კორექტორი: [illegible]

## ფოტომატიანე

# არქიმანდრიტი კირილე (ცინცაძე)

## 1856-1940

არქიმანდრიტი კირილე 1856 წელს დაიბადა, ეკუთვნოდა სასულიერო უწყებას. სასწავლებელში არ უსწავლია. წერა-კითხვა, საღმრთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი მონასტერში ისწავლა. 1887 წლის 8 თებერვალს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძრის მედავითნედ დაინიშნა. 1889 წლის 7 მაისს, თავისივე თხოვნით, შუამთის მონასტერში მორჩილად განამწესეს. 1890 წელს ამავე მონასტერში ბერად აღიკვეცა და სახელად კირილე ეწოდა. იმავე წელს დიაკვნად აკურთხეს. 1891 წლის 8 სექტემბერს მღვდლად დაასხეს ხელი. 1892 წლის 20 აპრილს აწყურის თეთრი გიორგის სახელობის მონასტერში დაინიშნა. 1898 წლის 21 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1899 წლის 31 დეკემბერს შუამთის მონასტერზე მიწერილ, ნადოკრის წმინდა არჩილ მეფის სახელობის სკიტში განამწესეს. 1900 წლის 25 აპრილს ქვათახევის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში გადაიყვანეს. იმავე წლის 22 მაისიდან თბილისის ფერისცვალების სახელობის მონასტერშია. 1901 წლის 1 თებერვალს დავით გარეჯის მონასტერში გადაიყვანეს და იმავე წლის 1 მარტს ხაზინადრად დანიშნეს. 1903 წლის 15 მარტს ისევ აწყურის თეთრი გიორგის მონასტერში გადაიყვანეს. 1910 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1923 წელს აწყურის თეთრი გიორგის მონასტერი კომუნისტებმა აიკლეს და ბერი იძულებული გახდა, იქაორობა დროებით დაეტოვებინა. 1925 წელს, აწყურის მონასტერი, როგორც სამრევლო ტაძარი ისევ ამოქმედდა და მამა კირილეს კვლავ მიეცა საშუალება ემსახურა ღვთის სადიდებლად. პარალელურად იგი ქისტაურის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვრადაც დაინიშნა. 1929 წელს იღუმენის წოდება მიენიჭა. 1932 წლის 5 აპრილს, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, ენქერით დაჯილდოვდა. 1933 წლის სექტემბერში, ალავერდის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ დაინიშნა და იმავე წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში



სადღესასწაულო წირვის დროს, კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა.

1940 წლის იანვრის თვეში ჟურნალი „მებრძოლი ათეისტი" იუწყებოდა: „1939 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში თეთრი გიორგის (თელავის რაიონი) ტაძარში სალოცავად ჩამოსულმა ოჯახმა „ადათ-ჩვეულების თანახმად", ეკლესიის ეზოში ცხვარი დაკლა. კირილე მღვდელმა მლოცველებისაგან მოითხოვა, წესისამებრ მისთვის „კუთვნილი" ცხვრის ბეჭის, შიგნისა და ტყავის მიცემა, რაზედაც ამ უკანასკნელმა უარი მიიღო. აღშფოთებულმა მღვდელმა ეკლესიის ეზოს დატოვება მოსთხოვა „მლოცველებს" და როდესაც საწადელს ვერ მიაღწია, მათი ურთიერთობა ჩხუბში გადაიზარდა. „მლოცველებმა მღვდელი ფიზიკურად შეურაცხყვეს".

ალბათ, ადვილი მისახვედრია, თუ ვინც იყვნენ ეს „მლოცველები". 1940 წლის 21 იანვარს, ქ. ახმეტაში არქიმანდრიტი კირილე, სწორედ ამ ცემის შედეგად, სასტიკად ნაგვემი აღესრულა.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

[illegible]
„საპატრიარქოს უწყებანი" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com, sap.uts@posta.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დანიელი ([illegible]), [illegible], ლუარსაბ ტოგონიძე, [illegible], გიორგი მაჩურიშვილი, [illegible]; რედაქტორის თანაშემწე: [illegible]
დამკაბადონებელი: [illegible] ოპერატორი: [illegible]

# ფოტომატიანე

## მღვდელი ზაქარია ქურდიანი

მღვდელი ზაქარია ქურდიანი დაიბადა საგარეჯოში, გიორგი ქურდიანის ოჯახში. როგორც შთამომავლები გადმოგვცემენ, მამა ზაქარიას წინაპრები საეკლესიო მსახურები ყოფილან და სწორედ ამასთან დაკავშირებით ქურდიანების საგვარეულოს ეს შტო კახეთში სვანეთიდან ჩამოსულა და დამკვიდრებულა. ზაქარია ქურდიანი სიყმაწვილიდან ღვთისმოსაობით ყოფილა გამორჩეული და, შესაბამისად, სამღვდელო მსახურება აურჩევია. 1880-იანი წლების დასაწყისიდან იგი სოფელ პატარძეულის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში მსახურობს. მამა ზაქარიამ დიდი ნდობა და პატივისცემა მოიპოვა მოსახლეობაში. ამას ბევრ კეთილ პიროვნულ თვისებასთან ერთად მისი წარმოსადეგი გარეგნობა უწყობდა ხელს.

მამა ზაქარია ყურადღებას უთმობდა მრევლის განათლებას. ამ მიზნით მან სამრევლო სკოლის მმართველობა ითავა და ადგილობრივი მოსახლეობის თანადგომით წარმატებულად წარმართა კიდეც. მოძღვრის ასეთი მოშურნეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა – იგი 1884 წელს სკუფიით დააჯილდოვეს. მამა ზაქარიას ყველა სასიკეთო წამოწყების გულშემატკივარი მისი მეუღლე, უსათნოესი ქალბატონი – მარიამ ნიკოლეიშვილი გახლდათ. იგი წარმოშობით სოფელ მარტყოფიდან იყო. მამა ზაქარიამ და მარიამ ნიკოლეიშვილმა შვიდი შვილი გაუზარდეს სამშობლოს – ოთხი ვაჟი და სამი ქალიშვილი.

1890-იანი წლებში მამა ზაქარია პატარძეულის ხარების სახელობის ეკლესიაში მოღვაწეობდა, სადაც უანგარო სამსახურისათვის არაერთი მადლობა დაიმსახურა.

მოძღვრის სიცოცხლე, სამწუხაროდ, ტრაგიკულად დასრულდა 1903 წლის დეკემბერში. იგი პატარძეულისკენ მიმავალი ცხენიდან გადმოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა. დაკრძალულია პატარძეულის ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში.

მამა ზაქარიას პიროვნებაზე მისი ღირსეული შთამომავლობაც მეტყველებს. მის შთამომავალთა შორის იყვნენ საყოველთაოდ ცნობილი ექიმები, ინჟინრები, არქიტექტორები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მამა



ზაქარიას შვილების – სოლომონისა და გიგოს ღვაწლი საქართველოს წინაშე. სოლომონი გახლდათ ჩვენს ქვეყანაში დენდროლოგიის ფუძემდებელი და საბუნებისმეტყველო საგნების ერთ-ერთი პირველი პედაგოგი ახლად გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რაც შეეხება გიგო ქურდიანს, იგი განაგებდა სამშენებლო საქმეს როგორც 1918-1921 წწ. დამოუკიდებელ საქართველოში, ასევე შემდგომ პერიოდშიც.

მღვდელ ზაქარია ქურდიანის შვილთაშვილია საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი, სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსი შიო (მუჯირი).

ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით მღვდელ ზაქარია ქურდიანის შვილიშვილს, ქალბატონ ლამა ქურდიანს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

**გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მითითებულ ახალ ელექტრონულ მისამართზე ან მოგვმართოთ რედაქციაში.**
**თქვენთან ურთიერთობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

გთხოვთ, გაზეთის გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com; sap.uts@posta.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამაზ ბაბილონია, ნანა [illegible]
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი [illegible],
[illegible], ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი [illegible],
გიორგი მაჩურიშვილი, [illegible]; რედაქტორის თანაშემწე: [illegible],
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე ოპერატორი: ზოია [illegible].

ქრისტიანული ანთროპოლოგია გულს როგორც გონების, ასევე სიკეთის სამყოფელად და მთელი ადამიანური არსების მბრძანებლადაც მიიჩნევს. ქრისტიანული ეთიკის მიხედვით მუდმივი სულიერი განწყობილება–ზნეობა ადამიანს სიკეთის ქმნის უნარს ანიჭებს".

ქრისტიანულმა პედაგოგიკამ იცის, რომ სულის ძალას ქრისტეს მცნებანი ანუ სარწმუნოება წარმოადგენს. ქრისტიანული პედაგოგიკის ამოცანაა, ღვთისშემეცნებისა და თვითშემეცნებისკენ მიაქციოს ადამიანი. წმინდა ილია მართლის კონცეფციით, სიკეთე მუდმივი პროცესია, რომელიც ვითარცა განწყობილება სუფევს გულში და მუდმივად მზად არის კეთილი საქმის კეთებისათვის. ამ მოქმედების განმაპირობებელი სულიერი საწყისი კი არის სიყვარული. სიყვარული კი „სულგრძელია, ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს... თავისას არა ეძებს... ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს" (I კორინთ. 13. 4-7). ამიტომაც ის საფუძველია ერთობისა.

ზურაბ მიმინოშვილი

---

ქართული სამღვდელოების ისტორიიდან

# მღვდელი პავლე აზიკური

თუშეთი ჩვენი ქვეყნის მთიანეთის ერთ-ერთი ულამაზესი და ღვთივკურთხეული კუთხეა.

უბრალო ისტორიული ჭეშმარიტებაა, რომ სწორედ სარწმუნოებაში მტკიცედ დგომამ შემოგვინარჩუნა ქართველებს ჩვენი თვითმყოფადობა – ენა, კულტურა, ტრადიციები. ამისი ნათელი მაგალითია თუშეთი, რომლის რთულ და მიუვალ ხეობებში ამდენი სოფლების არსებობა და აქ თუში ხალხის ყოფნა ღვთის დიდი წყალობა და დიდი სასწაულია, რადგანაც მთელი საუკუნეები მუსულმანური სამყაროს გარემოცვაში (ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩეჩნეთი, აღმოსავლეთით – დაღესტანი), მკაცრ საცხოვრებელ პირობებში მყოფი ბარს მოწყვეტილი თუშებიც მხოლოდ ღვთის სიყვარულსა და ღვთის რწმენას თუ შეეძლო დღევანდლამდე მოეყვანა და შეენარჩუნებინა სარწმუნოება, ადათ-წესები და კულტურა.

თუში ხალხის ისტორიულ წარსულს, მათ წეს-ჩვეულებებს თუ დავუკვირდებით, კარგად დავინახავთ, რა ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქრისტიანულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. ქრისტიანობა თუში კაცის ყოველდღიურ ცხოვრებაში აისახებოდა: მის ქცევაში, ჩაცმულობაში, შრომასა თუ ხელსაქმეში. დღეს ვერ შეხვდებით ვერც ერთ უხუცეს თუშს, რომელსაც არ ახსოვდეს, თუ როგორ წმინდად ინახავდნენ მათი წინაპრები მარხვას.

თუშეთში დაახლოებით ათამდე ეკლესია იყო. დღევანდლამდე მოღწეულია ხუთი მათგანი, რომელთაც XIX საუკუნეს მიაკუთვნებენ. ესენია: შენაქოს წმ. სამების, ომალოს ღვთისმშობლის მიძინების, ნაციხარის, ილიურთის წმ. გიორგისა და დართლოს ღვთისმშობლის ეკლესიები, ტაძრები ყოფილა ასევე სოფელ ფარსმასა და ჯვარბოსელშიც. აქედან მოქმედია მხოლოდ ერთი ტაძარი სოფელ ომალოში, ხოლო შენაქოს ეკლესიაში აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის ლოცვა-კურთხევითა და ადგილობრივი თუშების – სამღვდელოებისა და მოსახლეობის დიდი ენთუზიაზმით, კეთილისმყოფელთა თანადგომით მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები. იმედი გვაქვს, ღვთის შეწევნით, ყოველივე კეთილად წარიმართება და შესაძლებელი იქნება ამა წლის ზაფხულში იკურთხოს და თუშეთს შეემატოს კიდევ ერთი მოქმედი ტაძარი – სადიდებელად უფლისა და სანუგეშოდ მთიელი ხალხისა.

როგორც საარქივო მასალებიდან ვიგებთ, დაახლოებით 1930-იან წლებამდე თუშეთში ღვთისმსახურებას ეწეოდნენ თუში მღვდლები: თადე-

ოზ ბოჭორიძე, პავლე აზიკური, პეტრე ელანიძე, ბაგრატ ცოცანიძე, იოანე დაქიშვილი, მღვდელმონაზონი თორნიკე და სხვა.

XIX-XX საუკუნეებში პირიქითის ხეობაში მსახური სხვა სამღვდელო პირი, გარდა მღვდელ პავლე აზიკურისა და პეტრე ელანიძისა, არც ზეპირ გადმოცემებსა და არც სხვა წყაროებში არ ჩანს.

მღვდელ პავლე აზიკურის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები საკმაოდ მწირია. მისი შთამომავლებისა და უკვე ასაკოვანი ნათესავების ხსოვნაში შემორჩენილი წარსულის თავმოყრით, შეძლებისდაგვარად აღვადგინეთ მისი ბიოგრაფია.

თუშეთი გეოგრაფიულად იყოფა სამ ხეობად: პირიქითის, გომეწრისა და ჩაღმის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირიქითის ხეობაში მდებარე სოფლებიდან ორ მათგანში – დართლოსა და ფარსმაში იყო ეკლესიები.

მამა პავლე სწორედ ფარსმის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში (რომელიც გირევიდან დაახლოებით 5 კილომეტრზე მდებარეობს) ეწეოდა ღვთისმსახურებას. იგი დაიბადა 1840-იან წლებში სოფელ გირევში. მის მამას ერქვა იმედო, დედა ფარსიკაანთ ქალი იყო. ყავდა 3 ძმა: ბასილი, გიორგი და ფილიპე.

მეტად საინტერესოა ისტორია, თუ როგორ გახდა გარე სამყაროს მოწყვეტილი თუშეთის და ისიც პირიქითის მიუვალ ხეობებსა და ბუმბერაზ, პირქუშ მთებში დაბადებული თუში კაცი ღვთისმსახური. მოკლედ გადმოგცემთ იმ გრძელ ამბავს, რომელიც ჩაუწერია მამა პავლეს ძმისშვილს – შიო აზიკურს. ეს ისტორიული ნამდვილი ამბავი ერთი გვარის წარსულიდან, დღეს შესაძლოა ზღაპრივითაც მოგვეჩვენოს, მაგრამ მასში ნათლად შეგვიძლია დავინახოთ თუში ხალხის, ის მძიმე და ტრაგიკული ისტორიული ყოფა, რომლშიც საუკუნეების მანძილზედ მუდმივად უწევდა ცხოვრება.

მამა პავლეს ყოლია ძალიან ლამაზი მამიდა (მამის ბიძაშვილი) მაია, რომელიც ერთ ქისტს ყვარებია, მოუტაცია და ცოლად შეურთავს. მამა პავლეს მამა იმედო ვერ ეგუებოდა თავისი ბიძაშვილის მუსულმანებში ცხოვრებას, იქ წავიდა კიდეც მის დასაბრუნებლად, მაგრამ მაია უკან აღარ გამოჰყვა. იგი დამორჩილებოდა თავის ხვედრს და უჭირდა ქმარ-შვილის მიტოვება. იმედო ძალიან განიცდიდა ამ ამბავს და ბოროტი ზრახვაც მოსვლია – ქმარს მოვუკლავ და მერე აღარ გაუჭირდება დაბრუნებაო. თავისი ჩანაფიქრის აღსრულების შემდეგ წამოსულა გირევში. მაია კი ოჯახის მორჩილებაში კვლავ მუსულმანებში აგრძელებდა ცხოვრებას და არც ფიქრობდა უკან დაბრუნებას. იგი ყველას უყვარდა და ებრალებოდა, მაგრამ ქისტური წესის მიხედვით მას განაჩენი გამოუტანეს – სხვა გვარში უნდა გაეყიდათ. აი, მაშინ კი თავს უშველა, ღამე თავისი პატარა შვილით მთლად მარტო გამოიპარა, საცალფეხო ბილიკებით ჯერ ხევსურეთში გადავიდა, იქიდან უკანა ფშავში და ბოლოს თიანეთში დაბინავდა. აქ მძიმე მუშაობით ირჩენდა თავს. შემდეგ გათხოვილა საკმაოდ შეძლებულ ქვრივ კაცზე და უზრუნველყოფილად ცხოვრობდა, თუმცა თავისი კუთხისა და ახლობლების დარდს მუდამ ატარებდა. ამიტომ, შეუთვლია თუშეთში თავისი ბიძაშვილისთვის (პავლეს მამისთვის) – შენი ერთ-ერთი შვილი მომიყვანე აქ თიანეთში და კარგ სწავლა-განათლებას მივცემო. იმედოს გაუგზავნია პავლე და ხვთისო მამიდასთან. აქ ორივემ დაამთავრა თიანეთის სასწავლებელი. ხვთისომ მეცხვარეობა ირჩია, პავლეს კი სწავლა აურჩევია, მაგრამ უცნობია როგორ დადგა ღვთისმსახურების გზაზე, როდის და ვისი ხელდასხმით იკურთხა, მაგრამ ფაქტია, რომ თუშეთში დაბრუნდა როგორც მღვდელი. ჩაიბარა ფარსმის საზოგადოება (როგორც მაშინ იწოდებოდა), რომელშიც 7 სოფელი შედიოდა: ჭონთიო, ჰეღო, დაქიურთა, ნაკუდურთა, გირევი, ბასო და ფარსმა.

მამა პავლემ მრავალი განათლა, აღზარდა და სიპის ქვებზე ასოების გამოწერით ასწავლიდა წერა-კითხვას. თავის შვილებსაც პირველმა მისცა უმაღლესი განათლება. მამა პავლე ზრდიდა შვიდ შვილსა და გერს, ნიკოს, იოსებს, მოსეს, იოანეს (ვანო), ვახტანგს (ვახტო), თებროს და სონას. შვილებს მამა პავლე ლოცვითა და მარხვით ზრდიდა. ვაჟებმა უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს, ქალებს კი წერა-კითხვაც არ ასწავლა. მამა პავლე თვლიდა, რომ ქალისთვის

მთავარი იყო ოჯახი და ხელსაქმე. მისი ერთ-ერთი ქალი – თებრო, როგორც მისი შვილიშვილი იხსენებს, მოხუცებულობამდე (გარდაიცვალა 1979წ, 82 წლის) დანანებითა და საყვედურით იხსენებდაო, რომ მამამ მას განათლება არ მისცა და წერა-კითხვა გათხოვების შემდეგლა შეისწავლაო.

უფროსმა ვაჟმა ნიკომ დაამთავრა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; მოსემ – ბაქოს საინჟინრო სასწავლებელი; იოსებმა – სამხედრო სასწავლებელი. იგი იბრძოდა I მსოფლიო ომში, სადაც ტყვედ ჩავარდა და ერთ ხანს ცხოვრობდა შვეიცარიაში. ტყვეობის დროს ფილტვებით დაავადებულმა მოახერხა საქართველოში დაბრუნება და ლოგინად ჩავარდნილი დაახლოებით 1925-26 წწ. გარდაიცვალა; ვანომ მთელ თუშეთში პირველმა დაამთავრა გროზნოს სატყეო ტექნიკუმი; ვახტო სუსტი ჯანმრთელობის ყოფილა და 20 წლისა ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.


პეტრე ელანიძე (მარცხნივ), ზის მღვდელი პავლე აზიკური ვაჟთან - ვანოსთან ერთად. 1909 წელი

ბევრისთვის ნაკლებად ცნობილი და მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტია, რომ 1928-34 წლებში მამა პავლეს ვაჟის მოსე აზიკურის მიერ დაიგეგმა ბარიდან თუშეთისკენ მიმავალი ყველაზე უკეთესი, სამოკლეო გზა-ბილიკი (მანამდე შორი, საცალფეხო, მეტად რთული გზით დადიოდნენ) და მისი უშუალო ხელმძღვანელობით ხდებოდა პირველად იმ გზის გაკვალვა, რომელზედაც დღევანდელი სამანქანე გზა გადის. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა ომალოს სკოლა-ინტერნატი. მოსეს მიზნად ჰქონია თუშეთში წყლის პრობლემის შესწავლა-მოგვარება (დღემდე მოუგვარებელია), დაწყებულიც ჰქონია ეს საქმე, მაგრამ აღარ დასცალდა. დაახლოებით 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. გაურკვეველი მიზეზებით (როგორც XX საუკუნის 30-იან წლებში ხშირად ხდებოდა) იბარებდნენ შინსახკომში დაკითხვებზე. მხოლოდ უფალმა უწყის მღვდლის შვილს რას აიძულებდნენ, რა ცრუ ჩვენებასა და ცილისწამებაზე ვერ იყოლიებდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ბოლოს დაავადდა და 1940 წ. გარდაიცვალა.

აქვე არ შეიძლება არ მოვიყვანოთ მისი პირადი ჩანაწერებიდან – გაცრეცილი რვეულიდან მცირე ამონარიდი, რომელიც თავად ბევრს მეტყველებს: „...მე არ მქონია შემთხვევა პირადათ ცალკე, თავისუფლად – მთელი ამ „ბარგის“ გარეშე – მივსულიყავი „ჩინოვნიკურად“ სამუშაო უბანზე. საქმე თხოულობდა მთელ ამ შავ ფიზიკურ შრომაშიაც მიმეღო მონაწილეობა, ამეკიდნა და ჩამომეღო, როცა საჭირო იყო ცხენების საპალნე და ხშირად ივლისის (?!) დღეებში გვეძებნოს „გამყოლებს“ თოვლის დროს, ახალი ზაფხულის თოვლით დაფარული ბილიკები! უნდა გამოვტყდე, სტიქიის მძიმე პირობებს წუთით დაუძლევია ჩემთვის. მიწყევლია ჩემს სავალალოდ, ჩემს მიერვე დაწყებული საქმე, მაგრამ დაბურვილი, მრისხანე, ნამდვილი ზამთრის სურათის, ისევ (მოკლე ხანში) ზაფხულის ბრწყინვალე, ცხოველი მზის სხივებით შეცვლილი ლამაზი მთის ბუნება წუთში მავიწყებდა მთელს განვლილ ტანჯვა-წამებას და შეგნებაში კვლავ ენთებოდა მხოლოდ დიადი ისტორიული საქმისადმი ენთუზიაზმის უფრო მძაფრი კოცონი... აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობებში გაიარა ჩვენთვის ამ ორმა სეზონმა... თვით მე, პირადად, თვეობით ვატარებდი დღე-ღამეს ნაბდის ქვეშ. ეს იყო მთელი ჩემი სახლ-კარი თოვლში, წვიმაში, დარში...

ამრიგად, დასრულდა ის საქმე, რომელსაც ასეთი ენთუზიაზმით, გულით ვემსახურე ექვსი წელიწადი და რომელიც მე „პატარა სპეციალისტმა“ დავისახე ჩემი ზნეობრივი მოვალეობის პრინციპად იმ ხალხის წინაშე, რომლის ძუძუც მე მიწოვია...

მე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი შრომა პატარა მალამოდ დაედება თუშეთის გლეხობის ისტორიულ ტანჯვას. შესრულებული საქმე, განვლილი უდიდესი გარდატეხების შემდეგ გახდება სტიმულად მისი აღორძინების, კვლავ გამხნევების, შრომის და ხალხის, პირველყოვლისა მისი საყვარელი ხელობის – მეცხვარეობის დარგში თავისი და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ახლავეც ბედნიერი ვარ მით: „რომ გზა უვალი, ჩემგან თელილი, თუშეთო ჩემო, მაინც დარჩება!...“ მშობელი ხალხის სიყვარულით ანთებული გულები, თავისი კეთილი საქმეებით მარადიულად ენთება ღვთის წინაშე (ადამიანური დიდებისაგან დაფარულში) პატარა სანთლებად. ვინ იცის კიდევ რამდენი, ყველასგან უცნობი, თავისი ქვეყნისთვის შრომასა და სიყვარულში მოღლილი სულები მისცემია დავიწყებას.

უცნობია მამა პავლეს გარდაცვალების ზუსტი თარიღი და საფლავი. სიბერისგან დაუძლურებული ზემო ალვანში ჩამოსულა და აქვე გარდაიცვალა, სავარაუდოდ, 1920-25 წლებში. როგორც ღვთისმსახური, დაკრძალეს სოფლის სასაფლაოზე სამების ეკლესიასთან, რასაც ამტკიცებს ტაძრის აღმოსავლეთით დღესაც არსებული საფლავის ქვა მხედრული წარწერით:

„ილარიონი ეფროს ძე აზიკურიძე 7 წ

გარ 1930 იანვრის 7 ს გვერდით

ვსვენივარ ბიძასთან მამა პავლესთან.“

მადლობა იმ თუშებს, რომელთა დახმარებითაც აიკინძა წარსულის ეს ფურცლები: რევაზ ცაძიკიძეს (აწ განსვენებული რეზო პაპა – მთელი თუშეთის პაპა, რომელიც 40 წელი, ზამთარ-ზაფხულ, ცხოვრობდა თუშეთში. გარდაიცვალა 2006 წლის შემოდგომას, 86 წლის ასაკში), ანზორ აზიკურს, სალომე ბიღოიძეს, რევაზ პეტრიაშვილს, ნინო ქაძეს, ლერი აზიკურს, ამირან აზიკურს, მანანა თათარიძეს, თემურ აზიკურს, ბასილ ბაშინურიძეს.

**ლელა აზიკური**

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

ზურაბ ცხოვრებაძე „გიხაროდენ!“



**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**

**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი განუგრიშვილი*

**გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მითითებულ ახალ ელექტრონულ მისამართზე ან მოგვმართოთ რედაქციაში.**

**თქვენთან ურთიერთობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com; sap.uts@posta.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]
რედაქტორის თანაშემწე: [illegible]
დამკაბადონებელი: [illegible] ოპერატორი: [illegible]

ტებს მოსკოვის საპატრიარქოს საშინაო საქმეებთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა, სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტმა კირილემ.

რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა თეოქტისტემ დაგმო ვატიკანის ხსენებული დოკუმენტი - „ასეთი უხეში განცხადების შემდეგ, უბრალოდ უნდა გამოვნახოთ ძალები, რათა გავაგრძელოთ დიალოგი ვატიკანთან მანამ, ვიდრე იგი არ გვცნობს, როგორც ეკლესიას“, - განაცხადა მან.

### ნაზარეთში მსოფლიოში ყველაზე დიდი ჯვარი აღიმართება

უზარმაზარი ჯვარი, რომლის სიმაღლე 60 მეტრი იქნება, ძალიან მალე აღიმართება ნაზარეთის მახლობლად. ის აიგება 7,2 მილიონი მარმარილოს ფილით და წამოიმართება ადგილობრივი ქრისტიანული სასაფლაოს მახლობლად.

ინიციატივა ჯვრის აგების შესახებ ეკუთვნის ანონიმ ბიზნესმენებს ისრაელიდან და იტალიიდან. პროექტის ავტორთა ჩანაფიქრით, ჯვრის მახლობლად აღიმართება ტაძარი (1500 კვ. მ.), მომლოცველთა სახლი, სასწავლო ცენტრი და მუზეუმი, რომელიც ქრისტიანობის 2000-წლოვან ისტორიას მიეძღვნება. მთელი კომპლექსი 0,5 კვ.კმ. მოიცავს და მისი მშენებლობის სამუშაოები უკვე დაწყებულია.

პროექტზე 5 წლის მანძილზე საიდუმლოდ მუშაობდნენ, იმ მძაფრი დემონსტრაციების შიშით, რაც მოსალოდნელი იყო ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის მხრიდან.

### მუსლიმებისთვის საბერძნეთში სამლოცველო შენობა გაჩნდა

პირველად, 170 წლის შემდეგ, რაც საბერძნეთში თურქთა ბატონობა დამთავრდა, მუსლიმანებისთვის ამ ქვეყანაში ოფიციალური სამლოცველო შენობა გაჩნდა. შენობა ათენის ერთ-ერთ რაიონში მდებარეობს და ადრე საფეიქრო ქარხანას ეკუთვნოდა. ქარხანა საუდის არაბეთის ბიზნესმენმა შეიძინა, კეთილმოაწყო და ადგილობრივ მუსლიმებს გადასცა.

გარემონტებული შენობაში, რომელიც 2000 კაცს იტევს, შექმნილია სპეციალური ოთახები ნამაზის აღსასრულებლად, იატაკი თურქული ხალიჩებითაა დაფარული. ყოველდღიურად აქ დაახლოებით 1000-მდე ადამიანი იკრიბება.

ადრეული გეგმები - აეგოთ მეჩეთი ათენში, წლების მანძილზე იშლებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ნეგატიური განწყობის გამო, ვინიდან ოტომანთა დინასტიის ბატონობის ხსოვნა ბერძნებში ჯერ კიდევ ცოცხლობს.

სტატისტიკური მონაცემებით, საბერძნეთის 11-მილიონიანი მოსახლეობის 97% მართლმადიდებლობის აღმსარებელია.

*ქართული სამღვდელოების ისტორიიდან*

# „მომკალით წმინდა საქმისთვის!“

## მღვდელი მიხეილ ყულოშვილი (1825-1918)

ჰერეთის დიდებული კუთხე არაერთი ღირსეული ქართველის შშობელია. მათ შორის იყვნენ თავდადებით გამორჩეულნი. ამჯერად გვინდა მღვდელ მიხეილ ყულოშვილის ცხოვრებაზე და მის მოწამეობრივ აღსასრულზე მოგითხროთ. მღვდელი მიხეილ ყულოშვილი დაიბადა 1825 წელს კახის რაიონის (ჰერეთი) სოფელ კახში. იგი იყო შინაურულად აღზრდილ-განსწავლული. ქართული ენის გარდა, იცოდა რუსული, აზერბაიჯანული, უდინური, სომხური და არაბული ენები, ამ ენებზე წერდა კიდეც.



*მამა მიხეილი ოჯახთან*

1866 წელს მიიღო დიაკვნობა და თავდაპირველად ბელაქანში მსახურობდა. 1870 წელს მღვდლად დაასხეს ხელი და როგორც კახში, ისე სოფელ მარანსა და თასმალოში დაიწყო მოღვაწეობა.

მეტისმეტად შრომელი, მხნე, ენერგიული, ლამაზად მწირველი, მშვენივრად მგალობელი, თავმდაბალი და კარგი მქადაგებელი იყო. მამა მიხეილმა მღვდლობამდე შეისწავლა მკურნალობა და სიცოცხლის ბოლომდე უსასყიდლოდ კურნავდა მრევლსა და მთელ მოსახლეობას.

მან კახში 1865-70 წლებში გახსნა სამრევლო სკოლა და უსასყიდლოდ ასწავლიდა ბავშვებს, მათ შორის მოსე ჯანაშვილსაც (ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე). 1892 წელს თბილისის ჯვარისმამის ტაძარში მღვდლად აკურთხეს მისი ვაჟი, თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ნიკოლოზ ყულოშვილი. მამა მიხეილმა სოფელ კახის წმიდა გიორგის ეკლესიაში ახლად ნაკურთხი მამა ნიკოლოზი გაამწესა, თავად კი ახლად აღადგენილ თასმალოს წმიდა თომა მოციქულის სახელობის ტაძარში გააგრძელა სამღვდელო სამსახური. სამწუხაროდ, მამა ნიკოლოზი 1895 წლის დეკემბერში მოულოდნელად გარდაიცვალა.

მისმა დაქვრივებულმა მეუღლემ სოფიო კონჭოშვილმა ჰერეთს შეწირა

მთელი თავისი სიცოცხლე. იგი ათეული წლების მანძილზე მასწავლებლობდა ჰერეთში და მრავალი სასიკეთო საქმის დაგვირგვინება შეძლო.

1912 წელს მამა მიხეილმა განაახლა მერვე საუკუნის (718წ.) არჩილ მეფის მიერ აშენებული კახის



სამების (კახსრის) საყდარი. იგი გონებრივ გამჭრიახობასთან ერთად ფიზიკურადაც ძლიერი იყო. ძალიან უყვარდა როგორც ქართველ მრევლს, ასევე არაქართველებსაც, რომელთაც თანაბრად უნაწილებდა კეთილ რჩევა-დარიგებებს.

1918 წელს, მუსავატელების (მუსავატელთა პოლიტიკური პარტია მართავდა აზერბაიჯანს მისი ხანმოკლე დამოუკიდებლობის დროს) მძვინვარების პერიოდში, მოძღვარს ათასნაირად ავიწროებდნენ. ხან მუქარით და ხანაც დაპირებებით არ ასვენებდნენ.

93 წლის იყო, როცა, ერთ-ერთი წირვის შემდეგ, სოფლიდან კახში ცხენით გზად მიმავალი ოჯახში ავადმყოფის საბაბით შეიპატიჟეს, მოძღვარი უყოყმანოდ გაჰყვა მათ და აივანზე ამოთხრილ ფარდაგგადაფარებულ ორმოზე გადაატარეს. ჩავარდნილი მოხუცი მოძღვარი გაკოჭეს, აწამეს და რჯულის გამოცვლა მოსთხოვეს. „კი გამოვიცვლი რჯულს, რჯული რომ გქონდეთ. ურჯულოები ხართ. ძმა ძმის ცოლს ირთავს, ბიძაშვილი – ბიძაშვილისას“, – ამხილა მან ისინი ცოდვაში. – „სიკვდილით რას მაშინებთ. ხორციელი სიცოცხლის ბოლო ხორციელი სიკვდილია!“ ხელი პირჯვრის გადასაწერად ასწია და თქვა: „მომკალით წმინდა საქმისთვის!“ მას თავი მოჰკვეთეს და ტყეში დამალეს. შეწუხდა მთელი თემი – მთელი პერეთი.

მისმა რძალმა სოფიო კენჭოშვილ-ყულოშვილმა მოძღვრის სიძეს, თბილისის მაშინდელი არტილერიის სარდალს, კონსტანტინე ტარტარაშვილს აცნობა და მისი დახმარებით მამა მიხეილის ცხედარი კახში გადაასვენეს. მის დაკრძალვას, ქართველების გარდა, უამრავი არაქართველიც ესწრებოდა.

ერის სულიერი მოძღვარი – მღვდელი მიხეილ ყულოშვილი კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს.

მღვდელ მიხეილ ყულოშვილის მასალები მისი მოსწავლის, მოსე ჯანაშვილის ნაწერებსა და მისი უშუალო მემკვიდრის, შვილთაშვილის, ექიმ-პოლკოვნიკ **მიხეილ ყულოშვილის** მოგონებებში მოვიძიეთ, რომელსაც 17 ივლისს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

**ვსარგებლობთ შემთხვევით და ბატონ მიხეილს ვულოცავთ დაბადებიდან 80 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდი წინაპრის მსგავსად, დიდხანს სიცოცხლესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას.**

*მართა ტარტარაშვილი*

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

ლუარსაბ ტოგონიძე „რაოდენთა ქრისტეს მიერ...“



**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**

**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

**გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მითითებულ ახალ ელექტრონულ მისამართზე ან მოგვმართოთ რედაქციაში.**

**თქვენთან ურთიერთობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

[illegible]
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ-ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com; sap.uts@posta.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** დეკანოზი დავით შარაშენიძე
**რედაქტორის მოადგილეები:** [illegible]
**სარედაქციო კოლეგია:** [illegible]
**რედაქტორის თანაშემწე:** [illegible]
**დამკაბადონებელი:** [illegible] **კორექტორი:** [illegible]

ქართული სამღვდელოების ისტორიიდან

# დევნულნი სიმართლისათვის

*ვეცნობით XX საუკუნის საქართველოს ეკლესიის დევნის ამსახველ ტრაგიკულ ფურცლებს და გვიკვირს, რამდენი თავდადებული და ღირსეული ადამიანია უსამართლოდ დავიწყებული. ყოვლისმხილველი ღვთის წინაშე არავინ დაიკარგება, მაგრამ მამულიშვილთა ქრისტესთვის თავგანწირვის მაგალითები უპირველესად ჩვენ გვაკლდება. ამ ადამიანების ღვაწლი მათი თანამედროვეთათვისაც კი დაფარული იყო და მითუმეტეს ჩვენთვის შეუძლებელია მათი ცხოვრების ღირსეულად წარმოჩენა.*

*საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არიან შემორჩენილი ამ ადამიანთა ოჯახის წევრები, რომელნიც თვითმხილველი და თანაზიარნი არიან მათი მოწამეობისა და აღმსარებლობისა.*

*ორიოდე კვირის წინ თიანეთში გახლდით. ჩვეულებისამებრ, ადგილობრივ მოსახლეობაში სასულიერო პირთა შთამომავლების შესახებ მოვიკითხეთ და, ჩვენდა საბედნიეროდ, გავიცანით ქალბატონი ეფემია სისაური, რომელიც მღვდლის იოანე სისაურის ქალიშვილი ბრძანდება. სასულიერო პირები იყვნენ ქალბატონ ეფემიას ბიძაც და ორივე პაპა. ქალბატონი ეფემია 96 წლისაა და კარგად ახსოვს ის დევნა და ტანჯვა-წამება რაც მისმა ოჯახმა გადაიტანა. მისი მოგონებებისა და აგრეთვე თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ქალბატონ ლელა ქიტესაშვილისა და ამავე მუზეუმის თანამშრომლის ბატონ მიხეილ მგელიაშვილის მიერ მოწოდებული დოკუმენტების საშუალებით ვეცდებით მოკლედ მოგითხროთ ეკლესიის ერთგულ მოძღვრებზე.*

მღვდელი გიორგი სისაური წესიერებით იყო განთქმული თიანეთის მაზრაში. მისი ოჯახი განსწავლულობით გამოირჩეოდა. მამა გიორგის მეუღლე ელისაბედ ელიოზიშვილი სათნო და ამასთანავე მკაცრი დედა იყო. მშობლებმა შვილებს – სამ ვაჟიშვილს და ერთი ასულს, სიყრმიდანვე ჩაუნერგეს ღვთისა და სამშობლოს გულმხურვალე სიყვარული. მამა გიორგი ბევრი კეთილი საქმის მოთავე იყო, მისი მონდომებით შესაძლებელი გახდა თიანეთის წმინდა გიორგის ძველი ტაძრის ადგილზე ახალი დიდი ტაძრის აგება. მამა გიორგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შვილების განათლებას. აღსანიშნავია, რომ მისი ქალიშვილი ბარბარე (ბაბო) თიანეთიდან ერთ-ერთი პირველი იყო რომელმაც თბილისში ქალთა ეპარქიული სასწავლებელი დაასრულა. მამა გიორგი XIX საუკუნის მიწურულს გარდაიცვალა და ანდერძად შვილებს ღვთის ერთგულება დაუტოვა. იგი თიანეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში დაკრძალეს.



*მღვდელი იოანე სისაური და მისი მეუღლე ელისაბედ მცხვედაძე. შუაში – მათი ქალიშვილი ეფემია*

მამის კვალს გაჰყვნენ უფროსი ვაჟები იოანე და იროდიონი. ნაბოლარა ვაჟმა ესტატემ კი სამხედრო სამსახური აირჩია.

პირველდაწყებითი განათლების შემდეგ იოანე 1890 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა. 1894 წლის ოქტომბერში, მეოთხე კურსის სტუდენტი, თავისი თხოვნით, გოგაშენის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. იგი მალევე დაქორწინდა სოფელ ბულაჩაურის ეკლესიის მღვდლის ბართლომე მცხვედაძის ასულ ელისაბედზე, მათ რვა შვილი შეეძინათ. XX საუკუნის დასაწყისში იოანეს მღვდლად დაასხეს ხელი და ახალგორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნეს. 1905 წლის 17 მარტს ბულაჩაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1911 წლის აღდგომას, წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე საგვერდულით, ხოლო – 1916 წელს სკუფიით დაჯილდოვდა.

ავბედითი წლებიც დადგა. მორწმუნეთა და ეკლესიის მსახურთა უკიდურესი დევნა და შევიწროება დაიწყო. კომუნისტებმა რამოდენიმეჯერ სცადეს მოძღვარი გაეკრიჭათ და ანაფორის გახდას აიძულებდნენ, მაგრამ ვერაფრით შეძლეს. იგი მაინც უშიშრად განაგრძობდა მღვდელმსახურებას. მამა იოანეს ასული ქალბატონი ეფემია იხსენებს, თუ როგორ წაიყვანეს მამა ღამით ტყეში და მთელი ღამე ტანჯავდნენ, თურმე გათხრილი საფლავის პირას დაუყენებიათ და მის

ზურგს უკან ჰაერში ისროდნენ. სამწუხაროდ, გაუთავებელმა ფიზიკურმა და მორალურმა წამებამ საფუძვლიანად შეარყია მოძღვრის ჯანმრთელობა და ნერვიულობის ნიადაგზე, 1924 წლის 1 აპრილს გულის შეტევით გარდაიცვალა. დასაფლავებულია ბულაჩაურის სოფლის სასაფლაოზე.

მამა იოანეს ძმა იროდიონი 1874 წელს დაიბადა. 1891-97 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. 1897 წლის 9 ნოემბერს ეგზარქოსმა ვლადიმირმა (ბოგოიავლენსკი) დიაკვნად აკურთხა, ხოლო იმავე წლის 14 ნოემბერს - მღვდლად დაასხა ხელი და ქვემო მლეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მამა იროდიონი მუხლჩაუხრელად შრომობდა. არ იყო ადვილი მთიელი ხალხის დამოძღვრა, ჭეშმარიტი ქრისტიანული ტრადიციების აღორძინება, მოსახლეობისათვის განათლების მნიშვნელობის შეგონება. მის მცდელობას ფუჭად არ ჩაუვლია. მალევე, 1898 წელს, მლეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. მისი შრომისმოყვარეობა სასულიერო მთავრობისათვისაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1900 წლის 29 მაისს, ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) დუშეთის მაზრის IV ოლქის მთავარხუცესის მოვალეობის შემსრულებლად დაადგინა. 1902 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს ეპარქიული სასწავლო კომიტეტის დუშეთის განყოფილების წევრად აირჩიეს. 1903 წლის 31 მარტს საგვერდულით დაჯილდოვდა.

ახალგაზრდა მოძღვარი გულანთებული ემსახურებოდა ქრისტეს სარწმუნოების გაძლიერებას. მას ბევრი სასულიერო პირისაგან განსხვავებით ქალაქისკენ კი არ მიუწევდა გული, არამედ იქ მიილტვოდა, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ მოძღვარი.

1904 წლის 14 აპრილს, თავისი თხოვნის საფუძველზე, ფშავში, სოფელ ართანი-კვარას მთავარან-



სხედან: მღვდელი იოანე ხიზაური და მღვდელი იროდიონ ხიზაური. დგანან: ესტატე ხიზაური და მამა იოანეს მეუღლე ელისაბედი.

გელოზთა სახელობის ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს. მძიმე პირობებში უწევდა მამა იროდიონს მსახურება, მაგრამ ანუგეშებდა უფლის სიყვარული და ხალხის პატივისცემაც. ამასთანავე სათანადო ყურადღება მიაქცია ყმაწვილთა განათლებას. 1911 წლის 1 სექტემბერს, ართანო-კვარას სახალხო პირველდაწყებით სასწავლებელში საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. იმავე წლის 29 ნოემბერს, ბაქოს ეპისკოპოსმა პიმენმა, ერთი წლის ვადით დაამტკიცა თელავი-სიღნაღის მაზრის სასწავლო კომიტეტის დეპუტატად. 1911 წლის აღდგომას, წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე სკუფიით დაჯილდოვდა. 1916 წლის 20 მაისს კამილავკა უბოძეს.

კომუნისტური ხელისუფლების დამყარებისთანავე შეიცვალა ვითარება. მამა იროდიონი, შეუდრეკელი ხასიათისა და მძიმე პირობებში ცხოვრების გამოცდილების გამო, ძლიერი დასაყრდენი გახდა ადგილობრივი მღვდელმთავრებისათვის. ხშირად მას იქ აგზავნიდნენ, სადაც იგი ყველაზე საჭირო იყო. 1921 წლის დეკემბრიდან, ალავერდის ეპისკოპოსმა პიროსმა (ოქროპირიძე) თიანეთის მაზრის სოფელ ახალსოფლის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1923 წელს, სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1926 წლის დეკემბრიდან, ზემო თიანეთის (ტუშურების) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, თიანეთის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ დაადგინეს. მხოლოდ უფალმა უწყის, რამდენი დამცირებისა და შევიწროების დათმენა მოუწია მამა იროდიონს მხოლოდ იმიტომ, რომ ქრისტეს ეკლესიის მსახური იყო. რამდენი განსაცდელი გამოუვლია, მაგრამ სიყრმიდანვე არჩეულ გზას არ უღალატა. 1934 წლის 3 დეკემბერს, თიანეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და ამავე ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. მასვე დაევალა ზემო თიანეთის სამრევლოებში წესების შესრულება. 1935 წლის აღდგომას, კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) დეკანოზის წოდება მიანიჭა.

1939 წელს ადგილობრივი ხელისუფლება მუქარით რომ ვერაფერს გახდნენ, გადასახადების გზით შეეცადნენ მამა იროდიონის შევიწროებას. მათ მოძღვარს მოსთხოვეს მოეტანა 500 მანეთი, 80 კგ. ხორცი, 310 კგ. კარტო-

ფილი, 9 კგ. ერბო და 7 კგ. მატყლი. თავზარდაცემულმა მამა იროდიონმა ადგილობრივ „ყაჩაღებს“ მხოლოდ 400 მანეთი მისცა, მათ განუცხადეს „დანარჩენს გაპატიებთ იმ პირობით, თუ მღვდლობას თავს დაანებებ, თორემ ციხე არ აგცდება მშრომელი ხალხის ქონების მითვისებისათვისო“. შევიწროებული მოძღვარი კათოლიკოს-პატრიარქის მდივანს, დეკანოზ მიხეილ მახათაძეს თხოვს, განუმარტოს, აქვთ თუ არა ხელისუფლებას ამის უფლება: **„მამაო დეკანოზო! უმორჩილესად გთხოვთ მაცნობოთ: კულტის მსახური, რომელსაც არა აქვს კავშირი სოფლის მეურნეობასთან და მესაქონლეობასთან, წლოვანობით გადაცილებულია სამოც წელს, განთავისუფლებულია სახელმწიფოსათვის ხორცისა და სხვა სავალდებულო პროდუქტის სავალდებულო ჩაბარებისგან თუ არა. თქვენი პატივისმცემელი, დეკანოზი იროდიონ სისაური, 1939 წლის 27 თებერვალი“.** მამა იროდიონი იძულებული გახდა, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესთვის განცხადებით მიემართა, დროებით მაინც შეეწყვიტა მღვდელმსახურება.

1943 წელს, სტალინის ბრძანებით, საბჭოთა კავშირში ოფიციალურად კვლავ ამოქმედდა ეკლესია-მონასტრები, სასულიერო სემინარია-აკადემიები, მღვდელმსახურებს საშუალება მიეცათ დაეკმაყოფილებინათ მორწმუნეთა სულიერი მოთხოვნილებანი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით, მამა იროდიონი სიონის საპატრიარქო ტაძარს მიაწერეს, როგორც უშტატო მღვდელმსახური, მაგრამ, რადგანაც იგი მუდმივად თიანეთში ცხოვრობდა, ამიტომ დაევალა თიანეთსა და მის ახლომდებარე სოფლებში, სადაც კი მოახერხებდა, შეესრულებინა საეკლესიო საიდუმლოებები.

მართლაც, დეკანოზი იროდიონი ძველებური შემართებითა და სიყვარულით შეუდგა დათრგუნული ღვთისმოსავი ხალხის ნუგეშინისცემასა და დამოძღვრას. მაგრამ დიდხანს არ დასცალდა და სწორედ ხალხზე ზრუნვის დროს აღესრულა როგორც ჭეშმარიტი მწყემსი მართლმადიდებელი ეკლესიისა. 1950 წელს, მამა იროდიონს სოფელ ახალსოფელში ბავშვის მოსანათლად დაუძახეს. მიუხედავად იმისა, რომ მამა იროდიონი თავს ცუდად გრძნობდა და ახლობლებმა ამ საქმის მეორე დღისთვის გადადება ურჩიეს, მან მაინც არ დაიშალა და წაყვა მთხოვნელებს. უკან დაბრუნებული, როდესაც მდინარე იორზე გადებულ ვიწრო ხიდზე გადადიოდა, მოულოდნელად თავბრუ დაეხვა და წყალში გადავარდა. იგი იმავე საღამოს გარდაიცვალა. დაასაფლავეს თიანეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში. ტანჯული მოძღვარი საფლავშიც არ მოასვენეს. 1970 წლების დასაწყისში, ბიბლიოთეკად გადაკეთებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დაანგრიეს და მის ადგილას ბანკი ააშენეს. მთელი თიანეთი შეძრა ეკლესიაში და მის ეზოში დაკრძალული სასულიერო პირების საფლავების შეურაცხყოფამ.

**დღემდე ცრემლით იხსენებენ წმინდა საფლავების განადგურების ბარბაროსულ საქციელს.**

**„ნეტარ არიან დევნულნი სიმართლისათვის“ მაცხოვრის ეს სიტყვები გვახსენდებოდა როდესაც ქალბატონი ეფემია თავის ოჯახის ისტორიას მოგვითხრობდა. მისაბაძი ყოფილიყოს საქართველოს ეკლესიის ამჟამინდელი მოძღვრებისთვის ჭეშმარიტებისათვის თავდადების ეს საოცარი მაგალითი.**

*ლუარსაბ ტოგონიძე*
*გიორგი გაჩურიშვილი*

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

გიული ლოლომაძე — „თბილისი. სამება“



გაზეთის წინამდებარე ნომერში საჩუქარია: თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძრის მრევლი (წინამძღვარი – დეკანოზი გიორგი ყიფშიძე), მკითხველს ამ წმინდანთა ხატს უძღვნის.

# ფოტომატიანე



## დუშეთის მაზრის პირველი ოლქის სამღვდელოება

სხედან მარცხნიდან: მილახვრიანთკარის ტაძრის წინამძღვარი მღვდელი დანიელ ცქიტიშვილი (დახვრიტეს 1924 წელს), ანანურის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი იესე გელაძე (+1926), დუშეთის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი სვიმონ ტყემალაძე, ბულაჩაურის ტაძრის წინამძღვარი მღვდელი იოანე ხისაური (+1924) და ყვავილას ტაძრის წინამძღვარი მღვდელი გიორგი ჭელიძე (დახვრიტეს 1924 წელს). დგას მედავითნე ვლადიმერ ჩხეიძე (შემდგომში მღვდელი, XX ს-ის 30-იან წლებში რეპრესირებული).

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მახურიშვილი*

**გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ გამოსვლა განახლდება სექტემბერში.**

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მითითებულ ახალ ელექტრონულ მისამართზე ან მოგვმართოთ რედაქციაში.

**თქვენთან ურთიერთობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sapatriarqos_prescentri@yahoo.com; sap.uts@posta.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** დეკანოზი დავით შარაშენიძე
**რედაქტორის მოადგილეები:** [illegible]
**სარედაქციო კოლეგია:** მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), [illegible]
**რედაქტორის თანაშემწე:** [illegible]
**დამკაბადონებელი:** [illegible] **ოპერატორი:** [illegible]

# ფოტომატიანე



ხელმძღვანელობდა სანთლის ქარხანას, სადაც გარკვეული პრობლემების გამო, იძულებული გახდა, 1911 წლის 24 მარტს, მოწამეთას წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის მონასტერში გადასულიყო. იმავე წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. მონაწილეობდა 1917 წლის 1-5 სექტემბერს გამართულ ბერ-მონაზონთა შეკრებაზე და 1917 წლის 11-17 სექტემბრის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის პირველ კრებაზე. 1919 წელს იღუმენის წოდება მიენიჭა და კაცხის მაცხოვრის ამაღლების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1921 წელს, კომუნისტებმა კაცხის მონასტერი დაარბიეს და მამა ილარიონი იძულებული გახდა, სხვა ბერებთან ერთად მონასტერი დაეტოვებინა. იმავე წელსვე ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა (ლეჟავა) იგი სოფელ ღორეშას სამრევლოში განამწესა.

1925 წელს ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) ამაშუკეთის ოლქის მთავარხუცესად დაადგინა მღვდელი იოანე ციცქიშვილი და თანაშემწედ იღუმენი ილარიონი განამწესა.

უღმერთო ხელისუფლებამ აქაც არ მოასვენა მონასტრიდან გამოძევებული ბერი, რამდენჯერმე დაურბიეს ეკლესია, ხატები და საღვთისმსახურო წიგნები დაუწვეს და ბოლოს ტაძარიც დაუკეტეს. მისი ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს მუქარით აღსავსე ბარათებს უგზავნიდნენ. „ბერი კუბოში“ – ასეთი სათაურით იწყებოდა ეს მკრეხელური წერილები. მაგრამ მამა ილარიონი, რომელსაც მონასტერში მრავალწლიანი მოღვაწეობისა და მოსაგრეობის შედეგად გადატანილი ჰქონდა ეშმაკისა და მაცდურის არაერთი შემოტევა, ეხლაც მშვიდად და ხვდებოდა მისგან აღძრულ ამგვარ ბრძოლასაც.

1930 წელს, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა სვიმონმა (ჭელიძე), ეკლესიაში ხანგრძლივი და ერთგული სამსახურისათვის მამა ილარიონს არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა. მრავალმა დევნა-შევიწროებამ, მუქარამ და დაძაბული ცხოვრების წესმა მოძღვარს ჯანმრთელობა შეურყია. 1931 წლის დეკემბერში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მან მშვიდად მიაბარა უფალს სული. დაკრძალულია ღორეშას ტაძრის ეზოში.

*ფოტოს მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ მამა ილარიონის შვილიშვილს დავით გველესიანს*

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**
**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

**გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მითითებულ ახალ ელექტრონულ მისამართზე ან მოგვმართოთ რედაქციაში.**
**თქვენთან ურთიერთობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

[illegible]
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
[illegible]

ლა ქართველთათვის სათაყვანო ტაძრისა, რომელიც ამ დროებით, თუმცა შეწევნითა ღვთისათა და თქვენის მეცადინეობითა კი შეკეთდა ცოტაოდნად, რასაც ყველაზე უფრო ნათლად ამტკიცებს დღეს დიდებით აქ მოსვენებული ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ბოდბის დედათა სავანეში დამზადებული ამ ორმეოცთა მოწამეთა წმინდა ხატი, მაგრამ, თუ კი მივიღებთ სახეში უწინდელ მის დიდებას, რაიცა უკუღმართ დროთა ბრუნვას ამ მდგომარეობამდე მოუყვანია, კიდევ ბევრს და ბევრს გამშვენებას თხოულობს იგი, მის თაყვანისმცემელთაგან კი უხვ შემწეობას.

წმინდანო ორმეოცნო მოწამენო, თქვენ მეოხ ეყვენით მადიდებელთა და თაყვანისმცემელთა თქვენთა, ამინ!"

1914 წლის 2 სექტემბერს, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის განჩინებით, ნოქალაქევის ოლქის მთავარხუცესი დეკანოზი კონდრატე ჩაჩიბაია ახლად გახსნილი კიწიის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა, ხოლო 1916 წლის 6 მაისს წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. მონაწილეობდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის I, II და III საეკლესიო კრებებზე, როგორც ჭყონდიდის ეპარქიის დელეგატი.

1921 წელს საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება მოვიდა სათავეში. ეკლესიასა და სამღვდელოებას მძიმე დღეები დაუდგა. 1923 წელს, ადგილობრივი თვითმართველობისაგან შევიწროებული მამა კონდრატე დახმარებას საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოსაგან ითხოვდა, რადგან მას დაჭერით ემუქრებოდნენ. 1924 წლის სისხლიანი რეპრესიების შემდგომ ხელისუფლებამ ტაძარი გააუქმა. მამა კონდრატე იძულებული გახდა მხოლოდ პედაგოგიური მოღვაწეობა გაეგრძელებინა.

კონდრატე ჩაჩიბაიას თაოსნობით სოფელ კიწიის სამრევლო-საეკლესიო სკოლა XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში საშუალო სკოლად გადაკეთდა, სადაც თავადაც ასწავლიდა. აკაკი გადილია თავის მემუარულ ჩანაწერებში აღნიშნავს: **„კიწიის საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივში სკოლის დაარსების ასი წლისთავის აღსანიშნავ ზეიმისათვის იყო აზრი, დაწერილიყო სკოლის ისტორია (მატიანე), მაგრამ არავის უზრუნია მის განხორციელებაზე. არადა, ეს მაშინ უნდა გაკეთებულიყო, როცა სკოლის დამაარსებელი კონდრატე ჩაჩიბაია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო".**



*მამა კონდრატე გელათის საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის. 1921 წ.*

კონდრატე ჩაჩიბაია 1947 წლის 27 ივლისს გარდაიცვალა. დასაფლავებულია სოფელ კიწიის სასაფლაოზე.

*სტატიაში გამოყენებულია მარტვილის გ. ელიავას სახელობის ეროვნული მუზეუმის დირექტორის გია ელიავას წერილი „ვინ იყო კონდრატე ჩაჩიბაია" და ნანა ბაღათურიას მიერ გამოქვეყნებული მასალა გაზეთ „მახარიაში".*

*ფოტოები მოგვაწოდა მამა კონდრატეს შვილიშვილმა ბატონმა თეიმურაზ ჩაჩიბაიამ.*

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**
**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

**გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მითითებულ ახალ ელექტრონულ მისამართზე ან მოგვმართოთ რედაქციაში. თქვენთან ურთიერთობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

[illegible]
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]

ტიბეტის ისტორიაში. 1969 წელს მან გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ დალაი ლამას ინსტიტუტის მომავალი ტიბეტის მოსახლეობაზეა დამოკიდებული. ეს ნიშნავს, რომ თუ ტიბეტელთა უმრავლესობა გადაწყვეტს, რომ დალაი-ლამას ინსტიტუტმა თავისი მისია ამოწურა და ვერავითარ როლს ვერ თამაშობს მათ ცხოვრებაში, ის შეწყვეტს არსებობას.

„მე ვფიქრობ, - განაცხადა დალაი ლამამ, - რომ თუ მე მომიწევს უახლოეს მომავალში ამ სამყაროს დატოვება, ტიბეტელთა უმრავლესობა ტრადიციების დაცვას მიემხრობა. ხოლო თუ მე ვიცოცხლებ კიდევ 20-30 წელი, მაშინ გამორიცხული არაა, რომ გადაწყვეტილება სხვაგვარი იყოს."

### რელიგიის საგანი ადგილს იმკვიდრებს რუმინეთის სკოლებში

რუმინეთში რელიგიის გაკვეთილები პირველიდან მეათე კლასის ჩათვლით სავალდებულო უნდა გახდეს, მაგრამ გარკვეული გამონაკლისებით. ახეთ კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ განათლების სამინისტრო და სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობდნენ სასკოლო რეფორმის კანონპროექტის რეგულირების პროცესებში. განათლების სამინისტროს პრესსამდივნის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის გაკვეთილები სავალდებულო ხდება, თითოეულ მოსწავლეს უფლება აქვს, დამოუკიდებლად აირჩიოს საკუთარი რელიგია. ამგვარად, თუ მოსწავლე მოისურვებს ისწავლოს არა ის რელიგია, რომელსაც მის თანაკლასელებს ასწავლიან, მაშინ სკოლამ უნდა მისცეს მას ამის საშუალება. უფრო მეტიც, მათ, ვისაც საერთოდ არ სურთ რელიგიის სწავლა, შეუძლიათ უარი თქვან გაკვეთილებზე, რაც მათ საერთო მოსწრებაზე არ იმოქმედებს.

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

ნანა მენთეშაშვილი

„სულიერი ტრაპეზი“



## ფოტომატიანე

# არქიმანდრიტი ილარიონი (ბლიაძე)
## 1861-1931

არქიმანდრიტი ილარიონი - ერისკაცობაში იოსებ სისოს ძე ბლიაძე 1861 წელს, ჭიათურის მაზრის სოფელ ბერეთისაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. მამამისს სისო ბლიაძეს პირველი ცოლი ისე გარდაეცვალა, რომ მასთან შვილი არ შეძენია. სიკვდილის წინ თურმე მეუღლეს მისთვის უთხოვია, ჩვენ რომ ქორწილი გვქონდა, იმ დღეს ჩვენს სოფელში მუმლაძეებს გოგო ეყოლათ და ის რომ წამოიზრდება აუცილებლად მოიყვანე ცოლადო. მართლაც, როდესაც ფეფენია მუმლაძეს შესაფერისი ასაკი შეუსრულდა, მუმლაძეების ოჯახის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, სისომ იგი ცოლად მოიყვანა. ფეფენიამ მეუღლეს 7 შვილი აჩუქა: გიორგი, იოანე, იოსები, ალექსანდრე, დავითი და ორი ასული. ამათგან ერთი იყო მღვდელ იოანე ციცქიშვილის მეუღლე, ხოლო მეორე მღვდელ სვიმონ ჭუმბურიძის მეუღლე.

იოსებმა დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, რის შემდეგაც მუშაობა დაიწყო სოფელ ლიხში გადამწერლად. იქვე დაქორწინდა ნუცა კვიჟინაძეზე,შეეძინა ოთხი შვილი: ეფემია, კალისტა, ქსენია და დავითი. 1894 წელს დიდი განსაცდელი ეწვია - გარდაეცვალა მეუღლე. იოსებმა თავისი შვილები თავის უფროს ძმას მიაბარა აღსაზრდელად სოფელ ვერტყვიჭალაში, თვითონ კი ბერად აღკვეცის სურვილმა გელათის მონასტერში მიიყვანა. რამდენიმეწლიანი საბერო მორჩილების გავლის შემდეგ, გელათის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა სერაპიონმა (ახვლედიანი) მორჩილი იოსები ბერად აღკვეცა და სახელად ილარიონი უწოდა. იგი მალევე აკურთხეს დიაკვნად, შემდეგ კი - მღვდლად. 1902 წელს - საგვერდულით დააჯილდოვეს. მამა ილარიონი გელათის მონასტერში

ისინი ამგვარი ნათლობის აღიარებას განიხილავენ, როგორც „ამაოს“ და „ქრისტიანთა შორის განხეთქილებამდე“ მიმყვანს.

### კათოლიკეები კვლავ ლათინურ ენაზე ილოცებენ

რომის პაპმა ბენედიქტე XVI-მ განცხადება გააკეთა საეკლესიო მსახურების ლათინურ ენაზე წარმართვის ძველი კათოლიკური ტრადიციის აღდგენის შესახებ. შეგახსენებთ, რომ მესის ჩატარება ლათინურ ენაზე აუცილებელი აღარ არის ვატიკანის მეორე კრების რეფორმების თანახმად, რომელიც 1970 წელს განხორციელდა. ამჟამად კათოლიკური მსახურება წარიმართება იმ ქვეყნის ენაზე, სადაც სამრევლო იმყოფება.

აღსანიშნავია, რომ თუმცა ვატიკანს ფორმალურად არ აუკრძალავს მესის აღსრულება ლათინურ ენაზე, ეს პრაქტიკა ნელ-ნელა მაინც გაქრა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თუნდაც ერთი მესის ძველი კანონის მიხედვით, ჩატარების უფლების მისაღებად, მღვდელს აუცილებლად უნდა მიემართა თავისი ეპისკოპოსისათვის და მისგან მიეღო თანხმობა. სხვადასხვა მიზეზის გამო კი ამ შესაძლებლობით თითქმის არავის უსარგებლია.

ლათინური ენა ითვლება ძველი რომის მკვდარ ენად და ამჟამად ძირითადად გამოიყენება მეცნიერებასა და რელიგიაში – განსაკუთრებული ტექსტებისა და ლოცვების უნიფიკაციისათვის.

### კიევში მოწყალების შესაკრები ყალბი ფულები გამოავლინეს

ფულები შეწირულობებისთვის, რომელიც ორი კვირის წინ გამოჩნდა კიევში მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეგიდით, ყალბი აღმოჩნდა. მასზე წარწერა იუწყება, რომ ფული, თითქოსდა, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქველმოქმედო ფონდის, კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტის, უნეტარესი ვლადიმირის კურთხევით იკრიბება, უკრაინის ტაძრებისა და მონასტრების რესტავრაციისა და ბავშვთა სახლების დასახმარებლად.

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

ზურაბ ხორავა

„ჯვართამაღლების დღესასწაულზე“



## ფოტომატიანე

# მღვდელი ექვთიმე მაისურაძე
## 1859-1912

მღვდელი ექვთიმე იოსების ძე მაისურაძე ონის რაიონის სოფელ წედისში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. XIX საუკუნის 80-იან წლებში დაქორწინდა სოფელ ჩორდში მცხოვრებ, მღვდელ მაქსიმე იოსების ძე გოგრიჭიანის ქალიშვილ ტერეზიაზე, ვისთანაც შვიდი შვილი შეეძინა: ანთიმოზი (შემდგომში მღვდელი), იოანე, რევია, ნადეჟდა, ოლივია (პეპელა), ევგენია და ერასტი. მამა მაქსიმეს ვაჟი არ ჰყავდა და ექვთიმეს სთხოვა ახლადდაქორწინებულებს მის ოჯახში ეცხოვრათ. სიმამრთან ურთიერთობამ კეთილი გავლენა იქონია და ექვთიმემაც მიიღო გადაწყვეტილება მოძღვარი გამხდარიყო და მალევე, 1890 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად და მღვდლად დაასხა ხელი და კუდაროს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. მამა ექვთიმემ უმოკლეს დროში გამოიჩინა თავი, როგორც განათლებულმა და ღირსეულმა მოძღვარმა. 1894 წელს მეუფე გაბრიელმა იგი საგვერდულით დააჯილდოვა, ხოლო 1900 წელს – წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე, სკუფია ეწყალობა. 1900-01 წლებში რაჭაში ჩატარებულა მოსახლეობის აღწერა, რომელშიც მამა ექვთიმემ აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამის გამო, იგი მადლობის სიგელით დაჯილდოვდა. ეს სიგელი ამჟამად ონის მუზეუმში ინახება. 1908 წელს მამა ექვთიმე ცხმორის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1910

# ფოტომატიანე

წლის 6 მაისს კამილავკით დაჯილდოვდა.

მამა ექვთიმეს მეუღლე ტერეზია, შეძლებული ოჯახის შვილი ყოფილა. ერთ დღეს, ტყეში მიმავალს ყაჩაღები დახვედრიან და სახლში წაყვანა მოუთხოვიათ. იგი იძულებული გახდა მიეცა ყველაფერი, რაც კი მის ოჯახს იმჟამად გააჩნდა. სამწუხაროდ, ამ ფაქტმა უშედეგოდ არ ჩაიარა. მოძღვარმა ძლიერ განიცადა ეს ამბავი, იგი ლოგინად ჩავარდა და 1912 წლის 3 ოქტომბერს გარდაიცვალა. დაასაფლავეს ჩორდის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის ეზოში. მაგრამ, სამწუხაროდ 1990 წელს მომხდარმა მიწისძვრამ დაანგრია როგორც საფლავი, ისე მამა ექვთიმეს ძველი სახლი, სადაც ინახებოდა მამა მაქსიმეს და მამა ექვთიმეს ნაქონი საეკლესიო საბუთები, ფოტოები, წერილები და სხვა მრავალი საეკლესიო ნივთი.

მამა ექვთიმეს უფროსი ვაჟი ანთიმოზი, თავისი მამისა და ბაბუის მსგავსად მოძღვარი გახდა. 1910 წლის 2 სექტემბერს, ქვედის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მღვდელი მაქსიმე გოგრიჭიანი მოხუცებულობის გამო, გავიდა პენსიაში და იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) ახალგაზრდა ანთიმოზი იმავე წლის სექტემბრის თვეში მღვდლად აკურთხა და ამავე ტაძრის წინამძღვრად დაადგინა. 1912 წლის 15 ოქტომბრიდან, მამის გარდაცვალების შემდეგ იგი სამღვაწეოდ გადავიდა ცხმორის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში, სადაც იმსახურა 1924-25 წლამდე, რის შემდეგაც კომუნისტური ხელისუფლების მიერ დევნილი იძულებული გახდა ღვთისმსახურება შეეწყვიტა და ანაფორა გაეხადა. ოჯახის გამოსაკვებად იგი ქალაქ



ონში რუსული ენის პედაგოგად მუშაობდა. ანთიმოზ მაისურაძე 1953 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფელ ჩორდში.

მოამზადეს
გიორგი მაჩურიშვილმა და
ლუარსაბ ტოგონიძემ

ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით
მამა ექვთიმეს შთამომავლებს ლალი და ნაიკო
მაისურაძეებს.

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**
**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

**გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მითითებულ ახალ ელექტრონულ მისამართზე ან მოგვმართოთ რედაქციაში. თქვენთან ურთიერთობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** დეკანოზი დავით შარაშენიძე
[illegible]

ან, შენობები როგორც ქალაქის უძრავი ქონება, ის გამოიტანონ გასაყიდად.

. ევროპულ სახელმწიფოთა შორის ჩეხეთში ყველაზე კატასტროფული ვითარებაა. როგორც ინტერფაქსი იუწყება, აქ მრევლის რაოდენობა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში თითქმის ორჯერ შემცირდა: 41 %-იდან 27 %-მდე. ჩეხეთის ერთ-ერთი კათოლიკური ეპარქიის ვებგვერდზე 50 ტაძარზე მეტი იყიდება. მონასტერი კი 2,5 ათასი ჰექტარი მიწით სულ რაღაც 120 ათასი დოლარი ღირს.

საფრანგეთში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მორწმუნეთა არყოფნის გამო ყოველი მეორე სამრევლო დაიხურა. ინგლისში კათოლიკურმა ეკლესიამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ნახევარი მილიონი მორწმუნე დაკარგა, ირლანდიაში კი ღვთისმსახურებაზე დამსწრეთა რიცხვი 1992 წლიდან სამჯერ შემცირდა.

ნიდერლანდებში დღეს 19 ათასი ეკლესია მოქმედებს, მაგრამ ყოველ წელს ეს რიცხვი სულ ცოტა ათასი კაცით მცირდება.

სოციოლოგიური გამოკითხვების მონაცემების თანახმად, შვედეთსა და ნორვეგიაში ყველაზე მეტი ათეისტი ცხოვრობს – აქ მოსახლეობის მხოლოდ 11 % დადის ეკლესიაში.

უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, 10 ათასმა შოტლანდიელმა თავი ჯადოქრად და წარმართად გამოაცხადა და უარი თქვა ეკლესიაზე.

გერმანიაში 13 წლამდე ბავშვების 29% დარწმუნებულია, რომ შობა სანტა კლაუსის დაბადების დღეა.

### აშშ-ში მუსულმანებს სამოქალაქო შენებისკენ მოუწოდებენ

გასულ კვირას ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველმა, კონგრესმენმა პიტერ კინგმა განაცხადა: „სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი მეჩეთი და რადიკალური ისლამისადმი სიმპათიებით განწყობილი ადამიანია. ამიტომ უფრო მეტი ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ მათ. ჩვენ გაცილებით უფრო აგრესიულები უნდა ვიყოთ ტერორიზმთან ბრძოლაში."

## ქართული სამღვდელოების ისტორიიდან

# დეკანოზი კონდრატე ჩაჩიბაია
# 1867-1947

დეკანოზი კონდრატე მალაქიას ძე ჩაჩიბაია 1867 წლის 15 სექტემბერს დაიბადა. მან 1880-იან წლების მიწურულს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) იგი დიაკვნად აკურთხა, მალევე მღვდლად დაასხა ხელი და სოფელ კიწიის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1892 წელს მამა კონდრატე საგვერდულით დააჯილდოვეს. 1894 წლის იანვარში ნოქალაქევის ოლქის მთავარხუცესი მღვდელი იოანე ხუხუნი თანამდებობიდან გადადგა, მის ადგილზე კი მეუფე გრიგოლის ლოცვა-კურთხევით, ახალგაზრდა მოძღვარი, მღვდელი კონდრატე დაინიშნა. 1895 წლის აღდგომას, წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე იგი სკუფიით დაჯილდოვდა. დანიშვნისთანავე მამა კონდრატემ განსაკუთრებული ყურადღება საგანმანათლებლო საქმიანობას მიაქცია. დიდია მისი ამაგი სკოლის დაარსების საქმეში. აი, რას წერენ გაზეთ „მწყემსის" 1896 წლის 30 დეკემბრის №23-24 ფურცლებზე: **„გაიხსნა და იკურთხა ორკლასიანი სამრევლო სკოლა სოფელ კიწიაში, თანახმად უწმიდეს სინოდთან არსებული სამასწავლებლო საბჭოს გადაწყვეტილებისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ საჭირო იყო ამ სოფელში სკო-**



**ლის გახსნა, რადგან ეს სოფელი არის ერთი ყრუ-მიგდებული შუა სოფელთაგანი, რომელთა მკვიდრნი მოკლებულნი არიან როგორც ზნეობრივ, ისე გონებით სწავლა-განათლებას და თანაც ეს, ზემოთხსენებული სოფელი თავისი მდებარეობით და ჰავით სხვა მახლობელ სოფლებს ბევრით სჯობია. ყოვლადუსამღვდელოესის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის განკარგულებით სოფელ კიწიაში 21 ენკენისთვეს მობრძანდა საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების ზედამხედველი უ. თ. ჟორდანია, რომელმაც მოხსენებული სასწავლებლის ხელმძღვანელის, ბლაღოჩინ კონდრატე ჩაჩიბაიასა და ერთი მასწავლებლის თანდასწრებით გამოსცადა ყმაწვილები. 169 მთხოვნელთაგან მიღებული იქნა 110. ამავე თვის 22, კვირა დღით, შემდგომად ლიტურგიის შესრულებისა და პარაკლისის გადახდისა, აკურთხეს სკოლის დროებითი შენობა დიდი საზოგადოების თანდასწრებით. ენკენისთვიდან უკვე დაიწყო სწავლა ამ სკოლაში".**

გაზეთმა „ცნობის ფურცელმა" 1896 წლის 30 ნოემბრის ნომერში ეს მნიშვნელოვანი მოვლენა მთელს საქართველოს აცნობა, გაზეთში ვკითხულობთ: **„სოფელი კიწია, აქ გაიხსნა 21-22 ენკენისთვეს ორკლასიანი სამრევლო სკოლა, ახალი რეფორმისა. ამ სკოლის დაარსება უკვე დამტკიცებულია**

**უწმინდესის სინოდთან არსებული სამასწავლებლო საბჭოსაგან და სკოლას კრედიტიც გაეხსნება, ამ მოკლე ხანში მახლობელ ხაზინიდამ. ეს სასიამოვნო ამბავი უკვე შეუტყობინებიათ სკოლის ხელმძღვანელის, მამა ბლაღოჩინის კონდრატე ჩაჩიბაიასათვის“.** გაზეთ „კვალში“ (1897 წლის №48) კი თვით მამა კონდრატეს წერილია გამოქვეყნებული: **სადაც აღნიშნულია, თუ რა შემწეობა აღმოუჩინეს სკოლას სოფელ კიწიის მცხოვრებმა ზოგიერთმა პიროვნებამ, როგორც მიწის ნაკვეთით, ასევე სამოცდაათი მანეთის ღირებულების დასარგავ-დასამყენი მცენარეებით“.** სოფელ კიწიაში სკოლის გახსნას გამოეხმაურა გაზეთი „ივერიაც“.

სკოლის დაარსებასთან დაკავშირებით არსებობს ერთი საინტერესო ამბავი. პენსიონერი პედაგოგი ბატონი აკაკი გადილია ყურდობა რა მამა კონდრატეს ზეპირ მოგონებებს, წერს: „კონდრატეს გაუგია, რომ რუსეთის სინოდს გადაწყვეტილი ჰქონდა სასულიერო სკოლის გახსნა მარტვილის რომელიმე სოფელში. კონდრატე თავად ჩავიდა პეტერბურგში და სინოდის ბიუროკრატები დაიყოლია სკოლა სოფელ კიწიაში გახსნილიყო. გამოჩენილან მეტოქეებიც, მაგრამ საქმე სოფელ კიწიის სასარგებლოდ გადაწყვეტილა“. ყოველივე ამ დამსახურებათა გამო, მამა კონდრატე 1901 წლის 6 მაისს კამილავკით, ხოლო 1902 წლის 11 მაისს განათლების დარგში გაწეული შრომისათვის, წმინდა სინოდმა – ქართული ბიბლიით დააჯილდოვა. მას 1905 წელს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს, 1909 წლის აღდგომას, წმინდა ანას III ხარისხის ორდენი ეწყალობა, 1910 წლის 15 მაისს კი დეკანოზის წოდება მიენიჭა.

შემორჩენილია მამა კონდრატეს ერთი მეტად საინტერესო ქადაგება, თქმული 1914 წლის 9 მარტს (ახ. სტ. 22 მარტი), ნოქალაქევის ორმეოცთა მოწამეთა სახელობის ეკლესიის კურთხევის დღეს. გთავაზობთ ამონარიდებს ამ ქადაგებიდან: **„კეთილ მსმენელნო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! დღეს, ამ ტაძრის დღესასწაულობაზე მე ვეცდები გაგაცნოთ თქვენი ცხოვრება და ამა ტაძრის წმინდანებთა ორმეოცთა მოწამეთა. მართლმადიდებელი ეკლესია თითოეულ დღეს წმიდა ჰყოფს მაცხოვრის იესო ქრისტეს, ღვთისმშობელს და ანუ რომელიმე ღვთის სათნოყოფილ წმინდანების ხსენებითა და ყველა ქრისტეს სარწმუნოებისათვის წვალებულთა მოწამეთა, შეჰკურებს რა მოსარჩლედ და მოშურნედ სარწმუნოებისათვის ლოცვითა და ვედრებითა მიიქცევა მათდამი.**

**რა საკვირველია, დიდი სულიერი სარგებლობაა იმათთვის, ვინც თვალყურსადევნებს ასეთ მათს ხსენებას და მისგან გამოყავს მრავალი ნაყოფიერი ზნეობრივი სწავლა და მაგალითი და თანვე მისგან იძენს ახალ ძალას ამ მძიმე და მღელვარე ქვეყნიური ცხოვრების საბრძოლველად. ასეთი დღესასწაულები, რომელსაც ჩვენ დღეს ვასრულებთ, დაწესებულია უძველესი დროიდან. საზოგადოდ, დღესასწაულობით წმინდა მოწამეთა ხსენება არის შემოღებული პირველ საუკუნეში ქრისტეს მოსვლის შემდეგ. დედა აზრი ასეთი დღესასწაულობისა ის არის ძმანო და დანო, რომ ხშირად მოვიგონოთ ჩვენი მოწყალებანი ღვთისა და ამით აღვძრათ ჩვენს გულში მისადმი გრძნობა მადლობისა და სიყვარულისა, როგორც ჩვენი კეთილის მომცემელის დაუსაბამო მამისადმი.**

**ასეთ დღესასწაულებზე დაწესებულია განსაკუთრებული დიდებით ღვთის მსახურება, რომელსაც თითოეული ქრისტიანი ვალდებულია ეკლესიაში დაესწროს და გაატაროს დრო ლოცვაში და ღვთის ვედრებაში, საღმრთო წერილის კითხვაში, ღვთის სათნო საქმეების გაკეთებაში და მოწყალების გაცემაში. წინააღმდეგ, დიდ ცოდვად ჩაეთვლება მათ, ვინც ასეთ დღესასწულებში, ნაცვლად ზემოთ მოყვანილის სათნოებათა, მიეცემა ამაო და ფუჭ ამა ქვეყნიერ კმაყოფილებას, როგორც მაგალითად: მთვრალობას, სხვადასხვა თავდაუჭერელ ქცევას და უმსგავსო მხიარულებას და მით შეურაცხჰყოფს წმინდა დღესასწაულებს...“** ამის შემდეგ მამა კონდრატე ვრცლად მიმოიხილავს მოწამეთა ცხოვრებას და ქადაგებას ასე ამთავრებს: **„ქრისტეს სახელით გთხოვთ და გევედრებით ყველას, თქვენ მართლმადიდებელნო ქრისტიანენო და განსაკუთრებით ამ ტაძრის მრევლთა, მიბაძეთ თქვენ წინაპრებთა, რომელთა უხსოვარ დროში √ პირველ საუკუნეებში გაუშენებიათ ეს დიდებული ტაძარი ამ ორმოც მოწამეთა სახელობაზე. ყოველ წლიურად ერთხელ მაინც 9 მარტს, ამ ორმოც მოწამეთა გარდაცვალების დღეს, შეიკრიბენით მათ საფლავზე, როგორც ეს იცოდნენ პირველ ქრისტიანეთა, და შეასრულეთ მათი ხსენება ლოცვითა და ვედრებითა, კეთილ-საქმეთა იქმოდეთ განსაკუთრებით ამ დღეს და ნუ დაიშურებთ თითო წვლილს თქვენი წლიური მონაგებიდან და ნაშრომიდან განსანახლებლად ამ დიდებულ, ყვე-**

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

გიორგი მელიქიძე „აღკვეცა“



# ფოტომატიანე

## აფხაზეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება 1913 წელი.

## ფოტო გადაღებულია ქ. გალში სასწავლებლის წინ



ამ ფოტოზე გამოსახული სასულიერო პირების ვინაობა უცნობია. თუ რომელიმე მათგანში თქვენი წინაპარი შეიცანით, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

---

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**

**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი გაჩეჩილაძე*

**გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მითითებულ ახალ ელექტრონულ მისამართზე ან მოგვმართოთ რედაქციაში.**

**თქვენთან ურთიერთობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge

ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;

მისამართი: ერეკლე II მოედანი №1

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** დეკანოზი დავით შარაშენიძე

რედაქტორის მოადგილეები: [illegible]

სარედაქციო კოლეგია: [illegible]

[illegible]

# ფოტომატიანე

## ილუმენი ილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-სთან და სამთავროს დედათა კრებულთან ერთად. მცხეთა. 1960 წელი.



სხედან მარცხნიდან: მონაზონი ათანასია გონგლაძე (შემდგომში იღუმენია), იღუმენია ზოილე დვალიშვილი. იღუმენი ილია შიოლაშვილი (ამჟამად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II სიდამონიძე, მონაზონი სიდონია ბაქრაძე, მონაზონი მარიამ გიუნაშვილი.

დგანან: მონაზონი დარია აჭაიძე, მონაზონი ანა ასათიანი, სამონაზვნე პარასკევა უგრეხელიძე, მონაზონი ეფემია ხიზანიშვილი, მორჩილი ტატიანა უროტაძე.

[illegible]
[illegible]
[illegible] ანგარიში № 360851555
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]
[illegible]

ბენ კათოლიკები. თუმცაღა უარყოფითი შეფასებებისას მათ განსხვავებული რეიტინგი აქვთ, თუ იუდეველები გამოკითხულთა 9%-ს არ უყვარს, კათოლიკებს უფრო მეტი –15% მოწინააღმდეგე ჰყავს. პროტესტანტების რეიტინგი 60%-ია, ისინი არ უყვარს 19%-ს, მორმონებს პატივს სცემს 53%, არ უყვარს – 27%-ს. მუსლიმებს მთლიანად 43% აფასებს, უარყოფითად განწყობილია 53%-29%. ყველაზე ცუდად აშშ-ს მცხოვრებლები ათეისტებისადმი არიან განწყობილნი, გამოკითხულთა 35%-ს მოსწონს ისინი, 53%-ს კი – არა.

### იემენის მუსლიმები ქრისტიანდებიან

იემენის მოსახლეობის დაახლოებით ასმა მიმდევარმა თხოვნით მიმართა ქვეყნის პრეზიდენტს, მიიღოს შესაბამისი ზომები, მუსლიმთა ქრისტიანობაში გადასვლის წინააღმდეგ. „პრეზიდენტო, ჩაერიეთ, ეს ხომ ტერორიზმია!“ – გაისმა ასეთი მოწოდებები ქვეყნის ხელმძღვანელისადმი. როგორც იტალიის ყოველდღიური გამოცემა „ჯორნალი“ პალესტინურ პრესაზე დაყრდნობით იუწყება, დედაქალაქის ძველ ნაწილში უკანასკნელ ხანებში ორი ათასი მუსლმი გადავიდა ქრისტიანობაზე. ფუნდამენტალისტები ასევე გამოხატავენ უკმაყოფილებას ქვეყანაში გამართულ მოდების ჩვენებასთან დაკავშირებით. ასევე ახალგაზრდებისადმი, რომლებიც სახალხო სეირნობების დროს ცეკვავდნენ გოგონებთან. ერთობლივი ლოცვისათვის იემენის ქრისტიანთა შეხვედრები უცხოელთა კერძო სახლებში ფარულად ხორციელდება. ქვეყნის კანონის თანახმად, შარიათის ნორმებიდან გადახვევა სიკვდილით ისჯება.

ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

ზურაბ ხორავა „გზა ტაძრისაკენ“



## ფოტომატიანე

# მღვდელი ნიკოლოზ დეკანოსიძე 1887-1970

მღვდელი ნიკოლოზ თარხანის (სულხანის) ძე დეკანოსიძე 1887 წელს, ხარაგაულის რაიონის სოფელ დარისხევში, მედავითნის ოჯახში დაიბადა. 1905 წელს დაამთავრა ხარაგაულის ორკლასიანი სამრევლო სკოლა. 1908-19 წლებში დარიხევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მედავითნედ მსახურობდა. 1919 წელს ალავერდელმა ეპისკოპოსმა პიროსმა (ოქროპირიძე) მღვდლად დაასხა ხელი და სიღნაღის მაზრაში, სოფელ თამარიანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1921-26 წლებში ვარდისუბნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურია. 1926 წლიდან ყარსუბანის წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. სოფელი 160 კომლისაგან შედგებოდა, ტაძარს ჰყავდა მედავითნეც – ნესტორ შავგულიძე.

1921 წლიდან, საბჭოთა ხელისფლების დაყარების დღიდან სასულიერო პირების ცხოვრება მეტად გართულდა. მუდმივი შიშისა და დამცირების ქვეშ უხდებოდათ მოძღვრებს ღვთისმსახურების აღსრულება, რასაც ბევრი ვერ უძლებდა. მღვდლები უფლება ჩამორთმეულებად გამოაცხადეს, დაუწესეს ათმაგი გადასახადები და ჩამოართვეს მიწები.

1929 წელს ვარდისუბნის ეკლესიის წინამძღვარმა მამა გიორგი ხატიაშვილმა უარი თქვა მღვდლობაზე და გაიხადა ანაფორა. სოფელ ვარდისუბნის 140 კომლიანი მრევლის მოვლაც მამა ნიკოლოზმა ითავა. ამით გამწარებულმა ხელისუფლებამ, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ორივე ეკლესია დახურა და მოძღვარს ღვთისმსახურება აეკრძალა. სიჯიუტისათვის კომკავშირლებმა, რომლებიც იარაღის ძალით ცდილობდნენ ხალხის დამონებას, მამა ნიკოლოზიც შავ სიაში შეიყვანეს და ეძებდნენ შესაფერის დროს მის მოსაკლავად. მაგრამ უფალმა დაიფარა იგი



სიკვდილისაგან. მრავალრიცხოვანი მრევლისა და წვრილშვილის პატრონი (იმხანად ზრდიდა სამ გერს, სამ საკუთარ შვილს და მეოთხეზე მისი მეუღლე შუშანიკ ლომიძე ფეხმძიმედ იყო), ქრივ-ობოლთა გამკითხავი, გაჭირვებულების დამხმარე და პატრონი არ გაიმეტა სასიკვდილოდ უფალმა. ყველასაგან გასაოცრად, თვითონ სამღვდელოების მტერმა, ბოლშევიკმა პერანიძემ საიდუმლოდ გააფრთხილა მოძღვარი და ურჩია, დროებით გარიდებოდა სოფელს და წასულიყო აზერბაეჯანის რესპუბლიკაში, ბელაქანში სამი წლით მაინც.

იმ ღამეს, მამა ნიკოლოზმა მართლაც ფეხად გაასწრო ჯალათებს. დილით, კომკავშირელები ყიზილბაშებივით დაეცნენ მის ოჯახს და ფეხმძიმე ქალი შვილებთან ერთად გარეთ გამორეკეს და აუკრძალეს იქ ცხოვრება. მაგრამ კეთილ ხალხს რა დალევს ამ ქვეყნად. გარეთ დარჩენილი ოჯახი ასწელს გადაცილებულმა

# ფოტომატიანე

სილოვან ჩხეიძის ოჯახმა შეიფარა.



1932 წელს მამა ნიკოლოზი დაბრუნდა სოფელში, თუმცა ბოროტს მაინც არ ეძინა. ახლადდაბრუნებული მოძღვარი ვარდისუბნელ და ყარსუბნელ გაკულაკებულ გლეხებთან ერთად ეკლესიაში გამოკეტეს. ტაძარში მყოფები პანიკამ მოიცვა. ტირილი, კვნესავაება, ყვირილი ისმოდა ღვთის სახლიდან. მამა ნიკოლოზი ჩვეული სიმშვიდით ცდილობდა ლოცვა-კურთხევით ჩაეცხრო ადამიანების შიში, მაგრამ ამაოდ. თბილისიდან ბრძანებას ელოდნენ რაიონისა და სოფლის თავკაცები მათი დახვრეტის შესახებ. მაგრამ ვიდრე ავისმქნელთა ავი ზრახვები აღესრულებოდა ყველას ყარსუბნელმა კალენიკე კურტანიძემ დაასწრო. იგი მაშინვე გაეშურა თბილისში და წაიღო დასახვრეტთა სია. მასში მან შეგნებულად არ შეიყვანა მღვდელი ნიკოლოზი. კალენიკე ხერგო ორჯონიკიძის ნათლული იყო და მისმა ამ ნაბიჯმა თავი შედეგი გამოიღო, მამაო დახვრეტას გადაურჩა. საყურადღებო ის არის, რომ აღარც ის დანარჩენი ხალხი დახვრიტეს.

ამ ამბების შემდეგ, მამა ნიკოლოზი მთავრობისაგან საიდუმლოდ ეწეოდა ღვთისმსახურებას ღამ-ღამობით, ხან თავის სახლში, ხან მორწმუნეთა ბინაზე. ამისთვის იგი ორჯერ კვლავ დააპატიმრეს. პირველად 1941 წელს, როცა სამი წლის ბავშვს ნათლავდა, მილიცია დააყენეს თავზე და მეორედ 1944 წელს. ორჯერვე მიუსაჯეს წელიწადნახევარი. მამაცი და მტკიცე მოძღვარი ვერც პატიმრობის პერიოდში გასტეხეს სულიერად. ერთხელ ძალით სცადეს მისი გაპარსვა, ხელები შეუკრეს და ის იყო საქმეს უნდა შესდგომოდნენ, რომ მამა ნიკოლოზმა ჩექმებიანი ფეხით ხელიდან გააგდებინა სამართებელი და თმის საპარსი. მას შემდეგ აღარავინ მიეკარებია. იგი სიკვდილამდე ღმერთის ერთგული დარჩა.

1945 წელს, ციხიდან გამოსული მამა ნიკოლოზი კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) იმ 135 კაცის სიაში შეიყვანა, ვინც მზად იყო უყოყმანოდ ემსახურა დაკეტილი ტაძრების ხელმეორედ ამოქმედების შემდგომ. მოძღვარი თავის სოფელში დაბრუნდა და ვარდისუბნისა და ყარსუბნის სამრევლოები ჩაიბარა. კიდევ 25 წელი აღასრულებდა იგი მღვდელმსახურებას და ვინ მოსთვლის რამდენი ანუგეშა, რამდენიც მონათლა და გააპატიოსნა უფალს მინდობილმა მოხუცმა მოძღვარმა. იგი ღვაწლმოსილი აღესრულა 1970 წელს, 91 წლის ასაკში.

მამა ნიკოლოზი იყო ხუთი შვილისა და სამი გერის აღმზრდელი. მის ოჯახში იზრდებოდა სამი ობოლი, თაშესაფარი ჰყოვა უცოლოდ დარჩენილმა ავადმყოფმა ტრიფონ მაღრაძემ, რომელიც გოდრით ატარებდა თავის პატარა შვილს. მისი პატარაც მამაო ნიკოლოზმა და მისმა შვილებმა გაზარდეს. ასევე ოჯახში მეცხრე შვილად მიიღეს მამა ნიკოლოზის ძმის ხეიბარი, მაგრამ მეტად კეთილი და ღვთისნიერი ადამიანის გერონტი დეკანოსიძის ქალიშვილი მერი. ისიც მცირეწლოვანი ასაკიდან უდედოდ დარჩენილიყო. გარდა ამისა, მათ ოჯახში წლების განმავლობაში ცხოვრობდა მათი ნათლული სოფელ ბეშკენტიდან ვალოდია ხარშილაძე. მამა ნიკოლოზი და მისი მეუღლე შუშანიკ ლომიძე ღმერთისა და ადამიანების სიყვარულით ცხოვრობდნენ. ჰყავდათ ჩვიდმეტი შვილიშვილი, რომლებსაც დღეს თავიანთი მშობლების მსგავსად, პატიოსანი და შრომისმოყვარე ოჯახები აქვთ შექმნილი.

**ცნობების და ფოტოების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ მამა ნიკოლოზის გერის დიმიტრი ჩხეიძის შვილს ჟუჟუნა ჩხეიძეს**

---

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**

**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი გაჩეჩილაძე*

„საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქცია მკითხველებს თხოვს, პირად ლოცვებში მოიხსენიონ უძლურებაში მყოფი იღუმენი მაკარი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. ჭავჭავაძის 80-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამარ ბაბილონია, ნანა გოგუაძე
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), [illegible]
ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი გაჩეჩილაძე, [illegible]
რედაქტორის ასისტენტი: [illegible]
[illegible]

*ბული საგნები ვეღარ მოასწრეს. თხოვნა ჩემი დააკმაყოფილეს იმით, რომ საღმრთო მსახურებისათვის არ შემიშალეს ხელი. აღდგომის მესამე დღეს უნდა მოსულიყვნენ წასაღებად ქონებისა, მაგრამ ხალხი ურმებს არ აძლევს და არცა თანახმანი არიან მონასტრის გაძარცვაზე. არ ვიცი რით დამთავრდება ეს ჩვენი საქმე. დეკრეტი არა ჰქონდათ თან წამოღებული და შემპირდნენ მოტანას. უმორჩილესად გთხოვთ თქვენს განკარგულებას, თუ როგორ მოვიქცეთ ქონების ჩამორთმევის დროს".*

მართლაც, 1923 წლის 19 აპრილს მარტყოფის აღმასრულებელმა კომიტეტმა აღწერა მონასტერი. მეორე დღეს მამა გერმანე წერილს უგზავნის საკათოლიკოსო საბჭოს: ***„მონასტრის საძმო შესდგებოდა 12 კაცისაგან (ჩვენთვის ცნობილია ცხრა ბერის ვინაობა, ვინც იმ პერიოდში მარტყოფის მონასტერში მოღვაწეობდა, ესენი იყვნენ: არქიმანდრიტი გერმანე, მღვდელმონაზონი ევაგრე დიასამიძე, მღვდელმონაზონი ხარლამპი ხომასურიძე, მღვდელმონაზონი ანტონი ოროჟანდოვი, მღვდელმონაზონი იოანე მაისურაძე, ბერდიაკონი იოსები ხარაზიშვილი, ბერდიაკონი აითალა ძამაშვილი, ბერდიაკონი იოაკიმე რამაზაშვილი, ბერი იოსები მელაძე, გარდა საქონლის მწყემსისა და ერთი კურატი ბიჭისა. ამ 14 კაციდან დასტოვეს მონასტერში ბრმანი, მკელობელნი და მოხუცებულნი, სულ 6 კაცი და ერთი ჯეელი ბიჭი. ბერდიაკონი აითალა მომვლელად უძლურია. მწყემსი და კურატი სრულიად დაითხოვეს. დანარჩენთ, რომელთაც სიჯეელე შესწევთ ე. ი. სამ მღვდელმონაზონს, ერთ ბერს და ერთ მორჩილს გამოუცხადეს, თუ იგინი ისურვებდნენ მონასტერში დარჩენას, მაშინ უნდა გადაიხადონ სენაკების ნალოგი (ხარკი), ხოლო მოხუცებულნი კი – უხარკოდ იცხოვრებენ. მათი სიტყვით ნალოგი იქნება თვეში 2 მანეთი ოქროთი, რომლის გადახდა შეუძლებელია ჩვენი ბერებისათვის. შესანახად მოხუცებულთა ძმათა მონასტერს დაუტოვეს 2 დესიატინა მიწა და ძროხა, თავისი ხბოთი, ხოლო დანარჩენი 1 უღელი ხარი და 1 მოზვერი წაიყვანეს. გარდა ამისა, მორთულობა, რაც უკეთესი იყო თავისი სამართველოსათვის წაიღეს. აპირებენ სამზარეულოს ჭურჭლის წაღებასაც. უმორჩილესად გთხოვთ, დარიგება მისცეთ ამ ჩვენი მონასტრის ძმათ, თუ როგორ მოიქცნენ ამ შემთხვევაში".***

მეტად გაუჭირდათ ბერებს მონასტრის დატოვება, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარ იყო. მამა ევაგრე თბილისში გადავიდა, მამა იოანე ბეთანიის მონასტერში წავიდა, მამა იოაკიმე კაჭრეთში, თავის ძმის ოჯახს შეეკედლა, მამა ანტონი და ბერდიაკონი იოსები წარმოშობით მარტყოფელები იყვნენ და თავიანთ სახლებში განაგრძეს მოღვაწეობა. მონასტერში მხოლოდ მამები – გერმანე, ხარლამპი, აითალა და მოხუცი ბერი, ბრმა იოსები დარჩნენ. უკიდურესად მძიმე პირობებში განაგრძეს მოღვაწეობა ღვთის ნებას მინდობილმა მამებმა.

1923 წლის 4 სექტემბერს, არქიმანდრიტი გერმანე თხოვნით მიმართავს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის: **„ჩემდამო რწმუნებულ წმინდა ანტონის მონასტერში მოდიან ზოგიერთ შემთხვევაში მორწმუნე პირნი თავიანთი მღვდლითურთ და სურვილისამებრ მათისა იწერენ ჯვარს მონასტრის ეკვდერსა შინა ღვთისმშობლის მიძინებისასა. მოსალოდნელია სოფელ მარტყოფიდანაც მოვიდეს მსურველი ჯვრის წერისა მონასტერში, მით უფრო, რომ მათ ამ ჟამად არ ჰყავთ მღვდელი, სარწმუნოებისა და ეკლესიისადმი დევნულობის წყალობით. უმორჩილესად გთხოვთ თქვენს უწმინდესობას შესაფერის განკარგულებას. შეიძლება მონასტრის წინამძღვრისა ან მღვდელმონაზვნის მიერ, დაკმაყოფილება მთხოვნელისა, რომ ჯვარი დასწეროს თუ არა".** საერთოდ, მღვდელმონაზვნები არ აღასრულებენ ქორწინების საიდუმლოს, მაგრამ იმ პერიოდში, მასობრივად ხდებოდა ეკლესიების დახურვა და თეთრი სამღვდელოების დაპატიმრება, და ამის გამო მორწმუნეებს თავი-

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი"

რამაზ ნაცვლიშვილი „წყალკურთხევა"



მადგენლობა ტაჯიკეთში ოფიციალურად 1997 წელს დარეგისტრირდა და თავის მიმდევრებს მოუწოდა, უარი ეთქვათ სამხედრო სავალდებულო სამსახურზე.

მათი „მოწოდებები ექსტრემისტულ ხასიათს ატარებდა, ისევე როგორც ამ ორგანიზაციის ლიტერატურა, რომელშიც ჩვენ ვერ ვიპოვეთ ვერაფერი, რომელიც მიუთითებდა სხვა რელიგიების პატივისცემაზე", – განაცხადა ტაჯიკეთის კულტურის მინისტრმა.

### ელადის ეკლესიის ხელმძღვანელი კლინიკიდან გამოწერეს

საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური გასულ შაბათს წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ მაიამის კლინიკიდან გამოწერეს. გამოწერის დროს ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსმა ტელევიზიის საშუალებით და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ღელავს მის ჯანმრთელობაზე. მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსი მაიამიში 18 აგვისტოს შემდეგ იმყოფებოდა. თუმცალა, როცა 8 ოქტომბერს ტრანსპლანტაციის შესაფერის ორგანოს მიაკვლიეს, ოპერაციის ჩატარება ვერ მოხერხდა. ქირურგიული ჩარევის დასაწყისიდანვე ექიმები დარწმუნდნენ, რომ სიმსივნის მეტასტაზები მთელ ღვიძლში იყო გავრცელებული და ორგანოს ტრანსპლანტაციამ აზრი დაკარგა. ამა წლის ზაფხულში მთავარეპისკოპოსმა კიდევ ერთი ოპერაცია გადაიტანა. დღევანდელ მის მდგომარეობას ექიმები სტაბილურად აფასებენ.

### აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ბეთლემს ეწვია

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, იერუსალიმში მორიგი, არაოფიციალური ვიზიტის დროს ბეთლემში აღდგომის ტაძარს ეწვია. ამ სიწმინდემ, რაისის თქმით, შთააგონა იგი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთში პრობლემების მშვიდობიანი გზით დარეგულირება. მიწისქვეშა მღვიმეში ჩასვლის შემდეგ, სადაც, გადმოცემით, იესო ქრისტე იშვა, რაისმა სანთელი აანთო და რამდენიმე წუთი განმარტოებით ილოცა. რაისის მამა და ბაბუა პრესვიტერიანელი პასტორები იყვნენ, თავად კი თავს ღრმადმორწმუნე ადამიანს უწოდებს. მას კარგად ახსოვს ბავშვობაში ბიბლიურ მოთხრობებში ამოკითხული შტაბეჭდილებები ბეთლემზე. ვიზიტის დროს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი შეხვდა იერუსალიმის პატრიარქ თეოფილე III-ს. განიხილეს ისრაელის პოზიცია და დასახეს სამომავლო გეგმა იერუსალიმის გაყოფის თაობაზე.

### გერმანიის კანცლერი ისლამის წინააღმდეგ

„ისლამიზაცია არა მარტო გერმანიას ემუქრება, არამედ მთელ მსოფლიოს", – განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მარკელმა გაზეთ Die Welt-სთან მიცემულ ინტერვიუში. მიუხედავად იმისა, რომ მარკელმა საზოგადოებას ურთიერთპატივისცემისა და აღმსარებლობის თავისუფლებისაკენ მოუწოდა, მან მაინც გამოთქვა შეშფოთება, ქვეყანაში მუსლიმთა რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით.

ამას გარდა, კანცლერმა ქვეყნის მტკიცე პოზიცია დააფიქსირა ირანის მხრიდან ბირთვულ საშიშროებასთან დაკავშირებით, რამდენადაც, მისი აზრით, ირანი ემუქრება მთელ სამყაროს. მან მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებს ირანის, ერაყისა და ავღანეთის მუქარის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდა.

## ფოტომატიანე

# არქიმანდრიტი იოსები (ლაგაზიშვილი) 1879-1955

არქიმანდრიტი იოსები ლაგაზიშვილი 1879 წელს, დუშეთის მაზრის სოფელ ბურნაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი შუამთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტერში ისწავლა. 1902 წლის 5 მარტს ამავე მონასტერში მორჩილად განამწესეს. 1904 წლის 7 ივლისს იღუმენმა ნიკოლოზმა (მიქელაძე) ბერად აღკვეცა და სახელად იოსები უწოდა. ამავე წლის 19 სექტემბერს ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცკი) დიაკვნად აკურთხა და ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში დაინიშნა. 1911 წლის 6 ნოემბერს ალავერდელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) მღვდლად დაასხა ხელი და შუამთის მონასტრის საძმოში დაადგინა.

ბერული ცხოვრება ყოველდღიურ წირვა-ლოცვასა და მორჩილებაში მიედინებოდა. ახალგაზრდა მღვდელმონაზონს მორჩილებისა და ღვთისადმი განსაკუთრებული მოწიწების გამო დიდად აფასებდა მონასტრის ძმობა და საპასუხისმგებლო საქმეებსაც ხშირად ავალებდა. მამა იოსებიც დიდი სიყვარულითა და ერთგულებით აღასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. თუ როგორ აფასებდნენ მის ღვაწლსა და სამსახურს, კარგად ჩანს 1914 წლის 5 თებერვალს გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის წინამძღვრისა და აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრების მთავარხუცესის, არქიმანდრიტ ნაზარის (ლეჟავა) მიერ შუამთის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ნესტორის (ყუბანეიშვილი) მიმართ გაგზავნილ წერილში: ***„პირველ ყოვლისა თქვენთან მაქვს მეტად სათხოვნელი საქმე. სინოდალურმა კანტორამ დაადგინა ჩემი კაზნაჩეის (ხაზინადარის) მღვდელმონაზონ მიხეილის (მანდარია) გადმოყვანა თქვენს მო-***

*ნასტერში და მამა იოსების იოანე ნათლისმცემელში განწესება. არ გეწყინოს ძალიან კარგი ბერია და თქვენაც მადლობელი იქმნებით. ეს გრიგოლი არ გეგონოსთ (საუბარია მღვდელმონაზონ გრიგოლ ბარძიმაშვილზე). ჩემი თხოვნა იმაში არის, რომ რაც შეიძლება მალე გამომიგზავნოთ მამა იოსები. ეს უკანასკნელი ჩემთვის უფრო საჩქარო არის ვინემ მიხეილი. უნდა გადავაბარო ხაშმის ბაღები და ყოველივე. ასე რომ უკაზის მოსვლას ნუ უყურებ, კანტორაში მიწერილობა გაგზავნილი არის და ისინი ხომ იცი დაგვიანებით მოიწერებიან და ჩემი მონასტრის საქმე კი წახდება. მამა იოსები გაამხნევეთ, ნურაფრის ნუ ეშინიან, მის საქმეს კარგად წავიყვან თუ ის ერთგული იქმნა. იმედია ამ ჩემს თხოვნას ამისრულებთ. საქმე იმაშია, რომ ის გაორგულდება რა შეიტყობს გადაყვანილია, ასე რომ კვირას ან ორშაბათს აქ ყვეს უსათუოდ. იმედი მაქვს ამ ჩემს თხოვნას შემისრულებ“.* მამა ნესტორმა ვერ შეასრულა ეს თხოვნა, რადგან თავად მამა იოსებმა არ მოინდომა შუამთის მონასტრის დატოვება, თანაც არც სინოდალურმა კანტორამ დაუჭირა მხარი ამ წინადადებას. ეკლესიაში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის იგი 1916 წლის 14 სექტემბერს საგვერდულით, ხოლო – 1925 წელს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა.


*შუამთის მონასტრის მღვდელ-მონაზონ იოსები. 1910 წ.*

1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ, რაც საქართველოში დამყარდა კომუნისტური ხელისუფლების რეჟიმი, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მძიმე დღეები დაუდგა. ხელისუფლებამ ხელჩართული ბრძოლა გამოუცხადა სამღვდელოებას და ყოველგვარი გზით ცდილობდა მისი ავტორიტეტის მოსპობას. დაიწყო რეპრესიები, დახვრეტები, გადასახლებები. მღვდლებს მოუსპეს საარსებო საშუალებები, ჩამოართვეს სახლ-კარი, მიწები, ზოგიერთს მთლიანად ოჯახებიც ამოუწყვიტეს. შეშინებული სამღვდელოება ვერ უძლებდა უმკაცრეს პირობებს და იძულებული ხდებოდა შეეწყვიტა მსახურება. დევნა-შევიწროება არც შუამთის მონასტერს დაკლებია, სადაც ბერებს უმძიმეს პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა და ღვთისმსახურება. მონასტრის წინამძღვარი იღუმენი ნიკოლოზი (მიქელაძე) და საძმოს წევრები: მღვდელმონაზონი კირილე (ცინცაძე), მღვდელმონაზონი არჩილი (თარაშვილი), მღვდელ-მონაზონი პიმენი (ფარსადანიშვილი) და მამა იოსები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ჩვეული მონასტრული ცხოვრების წესი და ტიბიკონი, მაგრამ ხელისუფლება ნელ-ნელა ავიწროებდა მოღვაწე ბერებს.

1927 წელს კომუნისტებმა შუამთის მონასტერი დახურეს და მამა იოსები, მონასტრის სხვა წევრებთან ერთად იძულებული გახდა დაეტოვებინა იქაურობა. იგი სოფელ რუისპირში, თავისი ძმის ოჯახში დასახლდა. ალავერდელი ეპისკოპოსის მელქისედეკის (ფხალაძე) ლოცვა-კურთხევით, მას რუისპირის „ახატელის“ მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვრობა მიენდო.

მონასტერში მრავალი წლის მანძილზე ლოცვასა და მარხვაში გატარებული დღეები, იქ დაგროვილი სულიერი გამოცდილება და ცოდნა დიდად წაადგა მამა იოსებს ერში მოღვაწეობის დროსაც. მან შეძლო კომუნისტებისაგან შეშინებული და დაფანტული მრევლის შემოკრება, ეკლესიაში ყოველ შაბათ-კვირასა და დღესასწაულებში წირვა-ლოცვის დაყენება და მორწმუნეთა ნუგეშისცემა. თვითონ სოფელმაც შეიყვარა გაბედული და უშიშრად მქადაგებელი მოძღვარი, რომელიც უსასყიდლოდ და უშურველად აღასრულებდა მასზედ დაკისრებულ მოვალეობას. მისი მოღვაწეობა არც საეკლესიო მმართველობისათვის დარჩა შეუმჩნეველი და 1929 წლის აღდგომის დღესასწაულზე კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორეს (ციცქიშვილის) ლოცვა-კურთხევით მამა

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

მზია საგანელიძე „დარიგება“



# ფოტომატიანე

იოსებს იღუმენის წოდება მიენიჭა, ხოლო 1933 წლის 24 მარტს უკვე კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) ენქერით დააჯილდოვა.

1934 წლის 27 სექტემბერს, კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით, რომელსაც მაშინ შეთავსებული ჰქონდა ალავერდის ეპარქიის მართვა-გამგეობა, საკათოლიკოსო სინოდის წევრები დეკანოზი იოანე ცქიტიშვილი და დეკანოზი ბენიამენ კანდელაკი გააგზავნა ეპარქიაში სარევიზიოდ. მიმოხილვის შემდეგ, მათ შთაბეჭდილებები წერილობითი ფორმით შეადგინეს, სადაც ათი პუნქტი იყო დაცული. მეათე პუნქტი სწორედ იღუმენ იოსების პიროვნებას ეხებოდა: ***„ნანახი სამღვდელოებიდან ჩვენზე ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახატლის მაცხოვრის ამაღლების ეკლესიის წინამძღვარმა იღუმენმა იოსებმა. სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო მისი ეკლესია ვერ ვნახეთ, მაგრამ ის სულ ჩვენთან ერთად იყო მთელი მოგზაურობის დროს. მიუხედავად მონასტრული აღზრდისა, მას კარგი განათლება მიუღია. აქვს იდეალური ურთიერთობა სამრევლოსთან და გამოირჩევა სიფხიზლით, სიდინჯით, თავდაჭერილობით მსჯელობაში, ღვთისმსახურებაში, სმა-ჭამაში და საერთოდ სახის გამომეტყველება მაჩვენებელი არის სრული მღვდლის იდეალისა. გამოვთქვამთ იმედს, რომ ესეთი კარგი მოძღვარი არ დარჩება დაჯილდოვებისა და ყურადღების გარეშე“.***



აბბა ალავერდელი ეპისკოპოსი გაბრიელი (ჩაჩანიძე) და არქიმანდრიტი იოსები. 1952 წ.

კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ მიიღო რა მხედველობაში, თუ რა მძიმე პირობებში უხდება სამღვდელოებას დაკისრებულ მოვალეობათა აღსრულება, გამხნევებისა და წახალისების მიზნით, 1935 წელს იღუმენ იოსებს არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს კომუნისტებმა ახატელის ეკლესიაც დახურეს და მამა იოსებიც იძულებული გახდა მხოლოდ სამღვდელო წესები შეესრულებინა მორწმუნეთათვის. იმჟამად მთელ ეპარქიაში მხოლოდ თელავის „ღვთაების“ სახელობის ეკლესიაღა იყო მოქმედი, სადაც დრო გამოშვებით რიგ-რიგობით აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას სასულიერო პირები და მათ შორის არქიმანდრიტი იოსებიც.

1945-46 წლებში მორწმუნეთა დაჟინებული მოთხოვნით ხელისუფლებამ კვლავ გახსნა ალავერდისა და აწყურის თეთრი გიორგის სახელობის ეკლესიები. კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით, მამა იოსებს დაევალა აწყურის თეთრი გიორგის სახელობის ეკლესიაში პერიოდულად ჩაეტარებინა წირვა-ლოცვა და დაეკმაყოფილებინა მორწმუნეთა სულიერი მოთხოვნილებანი.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მამა იოსებს დახმარებას უწევდა და პატრონობდა თავისივე ძმისშვილი მიხა პაპალაშვილი სწორედ მის ხელში დალია სული ამ დიდებულმა მოღვაწემ 1955 წელს. იგი შესაფერისი პატივით დაასაფლავეს ახატელის ამაღლების სახელობის ეკლესიის მთავარი შესასვლელის წინ. ქრისტესმოყვარე ქართველ ერი მარად მიაგებს პატივს საქართველოს ეკლესიის ამ ღირსეულ მოღვაწეს.

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**
**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

გარეკანის პირველ გვერდზე მოთავსებულია ვალერი მარგიანის ფერწერული ტილო

„საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქცია მკითხველებს სთხოვს, პირად ლოცვებში მოიხსენიონ უძლურებაში მყოფი იღუმენი მაკარი და მხევალი ღვთისა ნანა

ვთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
ვთხოვთ დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. ჟორდანიას 80-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამარ გაბისონია, ნანა ბოლქვაძე
სარედაქციო კოლეგია: მთავარდიაკონი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარინა ბაბუა, ნინო [illegible], თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, [illegible], რედაქტორის თანაშემწე: [illegible], [illegible], კომპიუტერული დამკაბადონებელი: [illegible], ოპერატორი: [illegible]

ძველი ბეჭედი, რომელიც ჩვენს ერამდე IX საუკუნით თარიღდება, დღის სინათლეზე არქეოლოგმა ნახმანოვ ავიგადორმა გამოიტანა.

მიუხედავად მასზე ივრითზე ალბეჭდილი სახელისა – „იეზაბიელი“, სწავლულები ეჭვობდნენ, რომ საქმე სამეფო ატრიბუტიკას ეხება.

თუმცა, ჰოლანდიელი მკვლევარების აზრით, ბეჭედი საკმაოდ მსხვილი და შთამბეჭდავია იმისთვის, რომ იგი სამარიის რიგით მაცხოვრებელს გამოეყენებინა. ამის გარდა, ბეჭედზე ჩანს მბრძანებლის სიმბოლოები – სამეფო წარმოშობის დიდებული ქალი. სახელის ასოების შესწავლა კი აშკარად მიუთითებს იეზაბიელზე.

იეზაბიელი იყო ფინიკიის მეფის ასული და მეუღლე ბიბლიური მეფე აქაბისა, რომელიც ბაალის კულტის მსახური იყო.

### ერაყის პრემიერ-მინისტრი ქრისტიანების დაცვისკენ მოუწოდებს

ერაყის პრემიერ-მინისტრი საზოგადოების მოწოდებას, მხარი დაუჭირონ და დაიცვან ერაყელი ქრისტიანები, რომლებიც თავიანთ ქვეყანას მათ მიმართ განხორციელებული სასტიკი დევნის გამო ტოვებენ. მას შემდეგ, რაც აშშ-მა ერაყის წინააღმდეგ ომი დაიწყო, ქრისტიანები ქვეყანაში ისლამი ექსტრემისტების სამიზნეები გახდნენ. ეს უკანასკნელნი მათ უწოდებენ „ჯვაროსნებს“ და ადანაშაულებენ აშშ-ის არმიასა და მეომრებთან თანამშრომლობაში.

ქრისტიანები ერაყში 26 – მილიონიანი მოსახლეობის 3%-ს შეადგენს. უკანასკნელი მონაცემებით, უსაფრთხოებისა და უკეთესი ცხოვრების ძიების მიზნით ერაყი ქრისტიანების დაახლოებით 50%-მა დატოვა.

### ქრისტიანმა ცოლ-ქმარმა ბრიტანეთის სასამართლოში საკუთარი ღირსება დაიცვა

ვინს მატერიკს და მის მეუღლე პაულინას დიდ ბრიტანეთში თავიანთი აყვანილი 11 წლის შვილის წართმევა ემუქრებათ, მას შემდეგ რაც უარი განაცხადეს ხელი მოეწერათ შეთანხმებაზე თანასწორობის შესახებ, რომელიც სექსუალური ორიენტაციის გამო დისკრიმინაციას კრძალავს. თუმცა ქრისტიანებმა შეძლეს სასამართლოზე თავიანთი უფლებები დაეცვათ და თავისუფლად გამოეთქვათ საკუთარი რწმენა.

„თანასწორობის აქტის“ თანახმად, თუკი ბავშვი დასვამს კითხვას ერთსქესიანთა კავშირის შესახებ, მშობლები ვალდებულნი არიან აუხსნან მათ, რომ ჰომოსექსუალური ურთიერთობა არაფრით განსხვავდება ტრადიციული ქორწინებისგან.

## ფოტომატიანე

# არქიმანდრიტი გერმანე (იაშვილი) 1861-1947

არქიმანდრიტი გერმანე – ერისკაცობაში გრიგოლ იაშვილი 1861 წელს, აზნაურის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. წერა-კითხვა, საღმრთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი თბილისის ფერისცვალების სახელობის მონასტერში ისწავლა. 1885 წლის 5 აგვისტოს ამავე მონასტერში მორჩილად მიიღეს. 1889 წელს ანაფორა უკურთხეს. 1892 წლის 29 ოქტომბერს ფერისცვალების მონასტერში არქიმანდრიტმა კესარიამ (ჩეკურაშვილი) ბერად აღკვეცა და სახელად გერმანე უწოდა. ამავე წლის 12 ნოემბერს დიაკვნად აკურთხეს. 1897 წლის 1 ოქტომბერს მღვდლად დაასხეს ხელი. 1898 წელს მონასტრის ეკონომოსად დაინიშნა. 1901 წლის 5 მარტს მარტყოფის წმინდა ანტონის სახელობის მონასტრის მმართველად გადაიყვანეს და ამავე წლის 25 მარტს საგვერდულით დააჯილდოვეს. 1904 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1912 წლის 15 მაისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენი ეწყალობა. 1912 წლის 17 ნოემბრის წმინდა



მარტყოფის მონასტრის საძმო. 1922 წ. ცენტრში მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გერმანე

სინოდის ბრძანების საფუძველზე, ამავე წლის 11 დეკემბერს ქვათახევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა და არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. მას დაწინაურებასა და წინსვლას ულოცავს სულიერი ძმა, მოწამეთას მონასტრის მღვდელმონაზონი პავლე: ***„თქვენო მაღალღირსებავ, დიდად პატივცემულო და ყოვლად პატიოსანო, მაღალღირსო არხიმანდრიტო გერმანე, მაკურთხე და შემინდევით. პირველ ყოვლისა სიმდაბლით გამოვითხოვ შენდობას თქვენი მაღალ ღირსებისაგან და გეანბორებით წმიდა მსხვერპლის შემწირველის მარჯვენას და მოგილოცავ აღმატებული ხარისხის მიღებას და გისურვებ, რათა ურცხვენელად შეგასრულებიოს დედამან ღვთისამან და მიგაგებოსთ იესო ტკბილს. კეთილ საგზლოვანი თქვენი ბარათი მივიღეთ, რომლითაც ძლიერ განვიხარე. ეხლა ჩემს ამბავს იკითხამთ, ვარ თქვენი ლოცვით ჯერჯერობით გვარიანათ, აწი ღმერთმა უწყის. ექვთიმე იყო გუშინ აქა და მოკითხვა თქვენგნივ გარდავეცი. თუ შეგვექმნა ტფილისისკენ წამოსვლა გნახავთ. შემინდევი მაღალ ღირსო ასე ცირე ბარათისათვის, მაგრამ მე როგორი მოუცლელობა მაქვს ეხლა, ეს თქვენი მორჩილი მოგახსენებთ. ვრცელ ბარათს მერმეთ გაახლებთ. არხიმანდრიტმან და მისმან შვილებმა მოგიკითხესთ. თქვენი მაღალღირსებისათვის მარადის მლოცველი, უღირსი მღვდელმონაზონი პავლე (ჯაფარიძე)“.***

მისი დანიშვნის დროს ქვათახევის მონასტერი ძლიერ შეჭირვებას განიცდიდა, რის გამოც მონასტერში ბერების რიცხვი ერთობ შემცირებული იყო. საძმოს შემადგენლობა მღვდელმონაზონ ნეოფიტესა (ვარდოსანიძე) და ორი მორჩილისაგან: მათე კირვალიძესა და გიორგი წიკლაურისგან შედგებოდა. მონასტერს დაგროვილი ჰქონდა უამრავი ვალები, რომლის გადახდაც მას საკუთარი ძალებით არ შეეძლო. მამა გერმანემ დანიშვნისთანავე მონასტერში საძმოს შევსებაზე იფიქრა და ქართლ-კახეთის მონასტრების მთავარხუცესს არქიმანდრიტ ნაზარის (ლეჟავა) სთხოვა სხვადასხვა მონასტრებიდან მამები ქვათახევში განემწესებინათ. 1912 წელს ნათლისმცემლის მონასტრიდან – მღვდელმონაზონი სერგი (ძოწაძე), ხირსიდან – მღვდელმონაზონი ეფრემი (მენთეშაშვილი), ხოლო შიო-მღვიმედან – მღვდელმონაზონი დოდო (მარმარაშვილი) გადმოიყვანეს. 1913 წელს მამა გერმანემ მორჩილებად მიიღო და ანაფორები უკურთხა ბესარიონ კუხალაშვილს, საბა ვარდუაშვილსა (შემდგომში მღვდელმონაზონი აბო) და სვიმონ ძამაშვილს (შემდგომში მღვდელმონაზონი აითალა). მან დახმარებისათვის მიმართა გორის ეპისკოპოს ანტონს (გიორგაძე) და სთხოვა, აღეძრა შუამდგომლობა წმინდა სინოდში, რათა მონასტრისათვის ვალები ეპატიებიათ. 1916 წლის 15 მარტს მეუფე ანტონი წერილს უგზავნის მამა გერმანეს: ***„მამაო არხიმანდრიტო! მოგიკითხავ ძმურის სიყვარულით და გისურვებ ყოველ კეთილს. 14 ამა მარტს გახლდით სახელმწიფო პალატაში ჩემი მონასტრის მამულის გარდასახადის შესახებ. სხვათა შორის, თქვენი მამულის თაობაზედაც ვკითხე პალატაში ერთ დიდ პირს და მან მითხრა, რომ უწმიდესი სინოდის ობერპროკურორმა აღძრა შუამდგომლობა, რომ ეს ფული ეპატიოს ქვათახევის მონასტერსაო. ამ დღეებში მოველით უქაზს ამ მონასტრის გათავისუფლებაზე, თანაც ის ფული, რომელიც შეუტანიათ ბერებსა (მგონი 1000 მანეთამდე), უკან დაუბრუნდებათო. ისთე გამიხარდა, თითქო ჩემთვის ეჩუქებიოსთ ეს ფული. ქვათახევის ღვთისმშობელი ისთე არ მოიძულებდა თავის მონასტერს, რომ ეს ფული გარდახდომოდათ. იყავით ბედნიერად და მხიარულად. თქვენი პატივის მცემელი ეპისკოპოსი ანტონი“.***

1917 წლის 12 მარტს (ახ. სტილით 25 მარტს) სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში აღსდგა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. მამა გერმანე ამჯერად უკვე საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) მიმართავს დახმარების სათხოვნელად, რათა გაუმჯობესებულ იქნას მონასტრის ძმათა მდგომარეობა:

1917 წლის 11-17 სექტემბერს, როგორც ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი მიწვეული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებაზე დელეგატად. 1918 წელს არქიმანდრიტი გერმანე მარტყოფის მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს.

1921 წელს საქართველოში დამყარდა კომუნისტური ხელისუფლება, რასაც მოჰყვა ტაძრებისა და მონასტრების დახურვა, სიწმინდეების შეურაცხყოფა, სასულიერო პირთა განუკითხავი დევნა-შევიწროება და ლიკვიდაცია. გამონაკლისი არც მარტყოფის მონასტერი იყო. 1923 წლის 12 მარტს მარტყოფის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გერმანე კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) მიმართ გაგზავნილ წერილში ითხოვს ლოცვა-კურთხევას, თუ როგორ მოიქცეს კონკრეტულ შემთხვევაში: ***„თანამდებობისამებრ ჩემისა, ვაცნობებ რა თქვენს უწმინდესობას გარემოებას ჩვენი მონასტრისა შესახებ იმისა, რომ მარტყოფი-ნორიოს კომიტეტის წევრნი უპირებენ ჩამორთმევას ყოველნაირი ქონებისა და დათხოვნასა ჯეელი ბერებისა. დიდ ხუთშაბათს აღწერეს ყოველივე ქონება, ხოლო ეკლესიის შიგნით არსე-***

# ფოტომატიანე

სუფლად არ შეეძლოთ მიახლება საიდუმლოსთან ამიტომ კათოლიკოსმა, გამონაკლისის სახით, დართო ბერებს უფლება დაეკმაყოფილებინათ მორწმუნეთა სულიერი მოთხოვნილებანი.

1927 წლის 21-27 ივნისს ჩატარდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეოთხე საეკლესიო კრება, სადაც ერთ-ერთ საკითხად მამა გერმანეს ეპისკოპოსის ხარისხში დადგენაზე იყო საუბარი. სამღვდელოების ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქვემო ქართლში არსებული მძიმე სარწმუნოებრივი კრიზისის გამო, აუცილებელი იყო იქ ეპარქიის დაარსება, რომლის მღვდელმთავრადაც სწორედ არქიმანდრიტ გერმანეს კანდიდატურა წამოაყენეს. მაგრამ იმხანად ეკლესიაში მიმდინარე დაძაბულმა მოვლენებმა (საუბარია ე. წ. „რეფორმატორთა" ჯგუფზე) არ მისცა საშუალება ამ კეთილ წამოწყებას თავისი ნაყოფი გამოეღო.

1934 წელს, კომუნისტებმა ხელახლა დაარბიეს მარტყოფის მონასტერი და მამა გერმანეც საძმოს სხვა წევრებთან ერთად იძულებული გახდა დაეტოვებინა იქაურობა. იგი ქირით დასახლდა სოფლის ზემო უბანში. ყაჩაღებად მიგზავნილ ჩეკისტებს დაურბევიათ მისი ოჯახი, თავად მამა გერმანე კი სასტიკად უცემიათ, სამი მანეთი და სამღვდელო შესამოსელი წაურთმევიათ, თავმჯდომარის ძმისთვის ჩაუცმევიათ და ვირზე შემჯდარი სოფელში ჩამოუტარებიათ. თავად მოხუცი ბერისათვის ცალ-მხარეს წვერი ჩამოუპარსავთ (რითაც ცდილობდნენ ხალხში სარწმუნოების დამცირებას). ბერს ერთი სამდურავიც არ დასცდენია, რაც მის სიწმინდეს, ურისხველობას მოწმობს. სამრეკლოდან ჩამოუხსნიათ ზარები, გადმოცემით, ამ ზარებს ისეთი ხმა ჰქონია, რომ შორი მანძილის მიუხედავად, სხვა სოფლებშიც კარგად ისმოდა მათი რეკვა. ბერს არც ამაზე უთქვამს საყვედური, გარდა წინასწარმეტყველური სიტყვებისა: ***„დრომ მოიტანა ეკლესიებს რომ არბევენ, აბუჩად იგდებენ და ეს არავის არ შერჩება"***-ო. მასში იმდენად დიდი იყო ღმერთისა და ხალხის სიყვარული, რომ ბერმა ყოველგვარი შევიწროების მიუხედავად არ დატოვა თავისი ადგილსამყოფელი, ერთი წამითაც არ შერყევია რწმენა, უწყვეტლივ აღასრულებდა ღმრთისმსახურებას: ნათლავდა, მიცვალებულებს წესს უგებდა და შეძლებისდაგვარად წირვა-ლოცვასაც აღასრულებდა.



ბერის თავდადებულმა მსახურებამ უფლის წინაშე, მისმა სიწმინდემ, მრევლში დღემდე შემოინახა თბილი და ტკბილი მოგონება. არქიმანდრიტ გერმანეს დღესაც იგონებენ, როგორც ღვთისნიერ, შესახედავად სათნო გარეგნობის, საშუალო ტანის ბერს. სამამულო ომში მიმავალ სამ მარტყოფელს უწინასწარმეტყველა ***„ყველანი ჯანმრთელად დაბრუნდებით"***-ო, რაც ახდა კიდეც.

ერისა და ეკლესიისათვის თავდადებულმა მოღვაწემ, არქიმანდრიტმა გერმანემ 1947 წელს, მშვიდად შეჰვედრა სული უფალს.

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლევარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ დაგვეხმაროთ გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კოსტავას 80-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible],
[illegible],
ლევარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, [illegible]
რედაქტორის თანაშემწე: [illegible], დიზაინერი: [illegible]
დამკაბადონებელი: [illegible], კორექტორი: [illegible]

შეუშვებს ავსტრიის ეპისკოპოსების დელეგაციას ებრაულ სიწმინდესთან, სანამ ისინი არ მოიხსნიან ჯვრებს. ეპისკოპოსებმა უარი განაცხადეს და იძულებულნი გახდნენ, შორიდან ეცქირათ გოდების კედლისთვის. ავსტრიის დელეგაციის ღვთისმსახურების რაბინთან წინასწარ დაგეგმილი შეხვედრა კი გადაიდო. ავსტრიელ ეპისკოპოსთა დელეგაცია ისრაელში ჩავიდა, რათა თეოლოგიურ კონფერენციაში მიეღოთ მონაწილეობა. „მოსთხოვო ეპისკოპოსს ჯვრის მოხსნა, ეს იგივეა, რომ რაბინებს წვერი გაპარსვინო, რაც სულაც არაა აუცილებელი", – კორექტულად განაცხადა ავსტრიის წარმომადგენელმა და დაამატა, რომ ამის მიუხედავად, ეპისკოპოსები კმაყოფილნი არიან თავიანთი ვიზიტით. რაბინმა კი განაცხადა: „მე მათ ვუთხარი, რომ რომის პაპმა კედელთან მისვლისას დამალა ჯვარი. გოდების კედელი ყველა აღმსარებლობის მიმდევარისთვის ღიაა, მაგრამ ეს არ აძლევთ მათ უფლებას, შეურაცხყონ სხვათა რწმენა".

### ინგლისელი ღვთისმსახურები საფრთხის წინაშე არიან

ინგლისის ღვთისმსახურები თავს საფრთხეში იღებენ, როცა საზოგადოებაში სამღვდელო ტანსაცმლით გამოდიან. დამნაშავეების თავდასხმის მაპროვოცირებელი სწორედ კათოლიკე და პროტესტანტი მოძღვრის სამოსი ხდება. „ჩვენ არ გვსურს პანიკის დანერგვა, მაგრამ ღვთისმსახურებს ვურჩევთ, არ ჩაიგდონ თავი საფრთხეში. უმჯობესია, არ გაიკეთონ მოძღვრის სამოსი მაღაზიაში ან სტუმრად წასვლისას, თუ თან არ ახლავთ ვინმე, ვინც მზად იქნება, ექსტრემალურ სიტუაციაში დაეხმაროს მათ", – განაცხადა ნიკ ტოლსონმა «National Churchwatch»-ის კოორდინატორმა. «National Churchwatch»-ის ერთ-ერთ უკანასკნელ მონაცემებში აღნიშნულია, რომ მღვდელი ადვილად ცნობადია და ამის გამო მათ ხშირად ესხმიან თავს. 1996 წლიდან დღემდე ინგლისისა და უელსის ტერიტორიაზე 5 მღვდელი მოკლეს. 2001 წელს ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, სასულიერო პირები უფრო მეტად დგანან საშიშროების წინაშე, ვიდრე სხვა პროფესიის ადამიანები. 12%-ზე მეტი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია, ხოლო 70% მორალურ-ფსიქოლოგიური ზეწოლას განიცდის: მათ გადაიტანეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, ყვედრება, ჩხუბი, გაკიცხვა და სხვა. ტოლსონის თქმით, 2006 წელს ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც 90 მოძღვარი მონაწილეობდა. გამოირკვა, რომ 2005 წლიდან 2006 წლამდე გამოკითხულთა ნახევარზე მეტი სულ ცოტა, ერთხელ მაინც დააყაჩაღეს.

### დალაი-ლამა იაპონიას ეწვია

იაპონიის ხელისუფლებამ ყური არ ათხოვა ჩინეთის ხელმძღვანელობის მოწოდებას, არ შეეშვათ დალაი-ლამა საკუთარ ქვეყანაში. ტიბეტის ეკლესიის ლიდერი რამდენიმე ბუდისტური ორგანიზაციის მიწვევით 15 ნოემბერს ჩავიდა იაპონიაში და 10 დღე დარჩება. ამ ვიზიტის დროს მას დაგეგმილი აქვს სხვადასხვა ქალაქში საჯარო გამოსვლაც. დალაი-ლამა ტიბეტის სახელმწიფოს ჩინეთთან გაერთიანების შემდეგ ინდოეთშია ემიგრირებული. პეკინი მას აღნიშნული ტერიტორიის ჩინეთიდან გამოყოფის მცდელობაში ადანაშაულებს. ჩინეთის კომპარტია მოითხოვდა, იაპონიას უარი ეთქვა მის მიღებაზე. თუმცაღა იაპონიის ხელისფლებამ უარის ვერავითარი საბაბი ვერ იპოვა და განაცხადა, რომ დალაი-ლამას ჩასვლა არ არის დაკავშირებული პოლიტიკასთან და საკუთრივ რელიგიურ ხასიათს ატარებს.

### ახალი მართლმადიდებლური მაღაზია სანკტ-პეტერბურგში

სანკტ-პეტერბურგში იხსნება მართლმადიდებელი ქალებისა და გოგონების ტანსაცმლის საგანგებო მაღაზია. საეკლესიო ჩაცმულობა უნდა იყოს სადა და არა გამომწვევი, ამავე დროს, ლამაზი, – ასეთია ახალი სავაჭრო პროექტის ავტორის განაცხადი.

## ფოტომატიანე

# სქემმღვდელმონაზონი მოსე (სუმბაძე) 1807-1932

სქემმღვდელმონაზონი მოსე – ერისკაცობაში კონსტანტინე ილიას ძე სუმბაძე 1887 წელს გლეხის ოჯახში დაიბადა. წერა-კითხვა, საღმრთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში, თავის ბიძასთან მღვდელმონაზონ ზენონთან ისწავლა. 1910 წლის 10 მაისს ჯვარ-ბოსლევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1911 წლის 18 დეკემბერს ვარდისუბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მედავითნედ გადაიყვანეს. 1913 წლის 9 ოქტომბერს თავისი თხოვნის საფუძველზე მედავითნეობიდან გათავისუფლდა და ამავე წლის 25 ოქტომბერს თხოვნით მიმართა აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრებისა და გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ნაზარის (ლეჟავა) – ***„უმორჩილესად გთხოვთ მიმიღოთ მორჩილად თქვენდამი რწმუნებულ მონასტერში და თუ ღირს ვიქნები, შემდეგ აღმკვეცოთ ბერად".*** 1913 წლის 21 ნოემბერს მიიღეს მორჩილად. 1914 წლის 13 მარტს არქიმანდრიტმა ნაზარმა ანაფორა უკურთხა. 1914 წლის 22 სექტემბერს მამა ნაზარი თხოვნით მიმართავს სინოდალურ კანტორას: ***„გთხოვთ ნება დამრთოთ ბერად აღვკვეცო და დიაკვნად მიკურთხოთ ჩემივე მონასტრის მორჩილი კონსტანტინე სუმბაძე, რომელიც კარგადაა მომზადებული ჩემს მიერ".*** ბაქოს ეპისკოპოსმა პიმენმა შემდეგი მინაწერი გააკეთა ამ თხოვნაზე: ***„უარი ეთქვას მამა ნაზარს, თუ ასე სჭირდება მო-***

*ნასტერში დიაკონი, მაშინ მარტყოფის მონასტრიდან გადაიყვანოს ბერდიაკონი იოსები (ხარაზაშვილი)“.* 1915 წელს კონსტანტინე ბერად აღკვეცეს და სახელად კვიპრიანე უწოდეს. 1916 წელს დიაკვნად აკურთხეს. 1918 წელს მღვდლად დაასხეს ხელი. 1922 წელს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1925 წელს კომუნისტებმა დახურეს გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი და იქ მოღვაწე ბერებმა სხვადასხვა მონასტრებს შეაფარეს თავი. მამა კვიპრიანე შიო-მღვიმის მონასტერში დამკვიდრდა. 1925 წლის 15 დეკემბერს იგი თხოვნით მიმართავს ამავე მონასტრის წინამძღვარს, იღუმენ ისეს (სუხიშვილი): ***„უმორჩილესად ვთხოვ თქვენს მაღალღირსებას ნება დამრთოთ მოვიტანო და დავდგა მონასტრის ეზოში, გარეშე მონასტრის ფუტკრისა, ჩემი საკუთარი ფუტკარი, რომელიც შედგება 2 დადანის სკისაგან. ამასთანავე, ვარწმუნებ თქვენს მაღალღირსებას, რომ ფუტკარი არის საღი და ჯანმრთელი და არავითარი სენით დაავადებული. ვსდებ პირობას, რომ არ მივითვისო მონასტრის ფუტკარი სკების ყრის დროს, არც არავითარი ხელსაწყო. უკეთუ ვინიცობაა მოკლე ხანაში, ე. ი. 10 წლის განმავლობაში მომიხდა რაიმე მიზეზით მონასტრიდან წასვლა, უფლება მაქვს თუ წაღება არ მინდა და თუ ისურვებს მონასტერი მივყიდო მას და თუ მონასტერი არ იყიდის, მაშინ გავყიდო კერძო პირზე და თუ ხანგრძლივად მომიხდა აქ ცხოვრება და მერე აქედან წასვლა ჩემი საკუთარი ფუტკარი, თუ გამრავლებული მეყოლება იმ ჟამათ, უნდა დავუტოვო მონასტერს მეხუთედი და თუ განგებითა ღვთისათა განვეელ ამიერ სოფლით, მაშინ რაიც ფუტკარი აღმოჩნდეს, იგი შემიწირია ხსენებულ მონასტერზე. მონასტერი არაფერში მოვალე არ არის დამეხმაროს ფუტკრის მოვლა-მოშენებაში. თვინიერ მეზობლური განწყობილ დახმარებისა და არც მე ვარ მოვალე, რომ ჩემი საკუთარი ფუტკრიდან რაიმე მივსცე მონასტერს, ე. ი. თაფლი, სანთელი, თვინიერ პატივის ცემისა, ვისთვისაც მე მსურს“.***

1928 წლის აღდგომას, ეკლესიაში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ (ციცქიშვილი) მამა კვიპრიანე სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვა. 1930 წელს არქიმანდრიტმა ისემ დიდ სქემაში აღკვეცა და სახელად მოსე უწოდა.

მამა მოსემ თავისი ცხოვრება მოწამეობრივად დაასრულა. ჩვენს ხელთ არის 1932 წლის 15 დეკემბრით დათარიღებული წერილი, რომელიც არქიმანდრიტმა ისემ მისწერა წილკნელ ეპისკოპოს ალექსის (გერსამია), მამა მოსეს მკვლელობასთან დაკავშირებით, სადაც დეტალურად არის აღწერილი ეს ამბავი: ***„შაბათს, 3 დეკემბერს საღამოს, ჩემი პირადი საქმის გამო წამოვედი შიო-მღვიმის მონასტრიდან და დაუტოვე ჩემს მეგობარს, აწ განსვენებულ დიდსქემა მღვდელმონაზონ მოსეს ეკლესიის***

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

ზურაბ ხორავა „თავკვეთულაში“



***და საწინამძღვრო სახლის გასაღები. ასევე 10 თუმანი. თან დავუბარე, თუ ჩემი დისწული ჩამოვიდოდეს (ეხლაც ველოდები) და ჩამოიტანა ურმით ჩემი საზამთრო საზრდო, გადაეცა ურმის ქირა 10 თუმანი და თუ არ ეყოფოდა, თავისი დაემატებინა ჩემს მოსვლამდე და მიეცა ჩემი სახლის გასაღები, რომ ღამე გარეთ არ დარჩენილიყო. ასევე მორჩილ დათიკოს (ჩიტიშვილი – შემდგომში მღვდელ-მონაზონი) დავუბარე, რომ იგი გადასულიყო სოფელ სხალტბაში გადმოსატანად გამომცხვარი პურისა, სადაც დატოვებული მქონდა ფქვილი და ამის შემდეგ გავემართე მცხეთის გავლით თბილისისაკენ. 4 დეკემბერს თბილისში დავრჩი, 5-ში დილით გავედი თბილისიდან საფოსტო მატარებლით, გავუარე მცხეთაში კბილის ექიმს. ნაშუადღევს გაველი მცხეთიდან და 4 საათი იქნებოდა, მივედი მონასტერში. როცა შევედი მონასტრის გალავანში, ჰოი საშინელებავ! კატა ერთი მხრიდან მომეგება საშინელი კივილით და ძაღლი მეორე მხრიდან, რომელიც არაჩვეულებრივად წკმუტუნებდა, მელაქუცებოდა და ფეხქვეშ მიგორდებოდა. მიუახლოვდი ჩემი მეგობრის მოსე სუმბაძის ბინას. შევნიშნე, რომ***

# ფოტომატიანე

მის საცხოვრებელ ბინას კლიტე ედო მხოლოდ. მეორე, რომელიც საკუჭნაოდ ჰქონდა და არავის თავის დღეში არ უშვებდა შიგ, ღია იყო. შევეხმაურე ორჯერ და ვთხოვე, ჩემი ბინის გასაღები მოეცა, მაგრამ შიგნიდან ხმა არავინ გამცა. ვიფიქრე, შეიძლება არ სცალია მეთქი და წავედი ჩემი სახლისაკენ. ავედი რა კიბეზე, შევნიშნე, შესავალი კარი ღია იყო და ფანჯარა ჩამტვრეული. შევედი რა აივანში, ჩემი საწოლის ოთახის კარი ფეხით იყო შელეწილი, აგრეთვე სამზარეულოსი, სასადილოსი და დიდი დარბაზისა. შევედი სახლში, მაგიდის უჯრები გამოღებული და არეული იყო. ქვეშაგები გადმოყრილი, ზოგი ტანისამოსი და საცვლები წაღებული. გავედი საკუჭნაო ოთახში, ვიხილე იქიდან წაღეოთ ხუთი თონის პური და სამი თევზი. ამავე დროს შევნიშნე, რომ მაგიდაზე ეწყო ეკლესიის გასაღები. კვლავ დავბრუნდი დაბლა განსვენებულის ოთახისაკენ. შევაღე კარი, შიგ არავინ დამხვდა. გამოვბრუნდი უკან ეზოში. ვიპოვნე კლიტე გადაგდებული მოსეს საკუჭნაოსი. გამოვედი წინა ბალკონისკენ, დავიძახე, ძახილით. ვეძახდი ხან მოსეს, ხან დათიკოს, მაგრამ ჩემს ხმას ბანს აძლევდა გამოძახილი ბუებისა და ჭოტებისა. ვიფიქრე, შეიძლება უბედურებას გაექცნენ, წავიდნენ მცხეთაში ან ძეგვში მილიციაში განსაცხადებლად. უკვე ბინდმა მოაღწია და მოვიდა ჩემი მორჩილი დათიკოც, როცა სახლში შემოვიდა ჩემთან, გაკვირვებული შემეკითხა, რათ არის ფანჯრები დამტვრეულიო. მე ვკითხე: შენ არ იცი, რა მოხდა აქ მეთქი? მითხრა – არაო. ვუთხარ, როცა სოფელში წახვედი, სად იყო მამა მოსე მეთქი. მითხრა: აქ იყო და მთხოვა ჩქარა მოდიო, მცხეთაში მინდა წასვლაო. ის ღამე გავატარეთ მწუხარებაში, მეორე დილით ადრე კვლავ შევუდექით დათვალიერებას, რა იყო წამხდარი და რა წაღებული. ეკლესიაში არ შესულან და არც არა დაკარგულა. დათიკო წავიდა წყალზე, სადაც შეამჩნია XI ს-ის ძველ საძმოს სატრაპეზოსთან აუარებელი სისხლი დაღვრილი და ზეგ აგურები და კრამიტები დაფარებული. ამოვიდა და შემატყობინა. მაშინვე გავიქეცი და ვიხილე საშინელება. იქვე აგურებთან შევნიშე გათრეული კაცი, რომელსაც მისდევდა სისხლის კვალი. ეყარა ორივე ყურები მოჭრილი და თმები. მკვდარი გადაეგდოთ ხევში. გამოეჭრათ ყელი, დაეჭრათ ორივე ხელის სავარცხლები და თითები იქვე ეგდო. თვალები ჩაჭყლეტილი ჰქონდა. როგორც ექიმმა შეამოწმა და სთქვა, აღმოაჩნდა 26 ჭრილობა სხვადასხვა ადგილას, წელს ზემოთ. იქვე ეგდო ტყავის ქამარი, რომელიც ზიდილის დროს გაეწყვიტათ. სახლში დაბრუნებისთანავე დავწერე წერილი, შევატყობინე მცხეთაში ეპისკოპოსს და მილიციას. მილიცია მოვიდა, მოიყვანა მეორე დღეს ექიმი, რომელმაც შეადგინა ოქმი და მოგვცეს ნება დამარხვისა, რასაც სიმდაბლით მოგახსენებთ".



მღვდელსქემონაზონი მოსე (ახალგაზრდობაში) გამზრდელ ბიძასთან ილუმენ ზენონ სუმბაძესთან ერთად

ლუარსაბ ტოგონიძე
გიორგი მაჩურიშვილი

---

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**
**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

გთხოვთ, გაზეთის გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ დახმარება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კრწანისის 80-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე**
რედაქტორის მოადგილეები: თამარ გაბისონია, ნანა მოსეშვილი
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაფრინდაშვილი, თამარ ახალიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, სერგო კალანდაძე
რედაქტორის თანაშემწე: ბრიჯოლ იოსელიანი, დიზაინერი: გოგი ასლანიკაშვილი
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯიქიძე, ოპერატორი: ზინა კოპაძე.

ბა, ფაქტობრივად, მისი და ქვეყნის პრეზიდენტ ტრაიანა ბესესკუსის ხელფასი გათანაბრებულია. ახალი სახელმწიფო მოწყობის თანახმად, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის თავმჯდომარე ამიერიდან 8 ათას რუმინულ ლევს მიიღებს, ეს ყოველთვიურად დაახლოებით 3,5 ათასი დოლარია. ამავე დროს, ახალი კანონპროექტით, რიგითი კლერიკებისათვის ფინანსური მხარდაჭერა, დაახლოებით 15-ჯერ მცირეა — ქრისტიანი მოძღვრები, იმამები და რაბინები საშუალოდ მიიღებენ 551-დან 733-მდე ლევს განათლებისა და სამუშაო სტაჟის მიხედვით.

#### პემზელი სექტანტები კვლავ ჯიუტობენ

პემზის ოლქში სექტანტების წინააღმდეგ მთავრობამ მუშა ჯგუფები შექმნა. დაახლოებით 30 ადამიანი, მათ შორის 4 არასრულწლოვანი, სოფლიდან მოშორებით, სამი კილომეტრის დაშორებით, საგანგებოდ გამზადებულ მიწისქვეშეთში ჩავიდა და თან ყველა საჭირო ნივთი და საკვები წაიღეს, რათა „სამყაროს აღსასრულს" იქ შეხვდნენ. მათი პროგნოზით, ეს დღე 2008 წლის მაისში დადგება. ამასთან, სექტანტებმა წაიღეს გაზის ბალონები და თავის აფეთქებით იმუქრებიან, თუკი მათ იქიდან ძალით გამოდევნიან. შესაძლოა უახლოეს მომავალში სექტანტებსა და მათ სულიერ ლიდერთან, პეტრე კუზნეცოვთან, მთავრობამ მოლაპარაკება აწარმოოს. პეტრე კუზნეცოვს ამჟამად ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკვლევა უტარდება.

#### ექიმთა ზეწოლისადმი ფეხმძიმის დაუმორჩილებლობამ ნაყოფი გამოიღო

რუსეთის რამდენიმე სამშობიარო სახლის ექიმებმა უარი განაცხადეს ფეხმძიმე ქალის, ბარბარე არტამკინას მიღებაზე, რომელიც ხუთ ტყუპს ელოდებოდა. გაზეთ „დეილი მეილისათვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ქალის ნათესავებმა განაცხადეს, — „ისინი (ბარბარა და მისი 28 წლის მათემატიკის მასწავლებელი მეუღლე დიმიტრი) დადიოდნენ სამშობიაროდან სამშობიაროში და დახმარებას ითხოვდნენ, მაგრამ ექიმები ამბობდნენ, რომ პაციენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდნენ, თუის მოიშორებდა ორ ან სამ ბავშვს. „ჩვენი ოჯახები კი ძალიან რელიგიურია, ქალის მამა დეკანოზია. ეკლესია გვასწავლის, რომ აბორტი მკვლელობაა". საბოლოოდ, ქალმა ოქსფორდის სამრევლოს დახმარებით, ინგლისის ერთ-ერთ საავადმყოფოში იმშობიარა. ახლა გოგონები, ექიმების თქმით, თავს კარგად გრძნობენ.

#### კონსტანტინეპოლში ბერძნული მონასტრები შეიბღალა

15 ნოემბერს ქალკის კუნძულზე, ბიზანტიის უძველესი დედაქალაქის მახლობლად, თურქეთის მთავრობის ბრძანებით, სატყეო მოწყობილობის ბულდოზერებმა სამუშაოების წარმოება ქალკის თეოლოგიური სკოლის ტერიატორიის ტყეში დაიწყეს. ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანები და სკოლის თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილები და სკოლის ხელმძღვანელის, მიტროპოლიტ აპოსტოლოსის მეშვეობით სასწრაფოდ მიმართეს კონსტანტინეპოლოს პატრიარქს. სამუშაოები შეჩერდა, მაგრამ მონასტრის ქონებას, მათ შორის მეცხრამეტე საუკუნის ისტორიულ ძეგლს, აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს. ამ ინციდენტიდან ორი დღის შემდეგ კონსტანტინეპოლში კიდევ ორი ბერძნული მონასტერი შეიბღალა.

## ღირსმახსოვარნი

# დეკანოზი იოანე ცქიტიშვილი
# 1866-1940

დეკანოზი იოანე ლავრენტის ძე ცქიტიშვილი 1866 წელს, ქუთაისის გუბერნიაში, სოფელ საქარაში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1880-84 წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1888 წლის 13 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა. 1890 წლის 14 ნოემბერს მღვდლად დაასხა ხელი და საჭილაოილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. ამის შემდეგ მამა იოანე საჭილაო-ნაჩხიტეურის, საქარის მაცხოვრის, ბანოჯას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებში მსახურობდა. ამ ტაძრებში მოღვაწეობის დროს, ასწავლიდა საღვთო სჯულსა და ქართულ ენას სამრევლოსაეკლესიო სკოლებში. 1902 წლის 6 მაისს სკუფიით დაჯილდოვდა. 1908-18 წლებში ქუთაისის ექვსკლასიან სასწავლებელში და ორწლიან პედაგოგიურ კურსებზე მასწავლებლობს. 1912 წლის 6 მაისს კამილავკა უბოძეს, ხოლო 1916 წლის 15 მაისს — სამკერდე ოქროს ჯვარი ეწყალობა. 1918 წელს ახალციხის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად და ახალციხე-ახალქალაქის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა.

1921 წელს საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება მოვიდა სათავეში. ეკლესიასა და სამღვ-

დელოებას მძიმე დღეები დაუდგა. დეკანოზი იოანე ცქიტიშვილი დახმარებას და რჩევას ითხოვს ეპისკოპოს ქრისტეფორესაგან (ციცქიშვილი): **„1923 წლის 30 მარტს, პარასკევს, დღის 3 საათზე, ადგილობრივი კომსომოლიტები, მოსწავლე ახალგაზრდობა, რამდენიმე წითელარმიელი ჯარისკაცის თანხლებით, შემოესია ახალციხის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ეკლესიას, ჩაიბარეს იგი და დალუქეს. იგივე ბედი ეწია სომეხთა ეკლესიას, კათოლიკეთა ტაძარს, ებრაელთა სინაგოგას და მუსულმანთა მეჩეთს. ყველა ერის წარმომადგენელთ ახალციხეში თითო ეკლესია დაუტოვეს. ჩვენ დაგვრჩა წმინდა დიდმოწამე მარინეს სახელობის ეკლესია. იმ დღეს მე ვიყავი მწირველი სოფელ ტატანისში, რომელიც ახალციხიდან 9 ვერსითაა დაშორებული. ეს ამბავი იქ გავიგე, საღამოს. ვცდილობდი თავის გამხნევებას, მაგრამ ძარღვებმა მაინც თავისი ჰქნეს. მარჯვენა ყურმა გამკრა, თავი გამირეკდა და ძირს დავეცი. ის ღამე ტანჯვით გავათიე, მეორე დილით გლეხებმა ურმით მიმიყვანეს ახალციხეში. მას შემდეგ ლოგინში ვწევარ. სამსახური აღარ შემიძლია. ჩემს მაგივრად მსახურობენ მოხუცი დეკანოზი ალექსანდრე ზედგენიძე და საფარის მონასტრის წინამძღვარი ,მღვდელმონაზონი ტიმოთე (რუსი). 3 აპრილს მოვიდა კომისია, ამაყენა ლოგინიდან, წამიყვანა ტაძარში და დაიწყო აღწერა. აღწერეს სანთლის საწყობის განჯინა, სადაც ინახებოდა სანთელი და საწყობის კუთვნილი ყველა საგნები. ამის შემდეგ ყველაფერი ჩაიბარეს და ჩამომართვეს გასაღები, რაზედაც მოვახსენებ თქვენს მეუფებას“.**



მღვდელი იოანე ცქიტიშვილი

მამა იოანე განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვდა ვარძიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრისათვის და საკათოლიკოსო საბჭოს სთხოვდა, გამოენახათ გზები და საშუალება, რათა იქ მცხოვრებ ბერებს არ შეეწყვიტათ ლოცვა-ვედრება ერისა და საქართველოს გადარჩენისათვის, ამასთან დაკავშირებით მან წერილით მიმართა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს, ურბნელ ეპისკოპოსს ქრისტეფორეს: **„თქვენს მეუფებას კარგად მოეხსენება, რომ ვარძიის მონასტერი ქართველი ერის სიამაყეა, როგორც უტყუარი საბუთი მისი წარსული დიდებისა, სარწმუნოების ფხიზელი დარაჯია, რადგან საზღვარზე დგას. მას გარს ახვევიან უცხო სარწმუნოების ერები, საიდანაც ხალხი ბლომად დაიარება დიდ დღესასწაულებში. ნახულობენ სავანეს და მით ეცნობიან ჩვენი ერის ისტორიას და სარწმუნოებას.** ამ მონასტრის ცხოვრებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 15 აგვისტო (ძველი სტილით), ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღე. ამ დღეს ტაძრის დღესასწაულია. ეს დიდებული მონასტერი თავისი წარსული სიდიადით, საქართველოს ყველა კუთხიდან, დიდძალ ხალხს იზიდავს ამ დღისათვის. მლოცველების რიცხვი იმდენად დიდია, რომ არსებულ მაღაროებში ვერ თავსდებიან და იძულებული ხდებიან კიბეებზე გაათიონ.

ჩემის აზრით, რომ სარწმუნოების ეხლანდელმა კრიტიკულმა ხანამ, მორწმუნე ერს გული არ გაუგრილოს და მით მონასტერმა ერთხელ და სამუდამოდ არ დაჰკარგოს თავისი მნიშვნელობა, საჭიროა მონასტრის სახელის ამაღლება. ეს კი მოხდება მაშინ, თუ ყოველწლობით ამ შესანიშნავ დღეს

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

დავით ცინცაძე „ბოდბის მონასტერში“



# ფოტომატიანე

მღვდელმთავრის წირვა მოეწყობა და დანარჩენ დღესასწაულებში წინამძღვარი შეასრულებს წირვას, მაინც და მაინც არქიმანდრიტის ხარისხში. ეჭვს გარეშეა, რომ ეს მლოცველებში სარწმუნოების გრძნობას ფრიად გააღვიძებს.

გამოვდივარ რა ასეთი დებულებიდან, უმორჩილესად ვშუამდგომლობ თქვენი მეუფების წინაშე, წელს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს, კეთილი ინებოთ და შეასრულოთ წირვა ხსენებულ მონასტერში, ხოლო მისი აწინდელი წინამძღვარი მღვდელმონაზონი იპოლიტე (მნათენაძე) აღიყვანოთ არქიმანდრიტის ხარისხში, რადგან მან ეს უკვე დაიმსახურა.

მღვდელმონაზონი იპოლიტე მაღალი ზნეობისაა და მტკიცედ ასრულებს ბერულ აღთქმას. იგი 16 წელიწადია მოღვაწეობს აღნიშნულ მონასტერში. მას იქ გაუკეთებია სავანეში ასასვლელი კიბეები, გაუმშვენებია წყარო, შეუკეთებია წინამძღვრის ბინა. ასუფთავებს და უვლის მრავალ მაღაროებს. ასრულებს ღვთისმსახურებას, მუდმივ სასყიდელს კი არსაიდან იღებს. მას ახალციხე-ახალქალაქის ოლქშიაც მიუძღვის სამსახური, რაც გამოიხატება ოლქის ეკლესიებისათვის სამედავითნეო კანდიდატების მომზადებაში. თუ სადმე მესხეთ-ჯავახეთის ეკლესიებში მედავითნე კარგად გალობს და კითხულობს, ამის მიზეზი აუცილებლად მამა იპოლიტეა, რადგან თვითონ მშვენიერი მგალობელი და მკითხველია".



მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე (ცინცაძე) და დეკანოზი იოანე ცქიტიშვილი. 1929წ.

1923 წლის ოქტომბრის დასაწყისში, დეკანოზი იოანე ცქიტიშვილი, ავადმყოფობის გამო, თბილისში გადაიყვანეს. 1923 წლის 4 ოქტომბრიდან 1925 წლის 25 იანვრამდე ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მსახურობს. 1925 წლის 25 იანვარს, იგი თბილისის კალოუბნის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს. 1928 წლის 4 აპრილს ენქერი უბოძეს. 1931 წელს თბილისის ეკლესიების მთავარხუცესად დაინიშნა. 1933 წელს მიტრით დაჯილდოვდა.

1934 წელს კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაანგრია კალოუბნის ეკლესია. კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) მამა იოანე სიონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში განამწესა, შემდეგ წელს კი მთაწმინდაზე, მამა დავითის ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანა. დეკანოზი იოანე 1940 წლის 28 თებერვალს გარდაიცვალა.

---

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**
**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი*

გთხოვთ, გაზეთს გაუგზავნოთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ დამატებით გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სახალხო ბანკი. კონსტიტუციის 33-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: თამარ ბაბილონია, ნანა [illegible]
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი),
მარინე ბაბუა, ნინო [illegible], თამარ ახობაძე,
ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, სერგო [illegible]
რედაქტორის თანაშემწე: [illegible], დიზაინერი: [illegible]
კორესპონდენტები: [illegible], ოპერატორი: [illegible]

ანური განწყობაა, იგი დადგინდა იმ აუცილებლობის გამო, რომ ეკლესიას ჰყოლოდა მეთაური და საკოორდინაცო ცენტრი." ამგვარად, ქრისტიანული აღმოსავლეთი პირველობაზე წარმოდგენას ღვთაებრივ კანონებს არ მიაკუთვნებს. ეს წარმოდგენა არ ეფუძნება იმ კანონებს, რომლებიც ქრისტემ უბოძა მოციქულ პეტრეს, მისგან კი — მთელ რომის საეპისკოპოსოს. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ასევე განაცხადა, რომ XI ს-მდე კონსტანტინეპოლის ეკლესია მეორე ადგილზე იყო რომის კათედრის შემდეგ, შემდეგ კი პირველობა მართლმადიდებელ სამყაროში კონსტანტინეპოლის ეკლესიაზე გადავიდა. „თუ ჩვენ უფლის დახმარებით, კათოლიკურ ეკლესიასთან ერთად შევთანხმდებით, რომ პირველობის ტერმინის მნიშვნელობა დარჩება ისეთი, როგორიც ის იყო პირველ ათასწლეულში, მაშინ მსოფლიო პატრიარქს არ გაუჭირდება, აღიაროს რომის კათედრის პირველობა და დაიკავოს მეორე ადგილი — ის, რომელსაც იკავებდა განყოფამდე,"— განაცხადა პატრიარქმა ბართლომეოს I-მა. როგორც უკვე ცნობილია, რავენაში მართლმადიდებლურ-კათოლიკური გაერთიანებული კრების შემაჯამებელ დოკუმენტებს ხელი არ მოაწერა მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაციამ, რადგან მისმა წევრებმა სხდომა უთანხმოების გამო დატოვეს. მიზეზი კი ამ შეკრებაზე ე.წ. „ესტონეთის სამოციქულო ეკლესიის" წარმომადგენლების დასწრება გახდა. ეს „ეპარქია" 1996 წელს კონსტანტინეპოლის საპატრირქომ რუსეთის კანონიერ ტერიტორიაზე შექმნა.

### კატარში მცხოვრებ ქალთა უმეტესობა ძალადობას ჩვეულებივ მოვლენად მიიჩნევს

კატარის არაბული მოსახლეობის ქალთა თითქმის ნახევარი არა მარტო უხმოდ იტანს, არამედ ამართლებს კიდეც ოჯახში ძალადობას, ცემას, სიტყვიერ დაშინებასა და შეურაცხყოფას ან სექსის მიზნით ძალადობას. 2 ათასზე მეტი გამოკითხულიდან 42% მხოლოდ თავის თავს თვლის დამნაშავედ მსგავს ინციდენტებში და უდრტვინველად იტანენ სასჯელს. მათი თქმით, ეს მათ დაიმსახურეს. გამოკითხვის შედეგებმა უჩვენა, რომ კატარელ ქალებს უმეტეს შემთხვევაში ქმრები „ზრდიან", უფრო იშვიათად — ძმები, მამები და დედები. შინაური ტირანია უფრო ხშირად რეგულარულ ცემასა (60%) და ოჯახში სიტყვის თავისუფლების აკრძალვაში ვლინდება. დანაშაულად ითვლება ნებისმიერი აზრის გამოხატვა, თუ იგი ქმრის მოსაზრებას ეწინააღმდეგება.

### ახალი მართლმადიდებლური ფილმები

სატელიტურმა ტელეკომპანია „სპასმა" ორი ფილმის ჩვენების უფლება მიიღო, რომლებიც პეჩორის მონასტრის შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაიღო. როგორც ნიჟეგოროდის ეპარქიის ვებგვერდი იუწყება, ამ ფილმთაგან ერთი „მიტროპოლიტი ფილარეტი, ნიჟეგოროდის ეპარქიის დამაასრებელი" — აქ მოღვაწე პირველ მთავარეპისკოპოსზეა. მეორე ფილმი — „პატრიარქი სერგი ნიჟეგოროდის მიწაზე", — გადაღებულია პატრიარქის 140 წლისთავის აღსანიშნავად.

## ფოტომატიანე

## დეკანოზი დავით გოცირიძე
## 1864-1938

დეკანოზი დავით სვიმონის ძე გოცირიძე 1864 წელს, ქუთაისის გუბერნიაში, რაჭის მაზრის სოფელ წესში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო ყაზანის სასულიერო აკადემიის მისიონერული კურსებზე. 1884-91 წლებში იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის (ქიქოძე) გუნდში გალობდა. 1888 წლის 29 თებერვალს იმერეთის ეპარქიის კანცელარიაში მწერლად დაინიშნა. 1891 წლის 15 სექტემბერს ქუთაისის საკათედრო ტაძარში ეპისკოპოსმა გაბრიელმა დიაკვნად აკურთხა და ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურად განამწესა. 1893 წლის 28 ოქტომბერს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის



ეკლესიაში გადაიყვანეს. 1896 წლის 26 ოქტომბრიდან – 5 დეკემბრამდე დროებით ასრულებდა იმერეთის ეპარქიის კანცელარიის მდივნის მოადგილის მოვალეობას. 1902 წლის 29 აგვისტოს საქართველოს ეგზარქოსმა ალექსი I-მა (ოპოცკი) მღვდლად დაასხა ხელი და საროს წმინდა მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და ახალციხე-ახალქალაქის ოლქის მისიონერად განამწესა. 1905 წლის 4 ივლისს კახეთში, ლიკოკისჭალის სამრევლოში გადაიყვანეს. 1906 წელს ზაქათალის ოლქის (საინგილო) მისიონერად განამწესეს. 1911 წლის 27 მაისს ბაისუბნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს და თა-

# ფოტომატიანე

ვისი თხოვნის საფუძველზე, ამავე წლის აგვისტოში გათავისუფლდა მისიონერი მღვდლის მოვალეობისაგან. იგი დასახლდა ლაგოდეხში, სადაც 1929 წლამდე ცხოვრობდა. 1914 წლის 6 მაისს კამილავკით დაჯილდოვდა. 1917 წელს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1918 წელს დეკანოზის წოდება მიენიჭა და ზაქათალის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. მონაწილეობდა 1920 წლის 27 ივნისის და 1921 წლის 1-5 აგვისტოს გამართულ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის II და III საეკლესიო კრებებზე.

დეკანოზი დავითი საზოგადოებაში, განსაკუთრებით დაბალ ფენებში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ლაგოდეხში, საკუთარ სახლში გახსნილი ჰქონდა უფასო საჯარო ბიბლიოთეკა. გარეგნობით იყო ახოვანი, მჭერმეტყველი, იმდროისათვის საკმაოდ განათლებული და კარგი გალობის მცოდნე მოძღვარი. იგი იმდენად მაღალი და მოსული ადამიანი იყო, რომ ზედმეტ სახელად „დიდ მღვდელს“ ეძახდნენ.

XX საუკუნის 20-იან წლების დასაწყისში სოფელ სვეტების სამრევლოს წინამძღვარია. 1923 წელს კომუნისტური ხელისუფლების ზეწოლის შემდეგ იძულებული გახდა ანაფორა გაეხადა და ღვთისმსახურება შეეწყვიტა. ამავე წელს თბილისში საჭირო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ჩარიცხეს დამცველთა კოლეგიაში და მუშაობდა ვექილად ჯერ ლაგოდეხში, ხოლო 1929 წლიდან — თბილისში. გარდაიცვალა 1938 წელს და დასაფლავებულია კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე.

მამა დავითს ჰყავდა მეუღლე, მარიამ სოლომონის ასული დათიაშვილი, დაბადებული 1872 წელს, რომელმაც მას 27 (!) შვილი გაუჩინა. მრავალშვილიანობის გამო მამა დავითს მიღებული ჰქონდათ მეფის მთავრობისაგან რამოდენიმე მედალი (წინათ ჯილდო ეძლეოდა მამას). მარიამი გარდაიცვალა 1940 წელს ქ. თელავში. მათი შთამომავლები კი მრავლად ცხოვრობენ დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**
**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი გაჩეჩილაძე*




განახლდა და გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუიას“ მე-9 ნომერი


ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

გიორგი ნინიძე „ჯავახეთი. საროს ტაძარი“




http://www.patriarchate.ge
sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
№ 360851555
98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე

საბჭოთა ხელისუფლების ეპოქაში მონასტრის ტერიტორიაზე შექმნეს ისტორიული და მხარეთმცოდნეობის მუზეუმები. 1930-იანი წლებიდან მონასტრის სადგომებში განთავსდა სახელოსნოები, ომის პერიოდში აქ იყო საავადმყოფო, შემდეგ ინვალიდთა სახლი სამამულო ომის მონაწილეთათვის და ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა სკოლა. 1970-იანი წლებიდან კუნძულზე გაჩნდა დასახლება, ხოლო მონასტრის ტერიტორიაზე დასასვენებელი ბაზა გაიხსნა.

1991 წელს მონასტერი ნოვგოროდის ეპარქიას დაუბრუნდა.

### რეფერენდუმი დალაი-ლამას რეინკარნაციის შესახებ

ტიბეტური ბუდიზმის ლიდერმა დალაი ლამამ, რომელიც ემიგრაციაში ცხოვრობს, რამდენიმე დღის წინ თავის მიმდევრებს მთელ მსოფლიოში (13-დან 14 მილიონამდე ადამიანს), შესთავაზა რეფერენდუმის მოწყობა, სადაც განიხილება საკითხი — განიცადოს თუ არა მან რეინკარნაცია.

როგორც დალაი-ლამა აცხადებს, თუ უმრავლესობა ხმას მისცემს რეინკარნაციის წინააღმდეგ, ის არ დაიბადება ახლად, რითაც გაწყვეტს მემკვიდრეობითობის ხაზს, რომელიც ტრადიციის თანახმად, XIV საუკუნის დასასრულიდან მომდინარეობს, როდესაც დალაი-ლამად პირველად გამოცხადდა ახალგაზრდა მწყემსი.

თუკი უმრავლესობა მის რეინკარნაციას მიემხრობა, მაშინ, დალაი-ლამას სიტყვებით, მან, შესაძლებელია, ჯერ კიდევ საკუთარ სიცოცხლეში, მიუთითოს ადამიანი, რომელშიც ხელახლა დაიბადება რითაც გაწყვეტს სიკვდილის შემდეგ კვლავ საიდუმლო მოვლინების 600-წლიან ტრადიციას.

მაგრამ მან აღიარა, რომ მისი წინადადება გათვლილია ჩინეთის ხელისუფლების გეგმების ჩაშლაზე, რომელთაც სურთ თავად აირჩიონ მომავალი დალაი-ლამა და ამით განიმტკიცონ საკუთარი ძალაუფლება ჰიმალაის რეგიონში, რომელსაც ჩინეთი 1950 წლიდან უწევს კონტროლს. „დიახ, რეფერენდუმი შესაძლებელია" — აცხადებს დალაი-ლამა ერთერთი ინტერვიუში — „ეს შესაძლებელია მოხდეს მაშინ, როცა მე ფიზიკურად დავუძლურდები და სიკვდილისთვის სერიოზულ მზადებას დავიწყებ."

ტრადიციულად დალაი-ლამას ირჩევენ ავტორიტეტული ბერები: ისინი ხსნიან მისი მომავალი განხორციელების ნიშნებს, ეძებენ პერსპექტიულ პატარა კანდიდატს და გამოცდიან მას.

ახლანდელი დალაი-ლამა, რომელიც რიგით მეთოთხმეტეა, დაიბადა გლეხის ოჯახში და დალაი-ლამად ორი წლის ასაკში ცნეს, მას შემდეგ, რაც მისთვის მოწყობილი გამოცდები გადალახა. გამოცდაში შედიოდა მის წინ დაწყობილ რამდენიმე კრიალოსანს შორის თავისი წინამორბედის კრიალოსანის გამოცნობაც.

დალაი ლამა ტიბეტიდან 1959 წელს, ჩინელების წინააღმდეგ წარუმატებელი აჯანყების შემდეგ გაიქცა, მას შემდეგ ინდოეთში ცხოვრობს და ტიბეტელი დევნილების 200 000-იან ერთობას ხელმძღვანელობს. დალაი-ლამას „დედაქალაქად" გამოცხადდა ქალაქი დრახამსალა, ჩრდილოეთ ინდოეთში.

ამჯერად დალაი-ლამა ჩინეთის შემადგენლობაში ტიბეტის ავტონომიის გაფართოებისთვის იბრძვის. თუმცა ჩინეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ დალაი ლამას ტიბეტის დამოუკიდებლობა სურს, ამ მხარეს კი ჩინეთი საკუთარი ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

## ფოტომატიანე

# მღვდელი ანტონ ფირცხალავა
## 1879-1958

მღვდელი ანტონ ნიკოლოზის ძე ფირცხალავა 1879 წლის 21 დეკემბერს, მთიანი სამეგრელოს სოფელ კურზუში, ადგილობრივი მღვდლის ოჯახში დაიბადა. მკვირცხლი გონების ყმაწვილი მამას სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მიუბარებია, რომლის წარჩინებით დასრულების შემდეგ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლით დაარსებულ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა, რომელიც 1900 წელს დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით. სასულიერო სასწავლებელში და სემინარიაში იგი გამოირჩეოდა სიბეჯითითა და გონიერებით. ეროვნული იდეებით სავსე ახალგაზრდა ანტონს სურდა საკუთარი წვლილი შეეტანა ქართველთა განათლების საქმეში. მან მამის მსგავსად სამღვდელო მოღვაწეობა აირჩია. იმავე წელს ანტონი ჯერ დიაკვნად აკურთხეს, ხოლო

შემდეგ მღვდლად დაასხეს ხელი და აჭარაში, სოფელ ხულოში მისიონერ მოძღვრად განამწესეს. საქართველოს ამ ძირძველ მხარეს ძალზე ჭირდებოდა განათლებული, თავდაჭერილი მოძღვარი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ძალადობით დათრგუნულ მოსახლეობას ანუგეშებდა. ხუთი წელი იმსახურა მამა ანტონმა აჭარაში და მრავალი ადამიანი აზიარა ქრისტეს ნათელს. მისთვისაც უდიდესი გამოცდილების მომცემი იყო იქ გატარებული წლები. მამა ანტონი ღირსეული სამსახურისათვის 1905 წლის 21 იანვარს საგვერდულით, ხოლო ამავე წლის 21 მარტს სკუფიით დაჯილდოვდა. 1905 წლის 20 ივლისს გურიაში გადაიყვანეს და სოფელ ბარცხანო-ცივის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. აქაც თავდაუზოგავად იღვწოდა. 1909 წლის აღდგომას კამილავკით დაჯილდოვდა.



მამა ანტონის მეცნიერებისადმი სწრაფვა დატვირთულმა სამღვდელო მოღვაწეობამაც ვერ შეანელა. უმაღლესი განათლების მიღების დიდი სურვილი მოგვიანებით, 1910 წელს აუსრულდა, როდესაც მამა ანტონი ქაშუეთის ტაძრის წინამძღვრისა და ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის ხელშეწყობით, სახელმწიფო ხარჯით ჩაირიცხა კიევის სასულიერო აკადემიაში. მამა ანტონმა მალევე მოიპოვა პატივისცემა აკადემიის პედაგოგთა და სტუდენთა შორის. იგი აქტიურად ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. აკადემიაში თეოლოგიურ დისციპლინებთან ერთად ისწავლებოდა სამოქალაქო დისციპლინებიც, კერძოდ, ფილოლოგია, სიტყვიერება, ისტორია. 1914 წელს მამა ანტონმა კიევის სასულიერო აკადემია პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. მისი სამაგისტრო ნაშრომი „დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის“ აკადემიის ოქროს მედლით აღინიშნა, ეკლესიის მაშინდელი მესვეურნი დასახელებულ ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევენ. უნდა ითქვას, რომ მამა ანტონის მაგალითმა სასიკეთო გავლენა იქონია მის უმცროს ძმაზე - ლავრენტიზე, რომელიც ასევე კიევის აკადემიაში ჩაირიცხა და სრული კურსი 1915 წელს დაასრულა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მამა ანტონის დაუცხრომელი ინტერესი ქართული სასულიერო მწერლობისადმი, რაც მან ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს გამოამჟღავნა. იგი თავის მეგობართან, შემდგომში ასევე ცნობილ სასულიერო მოღვაწესთან და ქართველოლოგთან, აკადემიკოს კორნელი კეკელიძესთან ერთად ესწრაფოდა ზემოთ აღნიშნული საკვლევი თემის უფრო ღრმად დამუშავებას და გამოცემას. კიდევაც შეუდგა დიდი ხნის ოცნების ხორცშესხმას, მაგრამ საქართველოში მოვლენები მეტად არასახარბიელოდ განვითარდა. საინტერესოა ერთი ფაქტი, რომელსაც მოძღვრის შვილი, ვახტანგ ფირცხალავა გადმოგვცემს: **„მამის ნაშრომს კორნელი კეკელიძის მეშვეობით გაცნობია დიდი ნიკო მარი. მსოფლიო რეზონანსის მეცნიერი დაინტერესებულა საკვლევი თემის გარშემო მამა ანტონის მიერ მოძიებული პირველწყაროებით და მოუწვევია თავისთან სამუშაოდ (ბატონი ნიკო მაშინ ანისის გათხრებზე მუშაობდა), მაგრამ მენშევიკური მთავრობის, ხოლო შემდეგ კომუნისტების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ სამღვდელოების და, მათ შორის მღვდელ ანტონის საქმე, ცუდად წარიმართა“.** 1922-23 წლებში ულმერთო ხელისუფლების მიერ საშინელი მორალური ზეწოლის შედეგად მამა ანტონი იძულებული გახდა, მღვდელმსახურებაზე უარი ეთქვა და მასწავლებლად დაეწყო მუშაობა.

ოცდათხუთმეტი წელი იღვაწა ანტონ ფირცხალავამ პედაგოგიურ სარბიელზე. იგი თავისი უანგარო, დიდი მამულიშვილური რუდუნებით თავს დასტრიალებდა აღსაზრდელებს, გზას უკვალავდა და სამშობლოს სიყვარულით ზრდიდა ახალგაზრდებს. „ადგილი ესე წმინდა არს,“ — იტყოდა ხშირად, როდესაც სკოლასა და აღსაზრდელებზე ჩამოვარდებოდა საუბარი. ჩვენი მასწავლებელი სულით დამპურებელი მოძღვარი ბრძანდებოდა, — იგონებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი აბელ სიჭინავა: „თავისი საქმის უბადლო მცოდნე და ქვეყნის დაუცხრომელი ჭირისუფალი. მან ბრწყინვალედ იცოდა სასულიერო და საერო

# ფოტომატიანე

მწერლობის უკვდავი ყოველი ძეგლი და ნიმუში, დაუსრულებლივ შეეძლო მოეთხრო ქართულ და რუსულ მწერლობაზე, მსმენელი მონუსხული ჰყოლოდა და არ დაეღალა. ერთი შეხედვით კუშტი და გულჩათხრობილი, სინამდვილეში მიმზიდველი, თბილი, კეთილი, მოსიყვარულე, მგრძნობიარე, ზოგჯერ გულჩვილი, თავმდაბალი კაცი იყო. ასე გვესახებოდა ჩვენ ანტონ ფირცხალავა, როგორც ადამიანი, როგორც აღმზრდელი".

ანტონ ფირცხალავა 1958 წლის ივლისში გარდაიცვალა. სენაკელებმა როგორც მათი და ასევე მათი შვილებისა და შვილიშვილების აღმზრდელი ღრმა მადლიერების გრძნობით გააცილეს უკანასკნელ გზაზე. მისი ნეშტი სენაკში, საკალანდარიშვილოს სასაფლაოს მიწას მიაბარეს.



მღვდელი
ნიკოლოზ ფირცხალავა,
ვაჟთან ანტონთან ერთად

**ბიოგრაფიული ცნობებისა და ფოტოების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ანტონ ფირცხალავას შვილიშვილს იღუმენ ისააკს (ფირცხალავა)**

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**
**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი გაჩეჩილაძე*





გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუიას“ მე-10 ნომერი

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

რომა ლომიძე „შემოღამება სამებაზე“



გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით [illegible]
გთხოვთ [illegible]
საბანკო ანგ. [illegible] № 360851555
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]

# ფოტომატიანე

ვიყვანთ საგურამოელთა განცხადებას — ჩვენ ქვემოთ ამის ხელის მომწერნი გთხოვთ, ნება მისცეთ ზედაზენის არქიმანდრიტ მიქაელს და მის თანაშემწე იღუმენ ექვთიმე კერესელიძეს მასზედ, რომ გვემსახურონ საჭიროების დროს, მღვდელმოქმედების წესების შესრულებით. ვინაიდან ჩვენ საკუთარი მღვდელი არ გვყავს. ხელს აწერენ: ისააკ უნდილაშვილი, აბრაამ ქურციკიძე, შაქრო ჩილაური, სვიმონ ჩინაშვილი, გიორგი ბედუკიძე, ივანე ბედუკიძე, სანდრო უნდილაშვილი, ივანე უნდილაშვილი, საბა ბიჩნიგაური, ტატო შონთიშვილი, სოლომონ მოძღვრიშვილი".

სოფელ საგურამოში დღემდე შემორჩენილია არქიმანდრიტი მიქაელის ხსოვნა, როგორც უანგარო და მოწყალე მოღვაწისა. თვად არაფრის მქონე ყოველთვის ცდილობდა სხვას შესწეოდა. მოსახლეობაც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მონასტერს. 1943 წელს სანოვაგის წამოსაღებად ჩამოსული მამა მიქაელი მოკლული იპოვეს. ხმა გავრცელდა, ჯარისკაცებმა მოკლეს კომენდანტის საათის დარღვევისთვისო. იგი ზედაზნის მონასტრის ეზოში დაკრძალეს. არქიმანდრიტი მიქაელის ამქვეყნიური ცხოვრება უფლისა და მოყვასისათვის თავდადების თვალსაჩინო მაგალითია.



არქიმანდრიტი მიქაელი, ბერი საბა ფულარიანი და ბერდიაკონი პართენი აფციაური

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**
**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი ბახტურიშვილი*




გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუიას" მე-10 ნომერი

## ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი"

პეტრე (პაატა) მელაძე

თაბორის მთა. ფერისცვალების დედათა მონასტერში



[illegible]
[illegible] № 360851555
„საპატრიარქოს უწყებანი" [illegible]: http://www.patriarchate.ge
[illegible]: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
[illegible] № 1
[illegible]: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
[illegible]

# ფოტომატიანე

1924 წლის აგვისტოს ბოლოს დახვრიტეს დუშეთის მაზრის, სოფელ ყვავილას წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მღვდელი გიორგი ჭელიძე და წილკნელმა ეპისკოპოსმა პავლემ (ჯაფარიძე) მის ადგილზე მამა იოანე დაადგინა. ძნელი წარმოსადგენია, რა საშინლად რთული წლები განვლო მან, ყოველ დღე ელოდა დაპატიმრებას, დახვრეტას ან მუხანათურ ყაჩაღურ თავდასხმას. მიუხედავად ამისა, ღვთისმსახურება არ მიუტოვებია. გაუსაძლისმა პირობებმა საფუძვლიანად შეურყია მოძღვარს ჯანმრთელობა და იგი 1925 წლის 24 მარტს გარდაიცვალა. არქიმანდრიტი იოანე დასაფლავებულია დუშეთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის სასაფლაოზე.



ზედაზნის მონასტერი. XX საუკუნის დასაწყისი

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.**

*რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი გაჩეჩილაძე*

**ჩვენი გაზეთის წინამდებარე ნომერში საჩუქარია: ლაზარეს აღდგინების ხატი თბილისის წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძრის (დიღომში) მრევლისაგან**

პირველი გვერდის ფოტოს ავტორია ზაზა მამულაშვილი. რედაქცია ასევე მადლობას უძღვნის მიტროპოლიტ იოსებს (კიკვაძე) და საქართველოს პარლამენტის პრესცენტრს ფოტოების მოწოდებისათვის.



გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუიას“ მე-11 ნომერი

ფოტოგამოფენა „თვალსაწიერი“

კარიბჭე — გიორგი ნინიძე



გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
[illegible]
სახალხო ბანკი. კოსტავას 80-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
ელ.ფოსტა: sap.uts@posta.ge sapatriarqos_prescentri@yahoo.com;
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილეები: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]

## ფოტომატიანე

# არქიმანდრიტი მიქაელი (მანდარია) 1872-1943

არქიმანდრიტი მიქაელი 1872 წელს აზნაურის ოჯახში დაიბადა. კეთილმორწმუნე მშობლებმა პატარა მეთოდე ნამარნევის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში მიაბარეს. სადაც მან წერა-კითხვა, წმინდა წერილი, საეკლესიო ტიბიკონი და გალობა შეისწავლა. ამ დროისათვის ნამარნევის მონასტრის წინამძღვარი იყო არქიმანდრიტი კირილე (გაბუნია). მონასტრის გარემომ და ბერების წმინდა ცხოვრების მაგალითმა მეთოდეს ფლისადმი თავის მიძღვნა გადააწყვეტინა. 1898 წლის 13 იანვარს ჯუმათის მთავარანგელოზთა სახელობის მონასტერში მორჩილად განამწესეს. ამავე წლის 30 სექტემბერს ბერად აღიკვეცა და სახელად მიქაელი ეწოდა. 1899 წლის 9 აგვისტოს ნამარნევის მონასტერში გადაიყვნეს და ამავე წლის 23 ოქტომბერს დიაკვნად აკურთხეს. 1902 წლის 9 იანვარს რაჭაში, ჭელიშის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში განამწესეს და ამავე წლის 26 ოქტომბერს მღვდელ-მონაზვნად დაასხეს ხელი. 1904 წელს გარდაიცვალა არქიმანდრიტი კირილე (გაბუნია). სულიერი მოძღვრის გარდაცვალებამ ძლიერ დაამწუხრა მამა მიქაელი. 1905 წლის 19 ივნისს, თავისი თხოვნით, გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტერში დაინიშნა. 1906 წელს გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში გადაიყვანეს. 1907 წლიდან პერიოდულად აღასრულებდა მონასტრის ხაზინადარის მოვალეობას. 1914 წლის 9 ივლისს გაემგზავრა რუსეთში.



მანდარია (მარჯვნივ) არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიასთან და მიხეილ თოთიბაძესთან ერთად

გადასახლებაში მყოფ არქიმანდრიტ ამბროსისთან (ხელაია) იგი გარკვეული პერიოდი მსახურობდა მესენაკედ და მორალურად და სულიერად განამტკიცებდა მას. 1915 წელს საქართველოში დაბრუნდა და კვლავ ნათლისმცემლის მონასტერში განაგრძო მსახურება. 1919 წლის ზედაზენის წმინდა იოანე ზედაზნელის სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1923 წელს საგურამოს წმინდა თადეოზ მოციქულის სახელობის ეკლესია მოძღვრის გარეშე დარჩა და საკათოლიკოსო, საბჭოს განჩინებით მრევლის სულიერი წინამძღვრობა და წირვა-ლოცვის აღსრულება მამა მიქაელს დაევალა. 1925 წლის 14 ოქტომბერს იღუმენის წოდება მიენიჭა. 1929 წლის 12 ივლისს იღუმენი მიქაელი წერილით მიმართავს წილკნელ ეპისკოპოსს პავლეს (ჯაფარიძე): **„თქვენი მეუფების წარდგინებით, საკათალიკოსო სინოდს უნებებია ჩემი არქიმანდრიტის ხარისხზე აყვანა. რომლისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. ჩემი სული და გული იხარებს, რომ თქვენი ლოცვა-კურთხევით ვეღირსე ასეთ ყურადღებას, ჩემი სასულიერო მთავრობისაგან. გთხოვთ, მომისმინოთ და მიიღოთ ჩემი მოხსენება. მე თქვენი ლოცვა-კურთხევით და ღვთის შემწეობით თქვენს მორჩილებას როგორც მონასტერში, ისე მრევლში ვასრულებ. თითქმის დღე-მუდამ მიხდება კოკით წყლის ზიდვა, ხურჯინით, ცულით და თოხით მუშაობა, რომ შევინახო მონასტერში არსებული საძმო და პირნათლად შევასრულო ჩემი მოვალეობა მათ წინაშე. ამიტომ ხსენებული ხარისხი არ უდგება ჩემს მდგომარეობას, ამ ხარისხს კეთილად მოწყობილი მონასტრული და ეკლესიური კრებული და ბევრი სხვა რამ სჭირდება. ამიტომ, გთხოვთ, ნუ დამავალებთ მივიღო ჯერჯერობით ეს ხარისხი და შემავედრეთ ლოცვითა იოანე ზედაზნელსა და ნინო ქართველთა განმანათლებელს, ჩვენს ეკლესიას და კერძოდ მონასტერს შეუქმნას იესო მაცხოვარმა ისეთი პირობები, რომ ღირსეულად და შესაფერისად მოვაწყო ძმათა ცხოვრება და შეურცხვენლად მივიღო თქვენი ხელიდან სანატრელი ხარისხი“.**

მიუხედავად მისი წერილისა, ამავე წელს მას არქიმანდრიტის წოდება მაინც მიენიჭა. 1935 წლის 31 მარტს, წილკნელი ეპისკოპოსი ალექსი (გერსამია) წერილით მიმართავს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე): **„თქვენმა უწმიდესობამ უწყის, რომ ჩემს ეპარქიაში მხოლოდ ოთხიოდე მღვდელია, რომლებიც ემსახურებიან მორწმუნეთ მოთხოვნილების დროს. საგურამოს და მის გარშემო მცხოვრებთ ემსახურება ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი მიქაელი (მანდარია), პიროვნება ყოვლად-პატიოსანი, უანგარო და ხალხისაგან პატივდებული, ჩემგან მიცემული აქვს მანდატი, რომ ემსახუროს სოფელს. ამ ორი კვირის წინ ადგილობრივ ხელისუფლებას თუ სხვას, არ ვიცი, აუკრძალავთ მისთვის სოფელში წასვლა და იქ სამსახური. სოფელ საგურამოს მცხოვრებლებმა გამომიგზავნეს განცხადება და მთხოვენ, მივსცე ნება არქიმანდრიტ მიქაელს, ემსახუროს მათ. წარმოვადგენ რა თქვენს უწმიდესობასთან მორწმუნეთა თხოვნას, უმდაბლესად გთხოვთ, როგორმე გამოარკვიოთ და იშუამდგომლოთ ვისთანაც ჯერ არს, რომ არქიმანდრიტი მიქაელი ემსახუროს იმ სოფლის მცხოვრებთ, რომელნიც ჩაბარებული აქვს. აქვე მო-**

ფოტომატიანე

# არქიმანდრიტი იოანე (ქარსელაძე) 1864-1925



არქიმანდრიტი იოანე — ერისკაცობაში იასონ ქარსელაძე 1864 წელს, მედავითნის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ლაილაშის სასწავლებელი; დაოჯახდა, მაგრამ სამწუხაროდ მალევე დაქვრივდა. მეუღლის გარდაცვალების შემდგომ ბერად შედგომის სურვილმა ნამარნევის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში მიიყვანა, სადაც 1891 წლის 30 ოქტომბერს მორჩილად დაადგინეს. 1894 წელს ლახეშის სამრევლოს მედავითნედ დაინიშნა. იასონმა თავისი სახსრებით სოფელში სამრევლო სკოლა დააფუძნა, სადაც რამდენიმე წელი უსასყიდლოდ ასწავლიდა ბავშვებს. 1899 წლის 17 ოქტომბრიდან მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის მორჩილია. გურია-სამეგრელოს ეპარქიას იმჟამად განაგებდა ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე). გამოცდილ მღვდელმთავარს შეუმჩნეველი არ დარჩენია მორჩილის მოშურნეობა. 1900 წლის 4 მარტს მორჩილი იასონი ბერად აღკვეცა და სახელად იოანე უწოდა, იმავე წლის 25 მარტს კი დიაკვნად აკურთხა. ხოლო 1901 წლის 25 მარტს მღვდლად დაასხა ხელი. ალექსანდრე ეპისკოპოსს დიდი ღვაწლი მიუძღვის მონასტრების განახლებაში. მან საკუთარი ხარჯებით აღადგინა დანგრევის პირას მყოფი შიო-მღვიმის, მცხეთის ჯვრის, თიანეთის წმინდა არჩილის მონასტრები. მეუფე ალექსანდრეს მზრუნველობაში იყო წმიდა იოანე ზედაზნელის მონასტერიც. სწორედ აქ, 1902 წლის 12 იანვარს განწესდა მღვდელ-მონაზონი იოანე. თავდადებულმა და მშრომელმა ბერმა მალევე დაატყო მონასტერს მზრუნველი ხელი. ეპისკოპოს ალექსანდრეს წარდგინებით მამა იოანე 1904 წლის 23 ივნისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1906 წელს ზედაზენის მონასტრის წინამძღვრის იღუმენ გერასიმე გაბუნიას ავადმყოფობის დროს, მამა იოანე დროებით მმართველად დაინიშნა.

მამა იოანეს დიდი დამსახურებაა ზედაზნის მონასტრიდან სოფელ ავჭალამდე ორკილომეტრიანი საეტლე გზის გაყვანა, რომელიც მან თავისი საკუთარი შრომით, სხვების დაუხმარებლად განახორციელა. შეაკეთა ზედაზნის მონასტრის დანგრეული კოშკი, გაალამაზა მონასტრის გარშემო პატარა მინდორი და ბუჩქნარი. ეს ყველაფერი მან საკუთარი ხარჯებით გააკეთა. ასევე მცხეთის მხრიდან გაიყვანა მონასტერში მისასვლელი მეორე გზა. ყოველივე ამ დამსახურებათა გამო, იგი 1907 წლის 10 ივნისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. ხოლო მოგვიანებით, 1913 წლის 23 მაისს თბილისის ამაღლების სახელობის ეკლესიაში საქართველოს ეგზარქოსმა ინოკენტიმ (ბელიაევი) იღუმენის წოდება მიანიჭა, ენქერითა და წინამძღვრის კვერთხით დააჯილდოვა.

1918 წლის ოქტომბერში ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გერმანე (იაშვილი) მარტყოფის მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს და მონასტერი უწინამძღვროდ დარჩა. ამავე წლის 27 ნოემბერს მონასტრის ხაზინადარი მღვდელმონაზონი ნეოფიტე (ვარდოსანიძე) ურბნისის ეპისკოპოსს დავითს (კაჭახიძე) თხოვნით მიმართავს, რათა სასწრაფოდ დაინიშნოს ახალი წინამძღვარი მონასტერში. 1919 წლის 3 იანვარს, კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდეს (ოქროპირიძე) ლოცვა-კურთხევით, ზედაზენის მონასტრის წინამძღვარი იღუმენი იოანე ქვათახევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

წინამძღვრად დანიშვნისთანავე მამა იოანემ უღმერთოთა მიერ დარბეული მონასტრის საძმოს შემოკრება დაიწყო. ამ დროისათვის აქ მამა ნეოფიტეს გარდა მხოლოდ ერთი მღვდელმონაზონი სერგი (ძონაძე) მოღვაწეობდა. მისი თხოვნით, 1919 წლის 22 მაისს ბეთანიის მონასტრის ბერდიაკონი სტეფანე (გიგოლაშვილი) გადმოიყვანეს ქვათახევში, რომელიც ამავე წლის ნოემბერში ურბნელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) მღვდლად აკურთხა. ასევე გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მღვდელმონაზონი იუსტინე (მამულაშვილი) გადმოვიდა აქ სამოღვაწეოდ. მამა იოანეს 1920 წელს არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

1923 წელს, კომუნისტებმა კვლავ დაარბიეს ქვათახევის მონასტერი და უკიდურესად შეავიწროვეს იქ მოღვაწე ბერები. მამა იოანე მონასტრიდან გამოდევნეს და უკან დაბრუნება აუკრძალეს. 1923 წლის 27 ნოემბერს არქიმანდრიტი იოანე წერილს უგზავნის ურბნისის ეპისკოპოსს ქრისტეფორეს (ციცქიშვილი) — ***„უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო მაღალყოვლადკურთხევავ, მიშუამდგომლოთ, სადაც ჯერ არს, რომ დროებით დამნიშნოთ მღვდლის ადგილზე კორინთოს სამრევლოში, ვინაიდან არსად ბინა არ მაქვს. იმედია, სრულყოფთ თხოვნას ამას“.***